# საერთო გაზეთი

№47 (231) ● 14-20.XI.2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.com; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## როდის გადაავირჩევთ გიგი უგულავას, რომელიც „ნაცმოძრაობას“ ისეა მიბმული, როგორც დენს ნაგვის გადასახადი



ბოლო-ბოლო, ვინ არის ეს ზნეობისგან დაცლილი, უტიფარი და თეძოგანიერი უგულავა ისეთი, რომ მისი ხან მღვდელს ეშინია, ხან პატრიარქს და ხანაც მონაზონს? ვინ არის, „მესიის მახვილია“ თუ თავად ჭეშმარიტება, რომლისაც უნდა გვჯეროდეს და უნდა ვეთაყვანებოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ვერც პატრიარქის სტიქაროსნად ივარგა, ვერც სასულიერო სემინარიის სტუდენტად, ვერც ჟურნალისტად, ვერც ემიგრანტად, ვერც მეგობრად, ვერც ერთგულ მეუღლედ, ვერც მამად და ვერც ვერაფრად? ხომ ყველა ხვდება იმასაც, რომ უგულავას პირადი ფინანსური იმპერია არანაკლებია სააკაშვილისა? არადა, ვის ხარჯზეა ეს ფინანსები მოპოვებული, არ უნდა ვიცოდეთ?

## ugulavas Tbilisis meri ki ara Tbilisis mteri unda erqvas!

## frTxilad, saWesTan mkvlelia!



მთვრალმა მიხეილ სააკაშვილმა ავტომანქანით ორი ადამიანი გაიტანა?

## vinaa, kaco, gmiri?

კალანდაძე, რომელმაც პირად მძღოლს ფეხში ტყვია ასროლინა?



## vin da ratom ebrZvis `obieqtivs~



- ვინ მოგვაწოდა ვიდეოფირები?
- რა მიზანი აქვთ „ობიექტივის“ მტრებს?
- ვიდეოფირების გასაჯაროების პირობები
- სარჩელი სააკაშვილის წინააღმდეგ

## xalxi moiTxovs: _ qarTveli rozenbergebi da `nacpartia~ sabraldebo skamze!

ISSN 2233-3983

## რედაქტორის რუბრიკა



საზოგადოება შეთანხმებულია, რომ რეჟიმი, რომელმაც 300 000 პრობაციონერი და 25 000 პატიმარი დაგვიტოვა უმძიმეს „მემკვიდრეობად“, უსამართლო, დანაშაულებრივი, კრიმინალური რეჟიმი იყო, რომელიც ციხეებში ყრიდა, აწამებდა, ქუჩაში ხვრეტდა უდანაშაულო ადამიანებს.

საზოგადოება შეთანხმებულია ამ შეფასებაში და სწორედ ამ შეფასების შედეგები გაცხადდა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.

საზოგადოება კი არის შეთანხმებული, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ მისცა ზუსტი პოლიტიკური შეფასება იმ მოვლენებს, რომლებიც ამ ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა.

საუბარია არა ცალკეულ ფრაგმენტულ კომენტარებზე, არამედ ოფიციალურ პოლიტიკურ შეფასებაზე, რომელიც, როგორც ახალი პარლამენტის, ასევე საზოგადოების ფართო მსჯელობის, შემდგომ კი სათანადო დასკვნის საგანი უნდა გახდეს.

**რა ხდებოდა ამ ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში? მართლაც დემოკრატიას ვაშენებდით თუ ეს იყო ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმი მკვეთრად გამოხატული ფაშისტური ელემენტებით?**

არსებობს კი ოფიციალური დოკუმენტი, სადაც ამომწურავად იქნება გაცემული პასუხი ამ კითხვებზე?

არა, არ არსებობს!

და სანამ არ არსებობს მსგავსი რამ, ყოველთვის იარსებებენ ადამიანები, რომლებიც კანონის მოშველიებით, კანონზე დაყრდნობით ჩატენილი უკანონობის გამართლებას შეეცდებიან.

საბჭოთა კავშირის დროს, კომუნისტური მმართველობის ერთპარტიული სისტემის პირობებშიც კი მოხერხდა პოლიტიკური შეფასება მიეცათ 37-იანი წლების რეპრესიებისთვის, რასაც რეჟიმის მსხვერპლთა – ცოცხლებისა და მიცვალებულთა რეაბილიტაცია მოჰყვა.

ჩვენ დამოუკიდებელ სუვერენულ საქართველოში რატომ ვერ ვაკეთებთ იგივეს და ათასობით ადამიანს რატომ ვერ ვეუბნებით მათთვის სანუკვარ ერთ ფრაზას: – ტანჯვის და წამების დრო დამთავრდა – თავისუფლებას გილოცავთ, ხალხო!

* * *

**– სისტემა უნდა დაინგრეს!** – ეს აბსოლუტურად სწორი მოწოდება, რომელიც არჩევნების წინა დღეებში ისმოდა, უკვე არ ისმის.

არადა, ეს მოწოდება კვლავაც აქტუალურია, რადგან სისტემა ბოლომდე არ დანგრეულა– დაინგრა მხოლოდ მისი ნაწილი, რაც განსაკუთრებით საშიშ და სახიფათო სიტუაციას ქმნის.

ეს იგივეა, ნახევრად დანგრეულ სახლში ცხოვრობდე...

სისტემის მთლიანი და სრული დემონტაჟი თუ არ მოხდა, არ არის გამორიცხული, ამ სისტემამ თავის ნანგრევებში მოგვიყოლოს.

**რაც არ უნდა კურიოზულად ჟღერდეს, სისტემის ნახევრად დანგრეული ფორმით შენარჩუნება – დაკონსერვების მთავარ გარანტად ქვეყნის კონსტიტუცია გვექცა, რომლის იმ სახით და იმ ფორმით არსებობა, როგორიც ის დღეს გვაქვს, არა მარტო ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას უშლის ხელს, არამედ სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას.**

კონსტიტუცია, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს, ფაქტობრივად, ნაღმია.

ეს ნაღმი სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ, არის გასანაღმი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საათის მექანიზმთან, ანუ დროის ფაქტორთან მიერთებული ეს ნაღმი, შეიძლება, ავტომატურ რეჟიმში აფეთქდეს და აფეთქდეს იმ დროს და ისეთ ვითარებაში, როცა გვეგონა, რომ სამშვიდობოზე გავედით...

**ვახტანგ ხარჩილავა**

## ბიძინა ივანიშვილი: რუსეთის მხრიდან შესატყვისი ნაბიჯი არ არის გაკეთებული, რაც ჩვენში ნაწილობრივ იმედგაცრუებას იწვევს



დღეისათვის რუსეთის მხრიდან შესატყვისი ნაბიჯი არ არის გაკეთებული, რაც ჩვენში ნაწილობრივ იმედგაცრუებას იწვევს", – ეს განცხადება საქართველს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბრიუსელში ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცთან ერთად გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

ივანიშვილის თქმით, მან შულცთან შეხვედრაზე რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზების საკითხზე იმსჯელა.

"ბატონ შულცთან განვიხილეთ, თუ როგორ შეიძლება დავალაგოთ ურთიერთობები ჩვენს დიდ მეზობელ რუსეთთან, რაც არ არის იოლი. მე ბატონ პრეზიდენტს გავაცანი ჩვენ მიერ ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები, ჩემი პირადი წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ და ისიც მოვახსენე, რომ დღეისათვის რუსეთის მხრიდან შესატყვისი ნაბიჯი არ არის გაკეთებული, რაც ჩვენში ნაწილობრივ იმედგაცრუებას იწვევს. ჩვენ ვიჩენთ მოთმინებას და რუსეთის მხრიდან ველოდებით კონკრეტულ ნაბიჯს. ვეცდებით ვიყოთ კონსტრუქციულები, პრინციპულები და მოვახერხოთ ურთიერთობების დალაგება, რაც ევროკავშირის ინტერესებშიც შედის", - განაცხადა ივანიშვილმა.

## თედო ჯაფარიძე: ბაჩო ახალაიას დაკავებას ნატო-ს კულუარებში პოლიტიკურ დაკავებად არ განიხილავენ



პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თედო ჯაფარიძის თქმით, ნატო–ს გენერალური მდივნის სწორ ინფორმირებაზე ნატო-ს ბიუროკრატები უკვე მუშაობენ და დღეს მას საქართველოში განვითარებული მოვლენების ზუსტი ანალიზი ექნება.

აღნიშნული განცხადება ჯაფარიძემ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში გამოთქმული შენიშვნებისა და ანდრეს ფოგ რასმუსენის განცხადების კომენტირებისას გააკეთა.

ჯაფარიძის განმარტებით, ნატო–ს საპარლამენტო ასამბლეა არის სპეციფიკური ორგანო, სადაც უამრავ გამონათქვამს აქვს ადგილი, მის მიერ მიღებული რეზოლუცია კი საქართველოსთვის იურიდიულ დოკუმენტს არ წარმოადგენს, შესაბამისად, მისი შესრულების ვალდებულებაც არ არსებობს.

"მე მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ბაჩო ახალაიას დაკავებას ნატო-ს კულუარებში პოლიტიკურ დაკავებად ნამდვილად არ განიხილავენ. რაც შეეხება გიორგი კალანდაძეს, ის არის სამხედრო მოსამსახურე და მისი დაკავება ყოველგვარი პოლიტიკური დებატების მიღმა დგას. ამიტომ მინდა გითხრათ, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივებზე ამ ფაქტებს გავლენა არ ექნება. ვფიქრობ, რომ რასმუსენის განცხადება მეტყველებს იმაზე, რომ მას არაადეკვატური ინფორმაცია ჰქონდა. როდესაც მე ვამბობ, რომ რასმუსენი საკმარისად ინფორმირებული არ იყო, ალბათ მომედავებით, რომ ნატო-ს გენერალურ მდივანს ბევრი წყარო გააჩნია ინფორმაციის მისაღებად, თუმცა ამ შემთხვევაში პირადად მე მომეჩვენა, რომ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლა არ იყო გენერალური მდივნის გამოსვლა, ეს უფრო ევროპის სახალხო პარტიის წევრის გამოსვლა იყო, მოგეხსენებათ, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ევროპის სახალხო პარტიასთან მჭიდრო კავშირშია. რასმუსენის გამოსვლა ვილფრედ მარტენსის გამოსვლებს მაგონებდა. როგორც ვიცით, ის ძალიან მიკერძოებულია და ძირითადად პარტიული მიდგომებით საუბრობს", - აღნიშნა ჯაფარიძემ.

## გიორგი კალანდაძის ახალ ბრალდებაზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს



თბილისის საქალაქო სასამართლოში გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროს გიორგი კალანდაძის ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ბრალდებულის ადვოკატებს სასამართლო პროცესის დაწყებამდე ჟურნალისტებთან კომენტარები არ გაუკეთებიათ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიასა და გიორგი კალანდაძის წინააღმდეგ პროკურატურამ დღეს ახალი ეპიზოდი გამოაქვეყნა. როგორც მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა დღეს ბრიფინგზე განაცხადა, საქმე ეხება ბაჩო ახალაიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდს.

მთავარმა პროკურატურამ კალანდაძისთვის აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოს დღეს დილით მიმართა.

საუბარია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოვლენილ ახალ ეპიზოდზე, სადაც თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასთან ერთად, გიორგი კალანდაძეც ფიგურირებს.

გიორგი კალანდაძეს ბრალად თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება.

შეგახსენებთ, რომ ბაჩო ახალაიას სასამართლოს მიერ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეფარდებული აქვს.

`medianiusi~

## საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობა „იბერიელნის" განცხადება

სახელმწიფოში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, რომელიც დანაშაულებრივმა, ანტისახელმწიფოებრივმა ნაციონალურმა რეჟიმმა ჩაიდინა, არის კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მოვითხოვთ, დადგეს ბრძანების გამცემთაა და ბრძანების შემსრულებელთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო ჩადენილი დანაშაულებრივი პოლიტიკის განხორციელებისთვის ნაცმოძრაობას დაეკისროს პოლიტიკური პასუხისმგებლობა და აეკრძალოს პოლიტიკური მოღვაწეობა.

**საზოგადოებრივი პოლიტიკური მოძრაობა „იბერიელნის" მთავარი კომიტეტის სახელით:**
**თ. ხუციშვილი, პ. სერგია, კ. ბარათელი**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

## „თავისუფალი დემოკრატები" ლიბერალთა და დემოკრატთა ალიანსი ევროპისათვის წევრი გახდა



პარტია ,,ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები'' ლიბერალთა და დემოკრატთა ალიანსი ევროპისათვის **(ALDE Party)** წევრი გახდა. ეს გადაწყვეტილება ევროპელმა ლიბერალებმა დუბლინში მიიღეს. ირლანდიაში მიმდინარე კონგრესს ''ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების'' თავმჯდომარის მოავალეობის შემსრულებელი ირაკლი ჩიქოვანი დაესწრო.

''ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ''თავისუფალი დემოკრატები'' გავხდით ევროპული ლიბერალური ოჯახის ნამდვილი წევრები, ჩვენთვის მთავარი ღირებულება იყო და იქნება ადამიანი, მისი პიროვნული თავისუფლება და კანონის უზენაესობა'' - განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

ირაკლი ჩიქოვანი თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარის მოვალეობას მასშემდეგ ასრულებს რაც ირაკლი ალასანიამ თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შემდეგ პარტიული თანამდებობა დატოვა.

## 2013 წლის ბიუჯეტში ე.წ. სხვა ხარჯები დეტალურად გაიწერება



საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში ე.წ. სხვა ხარჯები გაშიფრული და დეტალურად ასახული იქნება. მან ეს პირობა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას დადო.

მინისტრის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მთავრობა პარლამენტს დასამტკიცებლად ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტს დაუბრუნებს, ე.წ. სხვა ხარჯების მუხლი გაიშიფრება და კონკრეტულად აისახება, თუ რისთვის დაიხარჯება ის.

''ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, სახელმწიფო ბიუჯეტი იყოს გამჭვირვალე და მიმდინარე ხარჯების თაობაზე საზოგადოებასა და გადასახადის გადამხდელს ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეთ'', – აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

## იური მეჩითოვი გავრცელებული ვიდეოს შესახებ განმარტებებს აკეთებს



კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე იური მეჩითოვი განმარტებებს აკეთებს, ინტერნეტით გავრცელებული ვიდეოს შესახებ, სადაც ის საქართველოს კუთხეებზე ირონიულად საუბრობს.

როგორც მეჩითოვმა დღეს ,,მაესტროს'' პრესკლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, აღნიშნული ვიდეო 2011 წლის აგვისტოშია გადაღებული და ახლა ამ ვიდეოს გამოქვეყნება მისი მინისტრის მოადგილედ დანიშვნას უკავშირდება.

მისი განცხადებით, ის არ ფიქრობს, რომ რუსეთი საქართველოს ისტორიული მტერია და პრობლემა რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებაა. რუსეთის იმპერიის დროს მეგრელებს ქართველებისგან მართლაც ცალკე განიხილავდნენ და ეს მისი ბრალი სულაც არ არის.

''რუსეთის იმპერიის დროს მეგრელები ქართველებისგან ცალკე განიხილებოდნენ. თუმცა, ეს მათი პრობლემა იყო. მე არ ვთვლი, რომ ახლაც ასე თვლიან რუსეთში და ასეც რომ იყოს, ეს ჩემი ბრალი სულაც არ არის'', - აღნიშნა მეჩითოვმა.

**`medianiusi~**

# ორცეცხლშუა

მოკლედ რომ ვთქვათ, ორცეცხლშუა ვართ – დამნაშავეების დაჭერას თუ დავიწყებთ, შეიძლება ნატოში შესვლაზე უარი გვითხრან.

დამნაშავეების დაჭერა და ნატოში შესვლა თითქოსდა ერთმანეთთან კავშირში არ უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ყოფილა.

ნატოში შესვლის საკითხს პირდაპირ უკავშირდება თურმე საზოგადოებრივ მაუწყებელში ფინანსური შემოწმება ჩატარდება თუ არა?



ეტყობა, ნატოში, ჯერჯერობით, არ იციან, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა საქართველოში ამ ცხრა წლის განმავლობაში და რა დანაშაულებები აქვთ ჩადენილი სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს. არ იციან, თორემ ასეთ დაუმსახურებელ საყვედურს როგორ გვაკადრებდნენ?

როგორც ჩანს, ნატოში არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, რომ ეს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც მანამდე I არხი ერქვა, ფულის საჭრელ საამქროდ იყო ქცეული და იქიდან გაზიდული მილიონებით კომბინატორ-ჩალიჩმაისტერებმა დიდი ქონება დააგროვეს.

–1990 წლიდან არავინ შემოსულა აქ შესამოწმებლად და ეს როგორ გაგვიბედესო? – გაკვირვებით კითხულობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის შეფი გია ჭანტურია, რომელიც, როგორც ამბობენ, წარმატებით აგრძელებს თავისი წინამორბედის ტრადიციას.

დიახ, 22 წელია ამ დაწესებულებიდან არაკეთილსინდისიერი ადამიანები უკონტროლოდ მიეზიდებოდნენ ფულს, ძვირადღირებულ ტექნიკას და ეს ყველაფერი ხახვივით შერჩათ.

როგორც ჩანს, ახლაც შერჩებათ – რაიმეს ვიტყვით და ნატოში არ მიგვიღებენ!

საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი ეჭვქვეშ დადგება, თუ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ხელახალ გამოძიებას დავიწყებთ, თუ იმათ დასჯას შევეცდებით, ვინც ქუჩაში ხვრეტდა ადამიანებს, ვინც პატიმრებს აწამებდა, ვინც ელიტურ კორუფციაში იყო ჩაფლული და მილიარდებს ქაფავდა?

ამ დანაშაულების ჩამდენთა უმრავლესობა წინა ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ხმამაღლა ყვლეფდნენ და აჩანაგებდნენ ქვეყანას.

საინტერესოა, რატომ არ იციან ამის შესახებ არაფერი ნატოს მესვეურებმა?

**გ.გ.**




# xa l xis az r iT

მეგობრებო, დამიჯერეთ, რასმუსენმა მიშას ''შიშები'' გააჟღერა და მეტი არაფერი... ამას აუცილებლად მოყვება რასმუსენის რიგით მეორე განმარტებაც, რაც პრეზიდენტწოდებულს განაცვიფრებს!...

ზუსტად ვიცი, რასმუსენი ყველა კომენტარს ჩააბულბულებს, ყველაფერს გაითვალისწინებს, დამოკიდებულებას შეიცვლის და ბოლოს და ბოლოს შეუყვარდება ახალი პოლიტიკური ძალა, აბა, სად წავა!!!!

ისე, არვინ ჰკითხა რასმუსენს სად იყო 2008 წელს მთელი საქართველო კაციჭამია რუსულ ჯარს რომ შეგვატოვეს??? იმდენად მიგვაჩვია მთელმა ევროპამ აღშფოთება-შეშფოთებით, ახლა ეს რატომ უნდა ჩავთვალო სერიოზულად??? ოკუპანტია და წაგვართვა ტერიტორიები, გვიშველეთო, ვერ გაიგო და არა მგონია, საზოგადეობის ეს ''შრომა''დააფასოს...

ვისაც ბაჩო ახალაია უდანაშაულო ჰგონია (უფრო სწორად, თვითონაც იცის, რომ დამნაშავეა, მაგრამ წინა ხელიფლებას ემსახურება): ბაჩო ახალაიას ცოცხი ჩეიდევით, ცოცხიიიიი (ან, უკეთეს შემთხვევაში, მთელი საქართველოსი...)

კიკუები მიშასთან მოიკითხე, წიკლაურო, რასმუსენიც კარგი ახვარი და ნაგავია, დორბლიან და ნარკომან მიშასი დედამისს აღარ სჯერა და რასმუსენს როგორ უნდა სჯეროდეს? დამნაშავეები რომ დაისჯებიან, არავის შეგეპაროთ ეჭვი.

თუ შფოთვაა, ყველაფერზე შეშფოთდნენ, საზოგადოებრივ არხამდე არ იყო ,,იმედიი''?

იგივეობას რას ატყობ. ნიღბით შევარდნენ? სხვას არ პატიობენ გადასახადებს და საზოგადოებრივი არხი წითელი კოჭიაა? კანონის ფარგლებში მოხდა, ხოო? თანაც რამდენჯერ მოხდა მაგ არხზე პროტესტი და ცვლიდნენ დირექტორებს. გამოდის, რომ ჭანტურიასთვის უზრძოლია ხალხს და ავრორას მაგისთვის გაუსვრია, რა შეიცვალა?

აუფფ, რასმუსენი ზის ახლა და სულ სიტყვა-სიტყვით თარგმნის, რაიმე არ გამორჩეს ნერვიულობს, ალბათ, არ ეცოდებათ ეს კაცი, მიეწერათ ინგლისურად, მე შენ გეტყვი, განათლება არ ეყოფათ თუ რა.

როგორ დავიჯერო, რა ხდება საქართველოში რასმუსენმა არ იცოდეს და თუ იცის, მაშინ მისი განცხადება ,,შემაშფოთებელია". როგორ წარმოუდგენია მას დემოკრატია?

სამწუხაროდ, რასმუნსენის კი არა, ბევრი ქართველის ტვინმა ვერ გააანალიზა, რა მოხდა 26-მაისს. ეძებენ რაღაც უაზრო მიზეზებს, ის რომ არ გამოსულიყო, იმას ის რომ არ ეთქვა, ის რომ იქ წასულიყო ...................... რეალური მიზეზი ხომ იყო საზოგადოების მოზღვავებული პროტესტი იმ უსამართლობაზე, რაც ქვეყანაში სუფევდა.

სანამ რასმუსენები წყვეტენ ჩვენს საქმეებს - არ გვეშველება! რატომ ეთმობა ამდენი ყურადღება რასმუსენის წამოსროლილ აზრს?! რა საჭიროა ასეთი ტირაჟირება?! თქვა და თქვა.... პადუმაეშ!!!:)—რასმუსენის აზრს იმიტომ ეთმობა ამხელა ყურადღება რომ, რასმუსენს თავისი აზრი არა აქვს და რომც ჰქონდეს, იმიტომ არ არის მაგ პოსტზე, რომ თავისი აზრები აჟღეროს.




# როდის გადავირჩევთ გიგი უგულავას, რომელიც „ნაცმოძრაობას“ ისეა მიბმული, როგორც დენს ნაგვის გადასახადი

არ ვიცი, მარტო მე მეჩვენება თუ სხვასაც ისიც, რომ „ოპოზიციად“ მონათლული „ნაცების“ კრიმინალური დაჯგუფება ჩვენივე უნიათობით ძალიან მოფერიანდა?! ნახეთ, როგორ ყელყელაობენ და როგორი „გონორით“ არიან? თუ ავ ენებსაც დავუჯერებთ, თურმე, ნუ იტყვით და, რევანშით ხელისუფლებაში უკან მოსაბრუნებლად სააკაშვილთან ყოველ საღამოს ჩუმჩუმად თათბირობენ კიდეც და ეს თუ მართლა ასეა — ე.ი. მათ ვიღაც გარედან მფარველობს და შესაბამის ინსტრუქტაჟებსაც „მავანი“ უგზავნის, ხომ?

მართალია, ვერც სააკაშვილი და ვერც მთლიანად მისი ფაშისტური პარტია დღეს იმ მდგომარეობაში ვერ არიან რომ რაიმე პირობები წამოგვიყენონ და ამ ეტაპზე ვინმეს დამოძღვრით მიზანს მიაღწიონ, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, გაფიცვების მთელ სერიას სწორედ ისინი აკონტროლებენ და მეტიც, აქეთ იქადნებიან, რომ ხვალ, შესაძლოა, მეტრო, შუქი, წყალი და ა.შ. სანატრელი გაგვიხდეს, რადგან მსგავსი სიხარულების მონიჭება მხოლოდ „ნაც.მოძრაობას“ ძალუძდა და სხვას არავის. ისიც მართალია, რომ „ნაც.მოძრაობა“ რღვევის პროცესშია, მაგრამ ნურავის დაავიწყდება ისიც, რომ მათი საცეცები იმაზე შორს არის გასული, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვიდგენია და ამის დასტურად თუნდაც მოქმედი გუბერნატორების და თუნდაც ქალაქის მერების მაგალითიც კმარა!



დიახ, სწორედ გუბერნატორები და ქალაქის მერები არიან დღეს ფაშისტური რეჟიმის ის აუფეთქებელი ნაღმები, რომელთა განეიტრალებას, ასე აგვიანებს დღევანდელი ახალი ხელისუფლება.

**მართალია, რამდენიმე დღის წინ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ივანიშვილმა, ქ. თბილისის მერს გიგი უგულავას ჭიტლაყი კი ამოჰკრა გასიებულ გავაზე და კანცელარიის მაღალი სართულებიდან ქვემოთ მოისროლა, მაგრამ, ნახეთ, უტიფარმა „კმარელმა“ თბილისელების და მთელი საქართველოს გასაგონად, აქეთ როგორ შეუტია? „მე აქ იმიტომ მოვედი, რომ სასწრაფოდ განსხილველია თბილისელების შემდგომი ბედი, მათი დაზღვევის, მათი შეღავათების და მათი სოციალური დახმარების საკითხები, მაგრამ, როგორც ეტყობა ახალ მთავრობას „უფრო სერიოზული“ საკითხები აქვს გადასაწყვეტი და მე, რბილად რომ ვთქვა ასეთი მიდგომა, ძალიან მაკვირვებს. ნაცვლად იმისა, რომ დავმსხდარიყავით და გვემსჯელა, ივანიშვილმა ვიღაც ორი „ამბალი“ მომიგზავნა და ჭკუის სწავლება დამიწყო!**

— განაცხადა თბილისელების „დიდმა ქომაგმა“, ჩვენმა „მეორე მამამ“, ანუ მამინაცვალმა (სააკაშვილის შემდეგ) უგულავამ, გაბუშტული ტუჩებით, აქაოდა, თითქოს უწყინარ კრავს, ეს როგორ მაკადრეს და საერთოდ, ვინ არის ეს ახალი მთავრობა ასე რომ მიბედავს ლაპარაკსო?!

ეეე, გიგიშ! შენ თვითონ ვინა ხარ, გიფიქრია ამაზე?! ანდა, ხომ არ გეჩვენება, რომ შენი ადგილი, უკვე დიდი ხანია იმ „პარაშასთან“ არის, რომლის გვერდზეც ახლა შენი ძმაკაცი ახალაიაა ჩაცუცუქული?

რატომ? რატომ და იმიტომ „ჩვენო“ პირმშვენიერო, რომ 2003 წელს, მუშტმოღერებული „კმარას“ დროშის ფრიალით რომ შემოვარდი ჩემს სამშობლოში „ჩერეზ“ თავისუფლების ინსტიტუტი, იმას აქეთ სულ მუშტმოღერებული გვატყავებ, დაწყებული ქალაქის „კეთილმოწყობით“, ნაგვის დენზე მიბმული გადასახადით დამთავრებული, გამიგე?

**ისე, მაინც რა დამსახურებისთვის და რა თვისებების გამო გაგხადა შენმა ძმაკაცმა სააკაშვილმა ლამისაა მეორე კაცად საქართველოში? „ნაც. მოძრაობის“ შიგთავსს თუ კარგად დავაკვირდებით, თქვენი უპირველესი დევიზი ადვილად ამოსაკითხია, ანუ „კაცობის დედაც მ...ნ“, „გაუმარჯოს ბოზობას, ჩაშვებას“, „შევ...ცით პატიოსნებას, პატრიოტიზმს“, „ფული, ფული, ბევრი ფული“ და ა.შ. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამ ალებ-მიცემობაში საკუთარი ოჯახები, ცოლოურები და საყვარლების დიდი არმიაც გყავთ გამოყვანილი საქართველოს წინააღმდეგ?**

უცოდველი სახეებით რომ გამოდიხართ და უტიფრად გაიძახით: „მეტი სარგებელი ხალხსო“, ერთი მითხარით, რა იყო ჩვენი სარგებელი, ქალაქის მერის, მეორე ცოლის მშობიარობა ავსტრიაში თუ ის, ოპერაცია რომ გააკეთებინა 100 000 ევროდ, ასევე უცხოეთში. ახლა არავინ მითხრას, ეგ ამბავი, ტყუილიაო, რადგან თავის დროზე ამ ამბის გამო ერთი ამბავი იყო ატეხილი მედიაში და მეორეც — იქნებ ის არის ტყუილი, ლელა კილაძის (უგულავას მეორე ცოლი) კულტურის სამინისტროში მუშაობის დროს, ყველაზე უნიჭოთა აღზევება და მათი მსუყედ დაფინანსების საკითხები რომ ხდებოდა? ხომ ფაქტია, რომ უაზრო ტაშ-ფანდურების, ძვირადღირებული საახალწლო თუ სხვა ღონისძიებების დამფინანსებელი ქალაქის მერია ბრძანდებოდა? ე.ი. რა გამოდიოდა — ქმარი საყვარელ ცოლს, რაც შეიძლება მეტ ფულს ურიცხავდა და ისიც ჩვენი ჯიბიდან? ეგ კიდევ არაფერი, რადგან, ამჯერად, მხოლოდ თბილისის მასშტაბით გამართულ კონცერტებზე გავამახვილე ყურადღება, მაგრამ იმას რა ჰქვია — ქალბატონი კილაძე მთელი საქართველოს მასშტაბითაც რომ განაგებდა სიტუაციას და ახლა უკვე ცენტრა-

# დაჭერობანა



წინა ხელისუფლება დაჭერების საქმეში მართლა მაგარი იყო.

შემოარტყამდნენ ალყას, გადაკეტავდნენ ქუჩებს, გამოთოფავდნენ კორპუსებს და იჭერდნენ და იჭერდნენ.

დასაჭერი რომ არ იყო, იმ ხალხსაც იჭერდნენ და ციხეებში ყრიდნენ.

ამათ, ამ ახალმა ხელისუფლებამ სამი კაცი დაიჭირა და აქედან ორი უკვე გაუშვა.

წინა ხელისუფლება ვინმეს თუ დაიჭერდა, მერე იმას ხელიდან გააგდებინებდი?

მაგრები იყვნენ, ნამდვილად, ძალიან მაგრები.

აბა, ესაა საქმე, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, კალანდაძის დაკავების ამბავს რომ ყვებოდა, კინაღამ იტირა.

— პირველი ზარით, ოჯახს მიმიხედეო — უთხრა ვიღაცას. მეორე ზარით მოადგილეს დაუკავშირდა და ჯარს მიმიხედეო, სთხოვა, — ჰყვებოდა ქალბატონი თეა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.



ქალბატონო თეა, იმდენია დასაჭერი, თქვენ ყველას დაჭერაზე ასე თუ იტირეთ, ვერ გაუძლებთ.

აფსუს, წინა ხელისუფლება?! რა დაჭერა იცოდნენ, ბიჭო.

რომ დასცხებდნენ თავში საბრალო მსხვერპლს და მანქანაში რომ შეჩურთავდნენ, ერთ რამედ ღირდა სანახავად.

ესენი, ეს ახლები კიდევ ნამეტანი ინტელეგენტურად იქცევიან.

— მობრძანდით, დაბრძანდით და წაბრძანდით — ამით ფიქრობთ თქვენ შეფერთხილი ციხეების შევსებას?

ერთი დაშხოშიანი დაჭერა მოენატრა ხალხს სროლებით, ხელკეტებით, შევარდნებით, კარების შემტვრევით, ქალებისა და ბავშვების დაწიოკებით, სიდედრის ნიფხავში გახვეულ ლიმონკას და ლეიბის ქვეშ ამოდებულ ავტომატს რომ აღმოუჩენენ ხოლმე ეჭვმიტანილს და ეგრევე რომ გადაუგრეხავენ ხელებს, მხარზე გაიდებენ და კპზ-ში ციმციმ რომ მიაბრძანებენ.

ახალო ხელისუფლებავ, თქვენც რაღაც მოიფიქრეთ, რაღაცით დაიწყეთ, თორემ ხალხი არ იფიქრებს, დაჭერა თუ არ იცოდნენ, ხელისუფლებაში რას მოდიოდნენო?

იმდენი დანაშაულია ჩადენილი ამ ცხრა წლის განმავლობაში, დავიჯეროთ, ეს ყველაფერი ერთმა ბაჩო ახალაიამ ჩაიდინა, მარტო ის რომ არის დაჭერილი?

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქართული სინამდვილე ერთ დიდ გაუთავებელ დაჭერობანად იქცა — ახალი ხელისუფლება მოდის, ძველს იჭერს, მერე იმ ახალს სხვა ახალი ხელისუფლება დასდევს დასაჩინჩლად და ასე გაუთავებლად.

სამწუხაროდ, ქართველი მაღალჩინოსნები დღემდე ვერ ხვდებიან, რომ ხელისუფლებაში ყოფნისას ისე უნდა მოიქცე, რომ ხელისუფლებაში არყოფნის დროს თავისუფლად შეგეძლოს ქუჩაში გავლა და დაჭერის არ გეშინოდეს.

„ქართული ოცნება“, მგონი, მახინჯი და მანკიერი ტრადიციების დამსხვრევას და უარყოფას აპირებს და ძალიან კარგი, თუ ეს მართლაც ასე იქნება.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

ლური ბიუჯეტიდან და ე.წ. პრეზიდენტის ფონდიდანაც რომ ფინანსდებოდა? კაი, ბატონო, გავიგეთ, რომ ლელა თავის დროზე, სააკაშვილის საყვარელი ვიზაჟისტი იყო, მაგრამ ძნელად გასაგებია, რა შუაშია და რა დააშავა საქართველოს მოსახლეობის მიერ შევსებულმა ბიუჯეტმა და თითოეულმა მოქალაქემ ისეთი, რომ არც კი იცოდეს, სად გაიფლანგა მისი ფული?

ვინმემ დათვალა, რამდენჯერ ჩაუტარდა „რეკონსტრუქცია" თავისუფლების მოედანს? რამდენჯერ გადააგდე ეს ხელახლა თბილისის ქუჩებში ასფალტი? რამდენჯერ გადაიღება ესა თუ ის ფასადი და რამდენჯერ აოხრდა გმირთა მოედანი? ანდა დათვალა ვინმემ უცხოეთიდან მამასისხლად ჩამოტანილი, რამდენი „უნიკალური" ნარგავი გახმა? ქალაქის გაყვავილება-გამწვანება რა თანხებთან არის დაკავშირებული, იცის ვინმემ? ეს მეორადი საახალწლო „ლუსტრები", „ანგელოზები", „ფიფქები", „წიწვები" და ათასი ხარახურა, რა ღირდა რეალურად და რა ფასი ჩაწერა უგულავამ უწყისებში, იცის, ვინმემ? ანდა, ამ აოხრებულ ქალაქში ამდენი ფინანსების მქონე ქალაქის მერიამ, რით ვერ მოახერხა ის, რომ ერთი სახლი მაინც აეშენებინა, სადაც მიწისძვრით დაზარალებულ თბილისელებს შეუშვებდა და საკუთარ ჭერზე საფიქრალს მოუსპობდა?



**რად? ხომ ყველა ხვდება იმასაც, რომ უგულავას პირადი ფინანსური იმპერია არანაკლებია სააკაშვილისა? არადა, ვის ხარჯზეა ეს ფინანსები მოპოვებული, არ უნდა ვიცოდეთ?**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, — რა ჩვენი გადასახდელი იყო გიგის ცოლის მშობიარობა ავსტრიაში, ანდა მისი უკანალის თუ ტუჩ-კბილ-მკერდის გადიდება სილიკონითა და ბოტოქსით? რამდენი ძვირადღირებული ავტომანქანა, აგარაკი და სახლი აქვთ უგულავების ოჯახს, შეამოწმა ვინმემ? შეამოწმა ვინმემ მისი საბანკო ანგარიშები უცხოეთში? ხომ საინტერესოა, ერთ დროს

**ხონ მართლაც „ქაჯეთის ციხის", ანუ ქალაქის მერიის კლიტენი და მისხალ-მისხალ უნდა შეამოწმონ არამხოლოდ „ბატონი მერიკოს" საქმენი-საგმირონნი, არამედ მერიის კულტურის, მერიის კეთილმოწყობის, მერიის გამწვანებისა თუ გაცისფერების სამსახურები, რომელთა ანგარიშებიც ისევე გაუმჭვირვალეა, როგორიც თავად გიგი უგულავას აღმასვლა „დიდი პოლიტიკის" მრავალსაფეხურიან ბინძურ კიბეზე.**

# gigi ugulavas Tbilisis meriki ara Tbilisis mteri unda erqvas!

ტში იჭრებოდა" და თურმე ამის გამო ასფალტს „ჩორნაია იკრა"-საც ეძახდნენ ხუმრობით „კმარელი" უგულავასთვისაც რომ არ ჩაეკოკლოზინებინა პირი?

გარდა იმისა, რომ უგულავას ქალაქური იმპერია გუდაურსაც მისწვდა (საიდან ამხილა თანხები?) ამავდროულად, „პიარის" თვალსაზრსით, მას, რასაკვირველია, სჭირდებოდა საკუთარი მედია-გამოცემა



„თავისუფლების მოედანი" და „გმირთა მოედანი" ვახსენე... „საერთო გაზეთის" მკითხველს, ჩემი საგაზეთო სტატიებიდან ემახსოვრება, რომ გიგი უგულავას „კრიშა", რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქე ზურაბ წერეთელია და სწორედ გიგის ერთ-ერთი არაოფიციალური ვიზიტის დროს მოსკოვში, დაგეგმეს და გადაწყვიტეს ის, რომ გაუგებარი მხატვრული ღირებულების ქანდაკება „წმ. გიორგი", სწორედ თბილისის მერიიის წინ მდებარე მოედანზე უნდა დამონტაჟებულიყო, ნიშნად დიდი მეგობრობისა... ბატონ ზურაბსა და გიგი უგულავას შორის! მართალია, თვითონ მონუმენტის ტრანსპორტირების ხარჯები თავად მოქანდაკე ზურაბ წერეთელმა გაიღო, მაგრამ, ხომ ძალიან საინტერესოა, — აღნიშნული „ღირშესანიშნაობისთვის" სპეციალურად რეკონსტრუირებულ მოედანს რა თანხეები შეეწირა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ა.შ.?!! ვფიქრობ, დაინტერესებულ პირებს ყურადღების მიღმა არც ის უნდა დარჩეთ, თავად თბილისის მერიის ძველი შენობის ფასადი თუ შიდა პერიმეტრი, რამდენჯერ დაანგრია და მილებ-მოლება უგულავამ! რა მაგის პასუხია და, ჯერ კიდევ კომუნისტური ეპოქის ჩინოვნიკებისგან გამიგია, რომ ყველაზე დიდი და უპრობლემო ფული სწორედ „ასფალ-

და მალევე, ეს საჭიროებაც დაკმაყოფილა გაზეთ „პრაიმ თაიმის" სახით, რომლის მართვის სადავეები მთლიანად, ახლანდელი ცოლის დის ხელში მოაქცია, რასაკვირველია, დიდი ფინანსების თანხლებით! ახლა, რამდენი ხე გაახმო და წააქცია მასხარასავით უგულავამ, ცალკე თემაა, მაგრამ დედაქალაქის სარეკრაციო ზოლის მდგომარეობა რომ კატასტროფულია, ვისი ბრალია ნეტავ?

ანდა, პლეხანოვის ყოფილ გამზირზე და დღევანდელ აღმაშენებლის პროსპექტზე ნახეთ, რა ჩაიდინეს? რა ჩაიდინეს და რამდენჯერმე გადათხარეს, შემდეგ მოაასფალტეს, შემდეგ ისევ გადათხარეს და ასე შემდეგ უსასულოდ, მაგრამ დათვალა ვინმემ რამდენი ხე მოიჭრა და რამდენი დაირგო მთელი ამ წლების განმავლობაში? გემოვნებაზე არ დაობენო, ამბობენ, მაგრამ პირადად მე მოტიტვლებული, უსისცოცხლო და მხოლოდ ფასადებშეკეთებული გამზირი არ მომწონს და არც ის მომწონს, ამ რეკონსტრუქციების რეალურ ბიუჯეტს ასე საგულდაგულოდ რომ ასაიდუმლოებენ ქალაქის მერი უგულავა და მისი დამქაშები! ცალკე თემაა პროექტი თბილისის ახალი სიცოცხლე" და ერთფეროვნად „აღდგენილი" ძველი თბილისის

უნიკალური არქიტექტურა! ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ამდენი მახინჯი მრავალსართულიანი სახლის აგება ქალაქის ცენტრში, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მშენებლობების ნებართვაზეც უგულავა აწერდა ხელს და არცთუ უანგაროდ?

საერთოდ, ბევრი რამ მაკვირვებს „ნაცების" მახინჯ მმართველობისა, მაგრამ ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, გიგი უგულავა ახლა სამხედრო ფორმაშიც ვნახე როგორც სარდალი და ისიც ყვითელი ავტობუსების თანმხლებით, რომლითაც აბსოლუტურად გამოუცდელი რეზერვისტები, სააკაშვილის მიერ დადგმულ ხორცსაკებში გაფუჭებული ავტომატებით მიჰყავდათ!

**ბოლო-ბოლო, ვინ არის ეს ზნეობისგან დაცლილი, უტიფარი და თვალთმაქცი უგულავა ისეთი, რომ მისი ხან მღვდელს უშინია, ხან პატრიარქს და ხანაც მონაზონს? ვინ არის, „მესიის მახვილია" თუ თავად ჭეშმარიტება, რომლისაც უნდა გვჯეროდეს და უნდა ვეთაყვანებოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ვერც პატრიარქის სტიქაროსნად ივარგა! ვერც სასულიერო სემინარიის სტუდენტად, ვერც ჟურნალისტად ტელეკომპანია „იბერიაში", ვერც ემიგრანტად გერმანიაში, ვერც მეგობრად, ვერც ერთგულ მეუღლედ, ვერც მამად და ვერც ვერაფ-**

ჯიბეგაღლეტილი გიგილო საჯარო სამსახურში ასე სწრაფად როგორ აღზევდა და როგორ იშოვა დიდძალი ფული არა მხოლოდ თავისთვის, არამედ იმ ერთგული გოშიებისთვისაც, რომლებიც გიგის ცოლოურების სტრიპტიზ-ბარებში 500-ლარიან სიგარას ექაჩებოდნენ, სვამდნენ კოქტეილ „ორგაზმს" და მოცეკვავე სტრიპტიზიორებს „ტანგებში" ყოველღამ ეროვნულ ვალუტას თუ დოლარებს უტენიდნენ? ამიხსნას ვინმემ, რა კავშირშია ღამის კლუბი და ქალაქის მერიის სამსახურის მიერ იქ გადარიცხული არაერთი ათასი ლარი? ამიხსნას ვინმემ, რატომ დადიოდა წარსულში ე.წ. პრეზიდენტის ყოფილი ვიზაჟისტი, უგულავას საყვარელი და ა.წ. უკვე მეუღლე ლელა კილაძე, თავის დროზე აჭარის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ნაყიდი „ჰამერის" ტიპის მანქანით და ვინ აფინანსებდა მის ყოველ კაპრიზს „კულტურისა" თუ გართობის კუთხით?

**მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემი ღრმა რწმენით, ახალი ხელისუფლების შესაბამისმა სამსახურებმა დაუყოვნებლივ უნდა გატე-**



აქვე რაც შეიძლება სწრაფად ისიც უნდა გაარკვიოთ, რა კავშირშია ბატონი გიგი ოკუპანტად შერაცხულ რუსულ პოლიტ. ელიტასთან და რა სახის მოლაპარაკებებს აწარმოებდა იგი 2008 წლის აგვისტოში სარდლის რანგში, ასევე რუსულ სამხედრო გენერალიტეტთან, რის შემდეგაც საქართველოს ტერიტორიის 23 პროცენტი დაიკარგა.

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S.** სადაც სამართალია, გიგი უგულავას თბილისის მერი კი არა თბილისის მტერი უნდა ერქვას, იმდენი რამ გაუფუჭა თბილისს და თბილისელებს.

— გაუმჯობესებული მიშა გვჭირდება ჩვენო, — განაცხადა ერთხელ პატივცემულმა გიგიმ და პირდაპირ მიგვანიშნა, რომ ეს გაუმჯობესებელი მიშა თვითონ იყო.

მიშას გაუმჯობესების მცდელობას ბიძინა ივანიშვილმა გადაასხა ცივი წყალი პოლიტიკაში თავისი მოულოდნელი შემოსვლით და ბატონი გიგიც ცოტათი დაიჩუტა და მოიმჩვარა, მაგრამ მალევე მოეგო გონს და ახლა სხვა ამპლუა აირჩია — მავნებლობა.

აქამდეც ხომ მავნებლობდა ჩუმ-ჩუმად, მაგრამ ახლა მთლად აიწყვიტა და ღიად, დაუფარავად დაიწყო მავნებლობა — 12 ოქტომბერს ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრ ვანოს შეუამხანაგდა და ასეთი მავნებლური გეგმა გააცნო: — თბილისის მერიამ, ანუ მე ხომ უნდა გავცე სოციალურ დახმარება 600 000 კაცზე?

— მბლამ ბლამ! — დაუდასტურა ვანომ.

— ჰოდა, ახლა შენ, პრემიერ-მინისტრი ვანო, გამოსცემ ბრძანებას, რომ ეს დახმარება მე კი არა შენ, ანუ მთავრობამ უნდა გასცეს.

— ბლუმ, ბლიმ, ბლუ? — დაიბნა ვანო.

— რას ვერ მიხვდი, შე კაცო? შენ დღეს ხარ პრემიერი, რამდენიმე დღეში კი პრემიერი შენს ნაცვლად ივანიშვილი გახდება და ეს სოციალური დახმარება მას ექნება გადასახდელი. ის რომ ამის გადახდაზე უარს იტყვის, ეს 600 000 კაცი ხომ აღშფოთდება და ხომ მიადგება კარზე — ამისთვის მოგეცით ხმაო?! აი, მაშინ მივაწვებით...

— ობლომ, ბლომ, უბლუ-ბლუმ! — მოეწონა ვანოს გიგის იდეა და მყისვე ბრძანებაც გამოაცხო — გიგის რომ თბილისელებისთვის სოციალური დახმარების ფული ჰქონდა გადასახდელი იმას მე, ანუ ბიძინა ივანიშვილი გადაიხდისო.

ვირეშმაკობა და მავნებლობა არ ჰქვია ამას, სხვა რა ჰქვია?

ვირეშმაკობა, მავნებლობა და კიდევ საბოტაჟი.

ჰოდა, თავისი საბოტაჟურ-მავნებლურ ხრიკებით სანამ ეს ქალაქი ფუტკრის სკასავით არ აურევია, გადავირჩიოთ ეს ქალაქის მტერი მერი.

# ratom dasdeven CeCnebi mosaklavad baCo axalaias da ara vano merabiSvils, romelic lafanyuris specoperacias xelmZRvanelobda?





**გვესაუბრება საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ რეგიონალური მიმართულების ხელმძღვანელი, ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:**

**— ბატონო მამუკა, შეიარაღებული ძალების სარდლის დაკავებას მინაშვილი სირცხვილად, ხოლო მერაბიშვილი — ამაზრზენად მიიჩნევს. გმირის დაკავება კაბინეტში 3 საათზე ჩემს დროსაც კი არ ხდებოდაო — განაცხადა ვანომ. პროტესტი მოჰყვა ახალაიას დაკავებასაც როგორ შეაფასებთ ამ „გმირების“ დაკავებას?**

— ქართული ანდაზაა —„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“-ო. მახსენდება ჩვენი ისტორიის ერთი ფურცელი, ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პერიოდში 2 სექტემბრის შეჯახება მომიტინგეებსა და პოლიციელებს შორის, მაშინ პირველი სისხლი დაიღვარა და ახალგაზრდები ვერ ვაცნობიერებდით რა მოხდა. რამდენიმე ასაკოვანმა ადამიანმა მითხრა — ეს პირველი სისხლი, სისხლის ტბების წინამორბედი იქნებაო და მართალიც აღმოჩნდა. მას შემდეგ, საქართველოში ბევრი სისხლი დაიღვარა, შეიცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება, დაიკარგა ბევრი ფასეულობა — ტრადიცია, კულტურა. საზოგადოება, სამწუხაროდ, ამორალური გახდა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტების დროს მუდმივ ტყუილში ვცხოვრობდით, საზოგადოებას სხვა რამ აერთიანებდა. დღეს ეს აღარ არის. სწორედ მაშინდელი პროცესების ექოა დღევანდელობა. ასე რომ, რაც დღეს ხდება არავის უნდა გაუკვირდეს, მითუმეტეს, მერაბიშვილს და მინაშვილს. იმიტომ, რომ ერთმა — მერაბიშვილმა შესანიშნავად იცოდა, რაც ხდებოდა, მინაშვილისნაირ პიროვნებებს — კი არ უნდოდათ გაეგოთ, რაც ხდებოდა. ყველა ამ ქმედებაზე არსებობს პარალელი. გენერალი კობა კობალაძე ასევე სამარცხვინოდ არ დაიჭირეს?! — იგი ქუჩაში დაიჭირეს ხალხის დასანახად, რომელიც მართლაც აფხაზეთის ომის გმირი იყო. გმირი გია კრიალაშვილი არ მოუკლავთ სამარცხვინოდ ქუჩაში?! თუ 3 იანვრის დარბევა დაავიწყდა ვინმეს?! — ვეტერანების მემორიალთან მისულები ქალიან-კაციანად ყველა წიხლქვეშ რომ გაიგდეს? განა მეორე მსოფლიო ომის და აფხაზეთის ვეტერანები საშიმშილოდ სიკვდილისთვის არ გაიმეტეს? დიფერენციაცია მოახდინეს — 2008 წლის ომის ვეტერანები დააფასეს მხოლოდ. ასე, რომ ნურავის ნურაფერი ნუ უკვირს. მათ შემთხვევაში უარესი ხდებოდა. მითუმეტეს, რომ ახალაია დამნაშავეა. ამას ვაცხადებ, როგორც საზოგადოების წარმომადგენელი და არა როგორც იურისტი. ბაჩო ახალაიას მხოლოდ ჯარისკაცების ცემაში კი არ მიუძღვის დანაშაული, არამედ მან მათი ცემით არმიის დისკრედიტაცია მოახდინა და მისი პრესტიჟი დააკნინა. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, ადამიანების დამცირება, შეურაცხყოფა, ბიზნესის წართმევა — ამ ყველაფერში ახალაია მონაწილეობას იღებდა. რაც შეეხება კალანდაძეს, მისი დანაშაული სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი იბრძოდა იმის წინააღმდეგ, რაც რეალურად მისი მოვალეობა იყო, ანუ ჯარის მშენებლობა. ციხის ამბავს თუ გავიხსენებთ, გვანტანამოში მომხდარმა ფაქტებმა აშშ შეძრა, რამაც ძალიან მაღალი თანამდებობის პირების დაკავება გამოიწვია. რატომ უკვირს ოპოზიციას, რომ ქართველ მოსახლეობასაც და სამართალდამცავებს ანალოგიური რეაქცია აქვთ?! საქმე სხვა რამეშია, ამას ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. არც მერაბიშვილის და არც მინაშვილის გამონათქვამები ცინიზმი არ არის, არამედ ეს გეგმის ნაწილია, რომელიც იმ პროცესების დისკრედიტაციას ემსახურება, რაც ახლა საქართველოში ხდება. ემსახურება იმას, რომ ახალაიას ჩადენილმა დანაშაულობებმა პოლიტიკური ელფერი შეიძინოს, ანუ მოხდეს შემდეგი მიდგომის ტირაჟირება — თითქოს საქართველოში დიქტატურაა და დემოკრატიული მშენებლობის პროცესი სწორედ ამან შეაჩერა. აი, ესაა ამოცანა, რომლის ფინალი სიტუაციიდან გამომდინარეა. თუ ამ ტალღის აგორება მოახერხეს, გამორიცხული არაა პრეზიდენტი ამ მოტივით გადადგეს და თქვას — არ დამედგომება ქვეყანაში, სადაც დიქტატურაა, წავიდეს დასავლეთში და იქ მოახდინოს ამის ტირაჟირება. თუ ამ ტალღის აგორება ვერ მოახერხეს, მაშინ პროცესს გააგრძელებენ, სანამ მიზანს არ მიაღწევენ. ისარგებლებენ ან დღევანდელი ხელისუფლების შეცდომებით ან თავად შექმნიან სიტუაციას, რათა ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვას და თავიანთი მიზნის შესრულებაზე ანუ ქვეყნის მშენებლობის, საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესის მშენებლობის შეჩერებაზე, სტაგნაციაზე, ანუ საბოლოო ჯამში ხალხის უკმაყოფილების გამოწვევაზე იზრუნებენ.

**— აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა გააქტიურდეს ყბადაღებული თემა — ნაცების უკან მობრუნების შესახებ. ამის საფრთხეები არსებობს?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ამის საფრთხე რეალურად არსებობს. მიზეზი სხვადასხვაა: პირველ რიგში ესაა გეგმა ძველი ხელისუფლების ძალიან მალე უკან დაბრუნების შესახებ. გარდა ამისა, ისინი ასახელებენ არამარტო მოსვლის თარიღებს, არამედ მოქმედებენ კიდეც. მასიური მღელვარებები, რაც სოციალურ სფეროში ხდება — ეს ორგანიზებულია. ხაზგასმით ვამბობ, ამ ადამიანებს საჩივლელი და სასაყვედურო ნამდვილად აქვთ, ვგულისხმობ, ავტობუსის მძღოლებს, მეშახტეებს, მაღაროელებს, დევნილებს, სოციალურად დაუცველებს და ა.შ. მაგრამ ზოგ შემთხვევაში მათ ისე მართავენ, რომ თავადაც არ იციან. ეს საბოტაჟია. საბოტაჟის სხვა ფორმებიც არსებობს — საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა სექტორი. ესაა ერთი ფორმა, რასაც ყოფილი ხელისუფლება აკეთებს. არის მეორე ფორმაც — დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაცია ევროპაში, დასავლეთში. ამისთვის აქაური ლობისტები გასამმაგებული ძალებით მუშაობენ და ბევრად მეტ ფულს იღებენ. საბოტაჟის თემას თუ გავაგრძელებთ, ძველმა ხელისუფლებამ თავიდანვე იზრუნა ძალოვან სტრუქტურებში თავიანთი ხალხი დაეტოვებინა, ძალიან ბევრი ოფიცერი დააქვეითა, — ოპერის რანგში გადაიყვანა, „შეფუთა“ ისინი, რათა შსს-ში დარჩენილიყვნენ და კრიმინალის წინააღმდეგ არ ებრძოლათ, რათა ქვეყანაში კრიმინალური ფონი გაძლიერებულიყო. მთლიანობაში ამას საბოტაჟი ჰქვია, რომელიც კონკრეტულ მიზანზეა ორიენტირებული. მაგრამ არის მეორე საკითხი, რომელიც არ შემიძლია არ ვთქვა. ეს არის ზოგ შემთხვევაში არასწორი საკადრო პოლიტიკა. ზოგიერთი ჩვენი, — „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი აცხადებს, ქვეყანაში კადრების დეფიციტია. ეს ასე არაა.

**— ხუხაშვილს გულისხმობთ?**

— დიახ. ყველა სფეროში შეიძლება მოვიძიოთ ღირსეული, პატიოსანი ადამიანი, დაწყებული სამეცნიერო სფეროდან ძალოვანი სტრუქტურებით დამთავრებული. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება ციხის თემა იყოს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საკადრო სტრუქტურების შექმნაში ზედიზედ ბევრი შეცდომა დაუშვა. სამწუხაროდ, კადრების შერჩევაში უკვე ბევრი შეცდომაა დაშვებული, ამან დღეს და ხვალ შეიძლება არ იჩინოს თავი, მაგრამ აუცილებლად იჩენს თავს ზეგ. გარდა ამისა, ხალხი აღშფოთებულია. გავიხსენოთ ყვარელის ეპიზოდი. ადამიანი, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს სირცხვილის კორიდორი მოუწყო, დღეს ყვარელის პოლიციის უფროსის მოადგილეა. არ შეიძლება ასე. ასევე ადამიანები, რომლებმაც არჩევნები გააყალბეს, კვლავ თავიანთ თანამდებობებზე სხედან, ამის ნათელი მაგალითია „კუდის“ უფროსის ყოფილი მოადგილე ვაჟა ლილუაშვილი, რომელიც კვლავ თანამდებობაზეა. სხვაგან სხვაა. ამას ხაზი მინდა გავუსვა. ეს რომ ერთეული შემთხვევები იყოს, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ ამაზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ დაუშვებელია ასეთი რამ. ამას ვამბობ, როგორც „ქართული ოცნების“ წევრი, გულშემატკივარი. „ქართული ოცნება“ ის ძალაა, რომელსაც საქართველოს მოწინავე ქვეყნების რიგში ჩაყენება შეუძლია, მაგრამ ამას ორგანიზაციული მუშაობა, სწორედ საკადრო პოლიტიკა და პრიორიტეტების განსაზღვრა სჭირდება.

**— თქვენ, ამბობთ, რომ კადრების საკითხში ივანიშვილს ატყუებენ. ვინ ატყუებს და შეიძლება თუ არა არასწორი კადრების შეთავაზებით ივანიშვილი შეასუსტონ?**

— ამ ხალხს არ ჩამოვთვლი, თავად ივანიშვილმა ძალიან კარგად იცის, ვინ რაზეა პასუხისმგებელი. ზოგს, ეს უცოდინარობით, ზოგს შეგნებულად მოსდის და საბოლოო ჯამში ერთ რეზულტატს ვიღებთ. ხაზს ვუსვამ, ივანიშვილი არ არის ის კაცი, რომელიც ხანგრძლივად მოტყუვდება. შეიძლება მას ზოგიერთ სფეროში გამოცდილება არ ჰქონდეს, მაგრამ ძალიან სწრაფად იკრებს ცოდნას და ძალიან მალე რეაგირებს. შესაძლოა, ერთ, ან ორ თვეში მან უკვე რეაგირება მოახდინოს. ეს ძალიან მწარედ შემოუბრუნდება იმ ადამიანებს, ვინც მის მოტყუებას ცდილობენ. ივანიშვილის გარდა, „ქართული ოცნების“ სხვა წევრებიც არიან ქვეყნის შენებაზე ორიენტირებული და არა იმაზე, რომ ვიღაცის ლობისტი გახდნენ ან რაიმე საქმიდან ფული იშოვონ. აქედან გამომდინარე, შუბი ხალთაში არ დაიმალება, მაგრამ შეიძლება დროებით საქმე გაფუჭდეს, დროებით შესუსტდეს ივანიშვილი და ერთხელ გაკეთებული საქმე მეორედ გასაკეთებელი გახდეს.

**— რადგან კადრების თემას შევეხეთ, ბარემ გკითხავთ, „ქრონიკაში“ ლაშა ამირეჯიბის ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც იგი ამბობს, რომ ხუხაშვილის „დამსახურებაა“ მაჟორიტარობის რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის, თქვენ და ზაზა გოგსაძე პარლამენტის გარეთ რომ დარჩით. ხუხაშვილს უკავშირდება ადგილების გაყიდვაო. რას იტყვით ამაზე?**

— მაგას ვერ დავამტკიცებ და ვერც ვისაუბრებ ამაზე, რადგან, ახლა თქვენგან გახდა ეს ინფორმაცია ჩემთვის ცნობილი. მე და გია ხუხაშვილს ნორმალური ურთიერთობა გვაქვს. ჯერ ერთი, არც მიუწვდებოდა, ალბათ ხელი ჩემი და გოგსაძის პარლამენტარობაზე. ყოველ შემთხვევაში, მე ამის საბუთი არ მაქვს და არც მინდა ასეთი რამ დავიჯერო.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, მაშინ რატომ აღმოჩნდით პარლამენტის მიღმა?**

— იმიტომ, რომ არჩევნები გაყალბდა. ქვემო ქართლი, ნებისმიერი ხელისუფლებისთვის მუდმივად ხმების ბეღელი იყო. გარდაბანში ყველა ქართული უბანი მოვიგე და ყველა აზერბაიჯანული უბანი წავაგე, სწორედ იმ გავლენის გამო, რაც ვაჟა ლილუაშვილს „კუდის“ უფროსის მოადგილეს აქვს. თქვენ მეკითხებით ამის მიღმა რა იყო, გაყიდა თუ არა ვიღაცამ ჩვენი არჩევნები? — მე არაფრის გამორიცხვა არ შემიძლია. მაგრამ ადამიანი, რომელიც თქვენ ახსენეთ — გია ხუხაშვილი, არის მსხვილი ფიგურა, აქ უფრო წვრილფეხობამ იმარჯვა, თუმცა, ესეც ეჭვის დონეზეა და საბუთი არ მაქვს. მაგრამ რად მინდა დამამტკიცებელი საბუთი, როცა ადამიანი, რომელმაც ჩემი შტაბის უფროსის მოადგილეზე ბუბა დვალზე ტერაქტის ორგანიზება გააკეთა — მას სახეში ქიმიური ნივთიერება შეასხეს, ეს ადამიანი ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე დააწინაურეს. და ეს უკვე ჩვენი ხელისუფლების პირობებში. არც კი გადაუმოწმებია ვინმეს, მასზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია თუ არა. მართალია მან მარტო სამი დღე გაძლო ამ თანამდებობაზე, მაგრამ ხომ იყო. სხვათაშორის, ამ ეპიზოდის გამო არ მოუხსნიათ იგი, არამედ იმიტომ, რომ ამ ფაქტმა საზოგადოებრივი აღშფოთება გამოიწვია.

უმძიმეს დანაშაულობებთან გვაქვს საქმე — ხალხის დახოცვასთან, დამცირებაზე, ქართული იდეის დისკრედიტაციასთან. ამ ფონზე არჩევნების გაყალბება ყველას დაავიწყდა. ამ დროს კი ეს მათ არ უნდა შერჩეთ, უნდა დაისაჯონ ამის ორგანიზატორები, სულის ჩამდგმელები. ანუ ის 8-9 დეპუტატი, რომელიც დღეს პარლამენტშია, გაყალბების მეშვეობით გაიმარჯვეს, პარლამენტში არ უნდა იყვნენ. ასეთებია: როლანდ ახალაია, ჩემი კონკურენტი — თემურ ფეიქრიშვილი, კახა ბუცხრიკიძე, რომელიც ჩემი ინფორმაციით სერიოზული დამნაშავეა. ვინც არჩევნები გააყალბა, მათ იგივე ბედი უნდა ეწიოთ. შეიძლება, ახლა ჩვენი გუნდის წარმომადგენლებიდან ვინმე გა-

მინაწყენდეს, მაგრამ ჩვენ ხომ სამართლიანობისთვის მოვედით. სამართლიანობა უნდა აღდგეს.

**— ახლა, როგორ მიდის სამართლიანობის აღდგენის პროცესი?**

— ჯერჯერობით, წვალებით. იმიტომ, რომ ბაჩო ახალაია და სხვა დანარჩენები, ეს ეპიზოდია. ჩვენ სამართლიანი ფრონტის შექმნა გვინდა. ადამიანებს იმედი არ უნდა გაუცრუვდეთ. შეიძლება ტარიფების დაწევა ხვალ და ზეგ ვერ შეუსრულო, მაგრამ სამართლიანობის აღდგენისკენ სვლა უნდა დაინახონ. რასაც არჩილ კუბლაშვილი და თეა წულუკიანი აკეთებენ, ამის დემონსტრირებაა და ეს მომწონს. მათ ყველა უნდა დაეხმაროს. საბოტაჟთან ბრძოლა უკომპრომისო უნდა იყოს. იმის თქმა, რომ კადრები არ გვყავს, მტკნარი სიცრუეა. ყველგან გვყავს კადრები, ამიტომ ჩემთვის მიუღებელია, რომ ზოგი უწყების მინისტრის მოადგილე თავის ადგილას დარჩა, ე.ი. ისინი უპრინციპო ადამიანები არიან და მათგან ნორმალურ პროცესს არ უნდა ველოდოთ. მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროში მინისტრის ყველა მოადგილე დარჩა. ე.ი. მარტო ვერა ქობალიაა ყველაფერში დამნაშავე? — ეს ტყუილია.

**— ამ ყველაფერმა, რამდენად შეიძლება ბიძინა ივანიშვილს ზოგ სფეროში უმართავი პროცესი გაუჩინოს?**

— ივანიშვილი უმართავ პროცესებს არ დაუშვებს, მაგრამ ამან შეიძლება დადებითი პროცესები დაამუხრუჭოს. ბევრი საქმეა გასაკეთებელი და არ გვაქვს ახლა დამუხრუჭების დრო. ამ აურზაურში სულ მიგვავიწყდა რა ხდება გარშემო. სხვათა შორის, გარშემო ჯანსაღი პროცესები არ ვითარდება. აქედან გამომდინარე, ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, პროცესებს საკუთარი გუნდის წარმომადგენლები არ უნდა უშლიდნენ ხელს. ზოგი, დაუკვირვებელი საქციელით, სამწუხაროდ ამ მდგომარეობაში აგდებს საკუთარ გუნდს. სხვათაშორის, დააკვირდით, რამ დაღუპა სააკაშვილი და მისი მაღალორგანიზებული გუნდი? — იმან, რომ სააკაშვილმა კორუფცია დაუშვა, რამაც შიდა პროცესები უმართავი გახადა. რამ გამოიწვია ახალაიას უკან დაბრუნება? — არა იმან, რომ იგი ვაჟკაცია, არამედ ეს თამაშია, ერთგვარი ტაქტიკური სვლა, რომლის ერთ მხარესაა ის, რომ ახალაია გუნდმა გაწირა, მეორე — მან ქართულ ციხეში ჩაჯდომით თავი გადაირჩინა. მესამე — ახალაია, დარწმუნებულია, ცოტა ხანში მოახდენს იმის დემონსტრირებას, რომ იგი ახალ და ძველ ხელისუფლებასთან ვაჭრობს. ეს იმის შედეგია, რომ სააკაშვილმა პროცესები გუნდის შიგნით მიუშვა და რღვევაც სწორედ მაშინ დაიწყო.

**— ახლა, ახსენეთ, ციხეში ჩაჯდომით ახალაიამ თავი გადაირჩინაო. ალბათ, ჩრდილო-კავკასიელებს გულისხმობთ ხომ? რატომ დასდევენ ჩეჩნები მას მოსაკლავად?**

— იმიტომ, რომ მედიის წარმომადგენლებმა ახალაიას გაუპიარეთ, თითქოს მან ლაფანყურის ტრაგედია მოაწყო. რეალურად, იგი არ ყოფილა ლაფანყურის ტრაგედიის უშუალო მონაწილე. ეს სულ სხვა ადამიანმა, ჩემი ვერსიით, ვანო მერაბიშვილმა მოაწყო. ახალაიას იმ ხალხზე თავდასხმა არ განუხორციელებია, მაგრამ ჩრდილო-კავკასიელებს ასე ჰგონიათ. რაც შეეხება, დევნას, ისინი ახალაიას ერთადერთი მტრები არ არიან, არამედ მათ რიცხვშია — კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, ბიზნესმენები, ვისაც ქონება წაართვა და ა.შ.

**— ანუ ტრაგედიის რეალურ მომწყობს — ვანო მერაბიშვილს ჩრდილო-კავკასიელები იმიტომ არ ემტერებიან, რომ შესაბამის ინფორმაციას არ ფლობენ?**

— გეტყვით. სპეც.ოპერაცია ბაჩო ახალაიამ მოაწყო, მაგრამ ვანომ შეასრულა. ახალაიას სულ სხვა დავალება ჰქონდა, სხვა რამ უნდა გაეკეთებინა. კერძოდ, ჩემი ინფორმაციით, ახალაიას შემდეგი გეგმა ჰქონდა: მან რაზმი სამხრეთოსეთის მიმდებარე ერთ-ერთ ქართულ სოფელში განათავსა. ამ რაზმის ამოცანა მოსახლეობის დაწიოკება იყო, რათა ყველაფერი ოსებს დაბრალებოდათ. წინა საარჩევნო პერიოდში ასეთი რამ ძალიან სჭირდებოდა ხელისუფლებას. რაზმმა ეს ბრძანება არ შეასრულა და ამიტომ გადაიყვანეს მერე ლაფანყურში. ამიტომ, იგი ოპერაციას ჩამოაშორეს და დაასრულა ვანო მერაბიშვილმა. მაგრამ ჩეჩნები, ქისტები ახალაიას იცნობდნენ.

**— თუმცა, ამ ეტაპზე დაჭერილია დამნაშავე, რომელსაც თქვენ ეპიზოდი უწოდეთ. რატომ არ ვსაუბრობთ მთავარ დამნაშავეებზე — სააკაშვილზე, მერაბიშვილზე და ა.შ.?**

— ყველა ცოდვას ახალაიას არავინ არ ჰკიდებს. აქ არის ძაფის წვერი, რომელიც უნდა გამოიქაჩოს და რასაც მერე უამრავი სხვა ადამიანის პასუხისგება მოჰყვება. მაგალითად, მასტერა ჰოლანდიაში არ უნდა ისვენებდეს. დარწმუნებული ვარ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც იმოქმედებენ პრინციპით —„მაინც ამოვთხრი". იგივე გოგა ხაინდრავა, რომელიც დათა ახალაიას გირგვლიანის საქმეს არავითარ შემთხვევაში არ შეარჩენს. ეს პროცესის დასაწყისია. ახალაიამ ძალიან ბევრი რამ იცის და რას მოუყვება პროკურატურას, ჯერ არ ვიცით. რაც შეეხება დანარჩენებს —დაიწყებენ მსხვილებიდან და ქვემოთამდე ჩამოვლენ. პირადად მე არ მოვეშვები, სანამ გარდაბნის დამნაშავეებს, ყველას პასუხს არ ვაგებინებ. ერთადერთი ჩემი ლიკვიდაციით შეიძლება ეს პროცესი გაჩერდეს. ხაზგასმით ვამბობ, ვერავითარი მოლაპარაკება, ზემოდან ბრძანება ვერ გამაჩერებს. იმიტომ, რომ ახალგაზრდა კაცი — ბუბა დვალი სასიკვდილოდ გაიმეტეს, ბევრიც ცემეს და ა.შ. დარწმუნებული ვარ, წულუკიანი სამართლიანობის აღდგენის საქმეში, უკან არაფერზე დაიხევს. ეს ივანიშვილის მყარი დირექტივაა, რომელიც ხელისუფლებაში ფულის საკეთებლად ან ვიღაცის ხუშტურებზე სასიარულოდ არ მოსულა.

**თამარ შველიძე**

# zaza gogsaZe: kaxa bucxrikiZe, romelmac parlamentSi Cemi adgili daikava, patimrebis wamebaSia eWvmitanili



გვესაუბრება კოალიცია „ქართული ოცნების" წევრი **ზაზა გოგსაძე:**

**— ბატონო ზაზა, არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად აღარ ჩანხართ. რა მოხდა თერჯოლაში?**

— არჩევნები, კონკრეტულად თერჯოლის რაიონში, სადაც მაჟორიტარი კანდიდატი გახლდით, გაყალბდა. უამრავი დარღვევა დაფიქსირდა — დატრიალდა კარუსელი — ამომრჩევლები სამარშრუტო ტაქსებით მოიყვანეს, მაგრამ მთავარი დარღვევა ის იყო, რომ თერჯოლაში სპეც. უბანი შექმნეს, რომელიც აქამდე არასდროს ყოფილა, ანუ სპეციალურად არჩევნებისთვის სამხედრო ნაწილი შექმნეს. ორმაგ დარღვევას ჰქონდა ადგილი იმ მხრივ, რომ თერჯოლაში სპეც. ნაწილი არასდროს ყოფილა, იქ უბრალოდ ერთი სასროლეთი იყო, სადაც ხალხი სროლას სწავლობდა. არჩევნებისთვის კი 900-ზე მეტი ჯარისკაცისთვის სპეც. უბანი შექმნეს, სპეციალურად ააშენეს ბარაკები, სადაც არავინ ცხოვრობდა. არჩევნების შემდეგ იქ არავითარი ნაწილი აღარ არის. ეს უბრალოდ ბაჩო ახალაიას საჩუქარი იყო კახა ბუცხრიკიძისთვის, რათა მას გარანტირებულად მოგებულად ეგრძნო თავი. ამის ხარჯზე წავაგე არჩევნები. სპეც. უბანი რომ არა „ქართული ოცნება" თერჯოლაში გაიმარჯვებდა.

**— როგორც ვიცი, შედეგი გაასაჩივრეთ...**

— როგორც ჩანს, სასამართლო ჯერ ისევ სააკაშვილის კონტროლქვეშაა. ამიტომ, სასამართლომ საჩივარზე უარი გვითხრა. თუმცა, ესენი ყველაფერზე აგებენ პასუხს. ის, რომ სპეც.უბანი შექმნეს ერთი კანონდარღვევაა, მაგრამ მეორე კანონდარღვევა ისაა, რომ ცესკომ მაჟორიტარ დეპუტატზე ხმის მიცემის უფლების გადაწყვეტილება მიიღო. ეს წარმოუდგენელია. ასეთ უბნებში, საერთოდ გარედან მოჰყავთ ხალხი. სხვა, მეზობელი რეგიონიდან ჩამოყვანილმა ხალხმა რატომ უნდა მისცეს თერჯოლის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ხმა, გაუგებარია.

**— ამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას როგორ აპირებთ?**

— მე უკვე ბოლომდე ვარ ნაბრძოლი. თერჯოლაში ისეთი მღელვარება იყო, ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა — ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდა, მაგრამ საარჩევნო კომისიამ ადგილზე, ჩუმად მიიღო გადაწყვეტილება, ჩუმად უყარეს კენჭი. ვიბრძოლე ბოლომდე. არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ, როგორც ამბობენ ბუცხრიკიძე შემჩნეულია ციხის წამების ამბებში. იგი წლების მანძილზე ბაჩო ახალაიას მოადგილე იყო, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, ისე მისი თავდაცვის მინისტრობის დროს. არ მინდა პიროვნების უდანაშაულობის პრეზუმცია დავარღვიო, მაგრამ თუ ბუცხრიკიძე ან სხვა ვინმე დამნაშავე იქნება, მათ მოეხსნებათ იმუნიტეტი, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში და იმ უბნებზე, საიდანაც ისინი მაჟორიტარი დეპუტატები გახდნენ, ხელახალი არჩევნები დაინიშნება. ეს კი დღევანდელი კანონმდებლობით მომდევნო ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

**— როგორც აღნიშნეთ, ბუცხრიკიძე ციხის წამების ფაქტებშია ეჭვმიტანილი და ცნობილ კადრებში ერთგან მისი ხმაც ისმის. რას იტყვით ამაზე?**

— კი, ასე ამბობენ, როგორც აღვნიშნე, იგი წლების მანძილზე ახალაიას მოადგილე იყო. ახალაიას პერიოდშია სწორედ პატიმრებისადმი სასტიკი მოპყრობა დაწყებული. ბუცხრიკიძე კი მოადგილე იყო. ამას შესაბამისი ორგანოები გამოიკვლევენ და გადაწყვეტილებასაც მიიღებენ. როგორც გავიგე, პირი, რომელიც პატიმარს ეუბნება — მოწიე სიგარეტიო — ბუცხრიკიძეა. მაგრამ ასე ნათქვამი არაფერს ნიშნავს, ეს მას უნდა დაუმტკიცდეს, რის შემდეგაც მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. თუ მას ეს დანაშაული დაუდასტურდება, მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. მაგრამ ბუცხრიკიძეს უამისოდაც უსამართლოდ აქვს დაკავებული პარლამენტში ჩემი ადგილი. იმიტომ, რომ არჩევნები გაყალბებით მოიგო და ორმაგი დარღვევაა ის, რომ სპეც.უბანს მაჟორიტარისთვის არ უნდა მიეცათ ხმა. არჩევნების დროს ბუცხრიკიძე და მისი შტაბი ჩამუქებული შუშებიანი მანქანებით უკან დაგვსდევდა, აშინებდნენ მოსახლეობას, რათა „ქართული ოცნების" მიტინგებზე არ გამოსულიყვნენ, ჩვენთვის არ მოეცათ ხმა, თორემ დახმარებებს მოუხსნიდნენ და ა.შ. მოკლედ, უკანონო ქმედებებს ახორციელებდნენ. ბუცხრიკიძე ახალაიას მოადგილე იყო და ბაჩანამ მას საჩუქარი გაუკეთა თავდაცვის — სამინისტროს სწორედ მისთვის მიაცემინეს ხმა. არსებობს კადრები, სადაც ჯარისკაცები ამბობენ, რომ არ იციან რატომ იყვნენ ამ ნაწილში მიწერილები, მიმაგრებულები. საქმე ადგილობრივ პროკურატურაშია და მოკვლევა გრძელდება.



**— ხალხმა ახალ ხელისუფლებას ხმა პირველ რიგში იმიტომ მისცა, რომ სამართლიანობა აღდგენილიყო. როგორ ფიქრობთ, ამ მიმართულებით როგორ მიდის საქმე?**

— დიახ, პირველ რიგში, ხალხმა „ქართულ ოცნებას" ხმა მისცა სწორედ იმიტომ, რომ ქვეყანაში უსამართლობა აღარ ყოფილიყო. პირადად მე ოპოზიციაში უსამართლობის განცდამ წამიყვანა. სამართალი აუცილებლად იზეიმებს. ჩვენ ანგარიშსწორებისთვის არ მოვსულვართ, მაგრამ ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. ასე თუ არ მოხდა, ამას ხალხი არ გვაპატიებს.

**— თქვენ დიპლომატი ბრძანდებით და ბოლოს საგარეო მიმართულებებზეც მინდა გკითხოთ, როგორია თქვენი ხედვა?**

— ვაგრძელებთ დასავლეთისკენ მიმავალ კურსს. მგონი ხალხი უკვე დარწმუნდა იმ პიარის აბსურდულობაში, რასაც ჩვენ გვაბრალებდნენ რუსეთის აგენტები ხართო. იგივე ნატოში შესვლა, ევროკავშირთან აქტიური თანამშრომლობა რეალურ ნიადაგზე უნდა დადგეს. თუმცა, რუსეთთან ურთიერთობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, იმ ჭაობიდან უნდა ამოვიდეთ, რაშიც ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაა ჩაფლული. ეს ურთულესი იქნება, რადგან მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, მაგრამ ეს არ ნიშნავს ვიძახოთ, რომ პერსპექტივა არ ჩანსო. პერსპექტივა არის, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ურთიერთობები მკვდარი წერტილიდან დაიძრას.

**— დასავლური კურსი და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა თანხვედრაში რამდენად მოდის?**

— ეს არ არის იოლი, მაგრამ არც მიუღწევადი. ამას მუშაობა სჭირდება. მერწმუნეთ, დასავლეთს გაცილებით ურჩევნია ისეთი საქართველო, რომელსაც რუსეთთან პრობლემები მეტ-ნაკლებად ექნება მოგვარებული, ვიდრე საქართველო, რომელიც რუსეთთან მუდმივ დაძაბულ ვითარებაშია.

**— დასავლეთისკენ კურსი ძველ ხელისუფლებასაც ჰქონდა აღებული. იგივე, ნატოში, ევროკავშირში გაწევრიანება იყო მათ პრიორიტეტებში. მაშინ რით განსხვავდება თქვენი გუნდის ხედვა მათგან?**

— მათი დასავლეთისკენ სვლა მხოლოდ პიარისთვის გამიზნული აქცია იყო. თქვენ, მართლა გგონია, რომ მათ რუსეთს ზურგი შეაქციეს?! ასე, რომ იყოს ყველა ობიექტს რუსეთს კი არ მიჰყიდიდნენ. გავიგეთ, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ მასთან საუბარია საჭირო, რათა ჩვენი ტერიტორიის დეოკუპაცია მოვახდინოთ.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rodis Seicvleba narkomafiis karnaxiT miRebuli kanonebi?



* * *

დაუზუსტებელი ინფორმაციით, საქართველოში 300 000-მდე ნარკოტიკის მომხმარებელია, თუმცა ზოგიერთები თვლიან, რომ ეს ციფრი ზედმეტად გაბერილია და ნარკოტიკის მომხმარებელთა რაოდენობა 150-200 ათასს არ აჭარბებს.

თუნდაც 150 000 ადამიანი იყოს, ამ 150 000 კაცმა დღეში 4-5 ლარი რომ დახარჯოს, უზარმაზარ თანხებს ვიღებთ – დღეში 600 000 – 700 000 ლარს, თვეში 18-20 მილიონს.

საქართველოში 24 000-მდე პატიმარია.

მართალია, ახალმა ხელისუფლებამ უკვე დაიწყო პატიმრების მცირე ჯგუფების გამოშვება, მაგრამ პროცესი იმდენად ნელა მიდის, შეიძლება ამ პროცესის ბოლომდე მიყვანას წლები დასჭირდეს.

სამართალდამცავები, იურისტები, ადამიანის უფლებათა დამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციები გაცხოველებულნი ბჭობენ და კამათობენ თუ რა გზით და რა ფორმით უნდა მოხდეს პატიმართა განთავისუფლება.

საუბარია ამნისტიაზე, სასჯელთა შეკრებითობის პრინციპის გაუქმებაზე, საქმეების ხელახალ გადასინჯვასა და გადახედვაზე და ა.შ.

– ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება, ჯამში, რაღაც სერიოზულ შედეგს მოგვცემს და შეიძლება, პატიმართა რაოდენობა განახევრდეს – კმაყოფილებით ასკვნიან პატიმართა განთავისუფლების საკითხზე მომუშავე ადამიანები, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი მაინცდამაინც დიდად კმაყოფილები არ უნდა ვიყოთ – 24.000-ის ნახევარი 12 000-ია და ესეც ძალიან დიდი რიცხვია ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

როგორც ვთქვით, ფრიად მრავალფეროვან მოსაზრებებს ვისმენთ პატიმართა განთავისუფლების გზებსა და მეთოდებზე, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, არავინ არაფერს არ ამბობს ერთ საჭირბოროტო და უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემაზე. რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოში პატიმართა რაოდენობის ზრდის არნახულ ტემპებთან.

**საქმე ის არის, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი ნარკოტიკების მოხმარების, ნარკოტიკების შენახვა-გასაღების მუხლით არის გასამართლებული და დაპატიმრებული, თუმცა, ამ ადამიანთა უმრავლესობა არც ნარკომანი ყოფილა ოდესმე და არც წამლის ბარიგა.**

მოგეხსენებათ, სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლები, რომელთა მიხედვითაც პატიმრობას ექვემდებარება ნარკოტიკის მომხმარებელი ან პირი, რომელსაც კანონით დადგენილ ნორმაზე მეტი ნარკოტიკული საშუალება აღმოაჩნდება.

კანონის ეს მუხლები ძალზე ეფექტური და იმავე დროს იოლად განსახორციელებელი საშუალება აღმოჩნდა უზნეო და ამორალური ხელისუფლების ხელში, რომ სხვადასხვა მოტივით არასასურველი მოქალაქეებისთვის ანგარიში გაესწორებინა და ციხეში გამოემწყვდია ისინი.

ბიზნესმენი მ.რ. რამდენიმე პოლიციელმა გააკავა, კანქვეშ ნარკოტიკული საშუალება შეუშხაპუნეს, შემდეგ ნარკოლოგიურ შემოწმებაზე წაიყვანეს და ნარკომანობა „დაუდგინეს“.

სამხედრო პირს ტ.წ.-ს, რომელმაც წყალი მოითხოვა ნარკოტიკებით გაჯერებული წყალი დაალევინეს.

ტ.წ.-ს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ნარკოტიკული ნივთიერებით თრობა დაუდგინდა. მას 7 წელი და 6 თვე მიუსაჯეს.

მოქალაქე გ.დ. პოლიციელებმა გონივრული ეჭვის საფუძველზე ქუჩაში გააჩერეს, გაჩხრიკეს და... გ.დ.-ს გასაოცრად წინდიდან 3 აბი სუბოტექსი „ამოუღეს“.

მსგავსი ფაქტები ჩვეულებრივი, ტიპიური მოვლენა იყო სააკაშვილის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის დროს.



კანონი, რომელიც ერთი შეხედვით, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით იქნა მიღებული, სააკაშვილის რეჟიმმა პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად აქცია.

პარალელურად ის საჯარიმო სანქციები, რომლებიც ნარკოტიკის მომხმარებლებისთვის დაწესდა, არაკეთილსინდისიერი პოლიციელებისთვის ფულის კეთების უებარი საშუალება აღმოჩნდა.

ნარკოტიკის მოხმარების პირველი შემთხვევა 500 ლარით ჯარიმდება, მეორე შემთხვევა – 1500 ლარით.

ჯარიმით ნარკომანი, რა თქმა უნდა, ნარკომანობას ვერ გადაეჩვევა.

სამართალდამცავები, რომლებსაც ნარკომანების გრძელი სია ედოთ წინ, პერიოდულად ჩამოივლიდნენ და ფულს აწერდნენ ისედაც გაუბედურებულ ნარკომანებს და მათ ოჯახებს.

წარმოუდგენელია, ასეთი კოლოსალური თანხის ბრუნვა თვითნებურად, უკონტროლოდ იყოს მიშვებული.

**საქართველოში ნარკომაფია, ოფიციალურად, თითქოს არ არსებობს, მაგრამ რეალობას თუ გავუსწორებთ თვალს, სინამდვილეში, საქართველოში ნარკომაფიაც არსებობს და ნარკობიზნესიც ჰყავის და იფურჩქნება.**

**ვითომ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით მიღებული ზემოთნახსენები კანონები სწორედ ნარკომაფიის კარნახით და მითითებით მიღებულს ჰგავს, კანონები, რომლებიც შესანიშნავად მოერგო ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებსაც.**

დღეს თუ მართლა გულწრფელად გვინდა ოპერატიულად შევამციროთ პატიმართა უზომოდ დიდი რაოდენობა, საჭიროა, პირველ რიგში, იმ ანტიადამიანურ, ანტიჰუმანურ სისხლის სამართლის მუხლებს გადავხედოთ, რომლებიც ნარკომანიასთან დაკავშირებით არის მიღებული.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის და ჩვენი მთავარი ორიენტირი ევროპული ღირებულებებია, თუმცა სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა – შუა უზის დიდი ზღვარი.

სამწუხაროდ, ჩვენი მიდგომები თუნდაც ნარკომანიასთან დაკავშირებით, აშკარად არაევროპული, აშკარად არაცივილიზებულია.

თუ შევთანხმდებით, რომ ნარკომანია ავადმყოფობაა, ნარკომანი ავადმყოფია, მაშინ იმაშიც უნდა შევთანხმდეთ, რომ ავადმყოფს შველა და მკურნალობა სჭირდება.

სადამსჯელო მეთოდებით ნარკომანის „გამოჯანმრთელება“ ისევე უშედეგოა, როგორც სხვა ჩვეულებრივი ავადმყოფის განკურნების მცდელობა დასჯით და რეპრესიული ხერხებით.

ნარკომანებიც ადამიანები არიან, რომლებსაც ბედისწერამ მძიმე და მტანჯველი ხვედრი არგუნა.

მათ თანადგომა, თანაგრძნობა და დახმარება სჭირდებათ და არა სადიზმთან მიახლოებული ცინიკური კანონები.

ცინიზმია, როცა ნარკომანს, ნარკოტიკის პირველად მოხმარებისთვის ფულად ჯარიმას უწესებ, მეორე შემთხვევაში, ამ თანხას სამჯერ უზრდი, მერე კი ციხეში სვამ...

* * *

უკანონოდ, უსამართლოდ, უდანაშაულოდ ციხეებში გამომწყვდეული პატიმრების გათავისუფლების მექანიზმებზე როცა ვფიქრობთ, პირველ რიგში, სჯობია, ვიფიქროთ იმ კანონების დაუყოვნებლივ შეცვლასა და გაუქმებაზე, რომლებიც უდანაშულო ადამიანების დადანაშაულების საშუალებას იძლევა.

**გააუქმეთ ნარკომაფიის და კრიმინალური რეჟიმის მიერ შეხმატკბილებულად მიღებული ცინიკურ-სადისტური კანონები ნარკომანიასთან დაკავშირებით და ქართული ციხეები მომენტალურად დაიცლება იმ ადამიანებისგან, რომლებიც იქ არ უნდა იყვნენ...**

**გიორგი გამეზარდაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



## kaxa kaxiSvili:

# პროკურატურას დღეს შეცდომის დაშვების უფლება არ აქვს

***ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ-სამართლებრივ ვითარებასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს" ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში კახა კახიშვილი ესაუბრა.***

**— მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ" ხელისუფლება გადაიბარა, ქვეყანაში ყველამ ერთბაშად მოისურვა შელახული უფლებების დაცვა. რამ გამოიწვია საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის ერთდროული მასობრივი პროტესტი?**

— ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ პროცესი, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ იმართება და პროტესტი, რომელიც მართლაც სოციალური სიდუხჭირისგანაა გამოწვეული. ბოლო რვა წლის განმავლობაში ხალხი უკმაყოფილებას ვერ გამოხატავდა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი მათ უკეთესობის იმედი გაუჩნდათ, ცვლილებების მოლოდინში არიან და პროტესტსაც ამის გამო გამოთქვამენ. წინა ხელისუფლება მოგეხსენებათ, აქტიურად მუშაობს ისეთ სენსიტიურ თემებზე, როგორიცაა პენიტენციარული სისტემის პრობლემები, დევნილთა საკითხი, სოციალურად დაუცველი ადამიანები, მომსახურე პერსონალი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ არსებული შრომის კოდექსის პირობებში მონებად აქცია. ამიტომ „ნაციონალები" ყველანაირად ცდილობენ ქვეყანაში პროცესების დაძაბვას.

**— როგორ ფიქრობთ, წინა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული საპროტესტო კერები ივანიშვილის გუნდმა როგორ უნდა აღმოფხვრას?**

— მოგეხსენებათ, არსებობს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამთავრობო პროგრამები. პირველ რიგში, ივანიშვილის გუნდმა უნდა აამუშაოს მოკლევადიანი სოციალური პროგრამები, რომელიც, უახლოეს დროში, შედეგზე ორიენტირებული იქნება და სოციალურ მდგომარეობას შედარებით გააუმჯობესებს. სავარაუდოა, რომ ზამთრის დადგომასთან ერთად წინა ხელისუფლების ინიციატივით, ქვეყანას გაზის მომარაგებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნას. მსგავსი კერების აღკვეთას პროკურატურის მხრიდან დროული აღკვეთა სჭირდება, რათა გაშიფრონ ის ნაღმები, რომლითაც სააკაშვილის გუნდი ცდილობს პროვოცირებას.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში საბოტაჟის ნიშნებია, რაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია, რომელიც მიზნად ისახავს ხელისუფლების შესუსტებას. ამიტომ პროკურატურამ აქტიურად უნდა იმუშაოს, რათა ყველა მართული პროცესის ავტორი გამოამჟღავნოს.



**— შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციას გააჩნია ბერკეტი ქვეყანა და პროცესები ჩიხში შეიყვანოს?**

— ოპოზიციას ვითარების გასართულებლად ჯერ კიდევ ბევრი ბერკეტი გააჩნია. მოგეხსენებათ, პრეზიდენტის ინსტიტუტი საკმაოდ ძლიერია და ბევრი უფლებამოსილება გააჩნია. ამასთან „ნაციონალური მოძრაობა" რვა წლის განმავლობაში აბსოლუტურად ყველა დაწესებულებაში სხვადასხვა თანამდებობაზე ადამიანებს ნიშნავდა პოლიტიკური გემოვნებისა და შეხედულების მიხედვით. ამიტომ ახალი ხელისუფლების მხრიდან აუცილებელია ყველა ამ პირის გამოვლენა, რომლებიც სხვადასხვა უწყებებში „ნაციონალების" ხისტ პოლიტიკას ატარებდნენ. ეეს პირები პოლიტიკურად მოტივირებულნი არიან და შესაძლებელია, ეს რესურსი „ნაციონალურმა მოძრაობამ" საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს, ამიტომ ასეთი კატეგორიის ხალხი ივანიშვილის ხელისუფლებაში აღარ უნდა მუშაობდეს, თუმცა ბევრი მათგანი სამინისტროებში რჩება, ან ხელახლა ინიშნებიან სხვადასხვა თანამდებობებზე.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი? ახალი ხელისუფლება სუსტია და მართვის ბერკეტები ხელში ბოლომდე ვერ აიღო?**

— ნაწილობრივ მიზეზი ესეცაა. მეორე მხრივ, პრობლემა განპირობებულია იმით, რომ ქართველები ვერ გადავეჩვიეთ ნაცნობობით სამსახურში მიღებას, ასე, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენება უნდა შეწყდეს. შეიქმნას სპეციალური ბაზა, სადაც ნებისმიერ ადამიანს დამსახურებისა და გამოცდილების მიხედვით შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს.

**— საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ მასობრივი პროტესტი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს ნაწილი წინა ხელისუფლებისგან იმართება, ნაწილი მართლაც სოციალური უკმაყოფილებითაა განპირობებული. როგორ ფიქრობთ, სამართლიანი პროტესტი ხელისუფლების სერიოზული გამოწვევაა?**

— ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის გუნდი სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად და სასიკეთო ცვლილებების გამო მოვიდა. პრემიერი ივანიშვილი არ არის ადამიანი, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა ბიუჯეტიდან თანხების მოპარვის მიზნით, ან ოჯახური კლანის დამკვიდრებისთვის. თუმცა ბიძინა ივანიშვილმა თავისი გუნდის კონტროლი უნდა უზრუნველყოს, რათა რომელიმე მათგანს ბოროტული ამბიციები არ გაუჩნდეს.

**— როგორ ფიქრობთ, საზოგადოება მზადაა ქვეყანაში შექმნილი პრობლემები ცივილურად გადაწყვიტოს და საჭირო არ გახდეს ქუჩაში გამოსვლა?**

— ქუჩაში გამოსვლაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ცხადია, ხალხს თუ ამის სამართლიანი საფუძველი გააჩნია, უნდა გამოვიდეს, მაგრამ ყველაფერი კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. თუმცა, ვფიქრობ, რომ ხელისუფლების



მხრიდან სოციალური ყოფა გაუმჯობესდება და ამ მიზნით ხალხის ქუჩაში გამოსვლა აუცილებელი არ გახდება.

**— უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, პოლიტიკური ოპოზიციის მომავალსა და ქვეყნის დემოკრატიას საფრთხე ემუქრება და ისინი ვერ მოიქცევიან ისე, თითქოს, ქვეყანაში არაფერი ხდება. თქვენ რას ფიქრობთ, რამდენად საფუძვლიანია ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება?**

— ბაქრაძის განცხადება არის ერთი დიდი სისულელეს პატარა ეპიზოდი. „ნაცმოძრაობის" მიზანია, ქვეყანაში, ერთის მხრივ, გარკვეული პრობლემები შექმნას, ხოლო, მეორე მხრივ, ტანჯული ოპოზიციის მანტია მოირგოს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის ხალხია, რომელიც კარგად იცის პოლიტიკური ტექნოლოგიები, უცხოეთში, კარგი კონტაქტები აქვს და ისინი საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებს მათთვის სასარგებლო ინფორმაციას აწვდიან. აამიტომ ყველაფერი დამოკიდებულია ახალი გუნდის პროფესიონალიზმზე. სამინისტროს ხელმძღვანელები ერთი თავით მაღლა უნდა იდგნენ ოპოზიციის წარმომადგენლებზე, რათა რეალურად გაშიფრონ „ნაციონალური მოძრაობის" სქემები, რადგან ისინი „ქართული ოცნების" თითოეულ შეცდომას კარგად გამოიყენებენ.

**— დიდი ხანი არაა, რაც „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა, ამ პერიოდის განმავლობაში თუ შეგიძლია შეცდომის გამოყოფა, რომელიც ივანიშვილის გუნდმა დაუშვა?**

— „ქართულ ოცნებას" საკადრო სფეროში სერიოზული პრობლემები აქვს. იკვეთება ნათესაურ-ბიძაშვილური კავშირები, რაც მოსაწონი არ არის. მათ ხალხთან კონტაქტი უნდა აღადგინო ისეთი ფორმით, როგორც არჩევნებამდე ჰქონდათ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბევრ თანამდებობის პირს სურვილი გაუჩნდა გამოერთო ტელეფონი, არ პასუხობენ სატელეფონო ზარებს, ნაწილმა ნომრები შეცვალა და მოსახლეობასთან კონტაქტზე აღარ გამოდიან.

**— როგორ ფიქრობთ, პროცესი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ორხელისუფლებიანობაა?**

— ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა არის, რადგან ვიცით, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას მინისტრთა კაბინეტის ნაწილში „ქართული ოცნება" აკონტროლებს. მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობას" სერიოზული ბერკეტები აქვს პრეზიდენტის უფლებამოსილებით, სასამართლო რესურსებით, საელჩოებითა და ბევრი სხვა მექანიზმებით. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სასამართლო კომპლექტდებოდა პოლიტიკური ნიშნით და სააკაშვილისეული სასამართლოს თავმჯდომარეები თანამდებობებზე ჯერ კიდევ რჩებიან და მუშაობენ. ამასთან, საქართველოს ელჩები სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც წინასაარჩევნოდ „ნაციონალური მოძრაობის" წისქვილზე ასხამდნენ წყალს, ჯერჯერობით, ბიძინა ვერ ხსნის, რაც ოპოზიციისთვის სერიოზული რესურსია. ამასთან, ვნახეთ, რომ პროკურატურამ დააკავა თავდაცვისა და შსს ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი გიორგი კალანდაძე და მეოთხე ქვეითი ბრიგადის ხელმძღვანელი ზურაბ შამათავა. ბუნებრივი იყო, სასამართლო, რომელიც რვა წლის განმავლობაში ხალხს პოლიტიკური ნიშნით აპატიმრებდა ახლა უკვე სკრუპულოზურად დაიწყებდა საქმის მასალების შესწავლას. აღკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე როცა ვსაუბრობთ, აქ რეალურად საუბარი არ არის დანაშაულის სიმძიმეზე, არამედ სასამართლო არკვევს, რამდენად შეუძლია ბრალდებულს თავისუფლებაში ყოფნის პერიოდში ხელი შეუშალოს გამოძიებას. აქედან გამომდინარე, ჩემთვის, პირადად, გასაკვირი არ იყო კალანდაძის, შამათავას გათავისუფლება და სასამართლო პროცესამდეც ვაცხადებდი, რომ მოხდებოდა მათი გათავისუფლება, ხოლო ახალაიას პატიმრობაში დატოვებდნენ.

**მირანდა ნაბახტეველი**

## ნოდარ ხადური ხვალ აჭარაში შეხვედრებს გამართავს



საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დღეს აჭარაში სამუშაო შეხვედრებს გამართავს. როგორც „მედიანიუსს" ფინანსთა უწყებაში განუცხადეს, მინისტრი 11:00 საათზე აჭარის მთავრობის სახლში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ გიორგი თავართქილაძეს შეხვდება. ამის შემდეგ, 12.00 საათზე შეხვდება აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძეს. 13.00 საათზე ნოდარ ხადური სასტუმრო „ბათუმი შერატონში" გადაინაცვლებს, სადაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად ადგილობრივ ბიზნესმენებს შეხვდება და რეგიონში მიმდინარე პროექტებზე იმსჯელებს.

მოგვიანებით, 15.00 საათზე კი იგი ფინანსთა სამინისტროს რეგიონალურ ცენტრში რეგიონული სამმართველოების ხელმძღვანელებს შეხვდება.

**„მედიანიუსი"**

## ვიქტორ ჭელიძე:

# dRes Zebnili var general iremaZis mkvlelobis saqmeze, Tumca braldebis damamtkicebeli aranairi sabuTi ar arsebobs

## „ამოიღოს ხმა ზაზა მჭედლიძემ და პაატა მაისურაძემ და თქვან სიმართლე ზურა ირემაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით...“

**ამ ინტერვიუს გაცნობის შემდეგ, ვვარაუდობთ, კიდევ ერთხელ გახდება ნათელი ე.წ. „ვარდების რევოლუციით“ მოსული ახალგაზრდების მავნებლური ქმედებები ქართული სახელმწიფოს მიმართ. როგორც ბატონი ვიქტორ ჭელიძე ბრძანებს — რუსულ პოლიტიკურ წრეებთან ფარულ ალიანსში მყოფი ნაციონალები, რომლებიც ახლა სხვებს აბრალებენ რუსეთის აგენტობას, წლების განმავლობაში მიზანმიმართულად სპობდნენ ქართულ შეიარაღებულ ძალებში პროფესიონალ კადრებს. იცილებდნენ მათ სხვადასხვა ხერხით და გარდაცვალების გარემოებებს კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებდნენ.**

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ყოფილ მოადგილესთან ვიქტორ ჭელიძესთან.**

**— ბატონო ვიქტორ, ლადო ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით თქვენმა გვარმა არაერთხელ გაიჟღერა. ვინ ხართ თქვენ, საქართველოში ბევრი არ გიცნობთ?**

— მართალია, ქართული საზოგადოება, არ მიცნობს, მაგრამ შეიარაღებულ ძალებში ვინც მოღვაწეობდა, ყველამ იცის, ვინც ვარ. მიცნობს. 1991 წლიდან 2005 წლამდე საქართველოს სამხედრო ძალებში ვმსახურობდი, სამი პრეზიდენტის მმართველობას მოვესწარი, ჯარს ახსოვს ჩემი სახელი.

2005 წელს წამოვედი საქართველოდან, მაშინ საზღვაო ძალების სარდლის პირველი მოადგილე ვიყავი და იმის გამო, რომ ოქრუაშვილი და მისი ბანდა დაუკავშირდა იმ ხალხს, ვისაც მანამდე ვებრძოდით საქართველოში როგორც დაზვერვა, ისევე კონტრდაზვერვა, როცა **ოქრუაშვილმა იგორ გიორგაძესთან** კავშირი გააბა, მაშინვე გადავწყვიტე მათთან დაშორება. თავიდანვე ვერ ვიტანდი იმ ხალხს, ვინც ფულს ხარჯავდა იმისთვის, ქართველებს რომ ერთმანეთი დაეხოცათ.

დღეს მე ძებნილი ვარ გენერალ ზურა ირემაძის მკვლელობის საქმეზე, მაგრამ ამ საქმეზე არ არსებობს არავითარი მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიმყოფებოდი ქვეყანაში, მუდმივ კონტაქტში ვიყავი ჩემს ძველ კოლეგებთან და, აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულებას შეეძლო დავეკითხე ან დავეკავებინე.

იმ ხანებში მე და ზურა ირემაძე ვმუშაობდით საზღვაო ძალების კონცეფციაზე. 2004 წელი იყო და ზურა უკვე წარდგენილი იყო გენერლობაზე.

**— დავალება გქონდათ, რომ ეს კონცეფცია შეგემუშავებინათ?**

— არა. ჩვენი ინიციატივით ვაკეთებდით ამას.

ჯერ კიდევ 1998 წელს არ არსებობდა საქართველოში სამხედრო-საზღვაო ფლოტი. რაც იყო, იმასაც რუსები აკონტროლებდნენ, სარდალი ჰაიდაროვი („ენვერი“), მისი მოადგილე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი **ბეიკინი,** შტაბის უფროსი **ივანოვი** და დაზვერვის უფროსი იყვნენ რუსების ოფიცრები ქართულ საზღვაო ძალებში. მათი მეთაური იყო **გენერალი შენგელია.**

ამ პერიოდში ზურა ირემაძემ თელავში საჰაერო-სადესანტო ბატალიონი მოამზადა გენერალ ნადიბაიძის ბრძანებით. ცოტა ხანში ნადიბაიძის ადგილზე **თევზაძე** დანიშნეს. ამასობაში გალში არეულობა დაიწყო, ჩვენ გალში მიგვავლინეს და იქედან წამოსულს მე და ზურა ირემაძეს გაგვიჩნდა იდეა სამხედრო-საჰაერო ბატალიონი სამხედრო-საზღვაო ბატალიონად გადაგვექცია.



ელიავამ რომ დაიწყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები, ამის შესახებ ინფორმაციები ექვსი თვით ადრე გვქონდა, მაგრამ ეს ამბავი უკვე აშკარად **ასლან აბაშიძემ** შეგვატყობინა. 1998 წელი იყო. მე, **ზურა ირემაძე, გიორგი აბაშიძე,** ასლანის მეუღლის ნათესავი **გენერალი გოგიტიძე** და **ბადრი მელაძე** დავსხედით სუფრასთან. ასლანმა ლაპარაკში კიდევ ერთხელ გაიმეორა შევარდნაძისადმი უკმაყოფილება და დასძინა — ნახეთ, ვინ უნდა მოიყვანოს პრეზიდენტადო. გავიდა გიორგი, მოიტანა კასეტა და გვაჩვენეს სააკაშვილის ანანისტობის კადრები.

აბაშიძე ირწმუნებოდა — დიახ, ეს უნდა რომ გააპრეზიდენტოს და დავამხოთ **შევარდნაძე,** სანამ ამას თავზე დაგვასვამსო. ზურა ირემაძემ უთხრა: სხვა შანსი არ არისო? კი, ზურა ჟვანიაო. ჟვანიას შესახებ ინფორმაციებიც კასეტაზეა ჩაწერილი და თბილისში ერთ ოჯახში ინახება. იმ კასეტაზე ჩანან ახალგაზრდები — **ზურაბ ჟვანია, პეტრე ციცკარიშვილი** და კიდევ ორი, მათ ახლა ვერ ვიხსენებ. ისინი სადღაც აგარაკზე ქეიფობენ. სუფრაზე ჩანს ცარიელი ბოთლები, თეფშები, არეულობაა. ზურა ჟვანია ასხამს ჭიქებში არაყს, ოთხივე ფეხზე დგება, ჟვანია ამბობს: საქართველოს ისე გავუხდით საქმეს, ამაზე მისაყოლებელიც არ ჰქონდეთო. მიუჭახუნებენ ჭიქებს და სადღეგრძელოს სვამენ.

აი, ეს კანდიდატები ჰყავს შევარდნაძესო, — თქვა მაშინ ასლანმა.

რაც შეეხება ელიავას შეთქმულებას, ეს გადატრიალების მცდელობა აღვკვეთე პირადად მე, ამ თემასთან დაკავშირებით უამრავ ინფორმაციას ვფლობდი და რადგან შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული გადატრიალების ეს მცდელობა სინამდვილეში სხვა მიზანს — დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობას ემსახურებოდა.

**— ანუ რუსეთის ფულით აპირებდნენ ამ საქმის გაკეთებას?**

— შვიდი თვით ადრე ვიცოდი, რომ პირდაპირ **იგორ გიორგაძემ** გადასცა ფული ამ საქმისთვის **გუჯარ ყურაშვილს.**

ეს გადატრიალება რომ აღიკვეთა, გენერლები დაიჭირეს, ბრალი უდანაშაულოდ დასდეს, რატომ და როგორ, ამას მე თვითონ ვეტყვი გამოძიებას.

**იმ ოთხი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, რაც საქართველოში დაიგეგმა, ოთანაძე ყველაში იყო გარეული და აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა.**



**— სააკაშვილს ჰყავდა წარდგენილი გენერლობაზე ზურა ირემაძე, ადამიანი, რომლის გარდაცვალების გარემოებები ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული, რამდენიმე დღის წინ მისმა მეუღლემ ამ საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა.**

— ზურას მეუღლემ — ქალბატონმა მანანამ თუ რამე იცის ზურას გარდაცვალების ფაქტებთან დაკავშირებით, ჩემგან იცის, რადგან ზურა ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. 7 წლის განმავლობაში ერთად ვიყავით ისე, რომ 7 წელი საკუთარ სახლში არ ვყოფილვარ იმდენი ხანი, რამდენიც ზურასთან ერთად გავატარე. მისი გარდაცვალების გარემოებების გამორკვევა ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო და არის. მგონი, ხვდებით, რაზე ვლაპარაკობ.

2004 წლის 13 აგვისტო იყო. დილით დავჯექით მე და ზურა, საჭმელიც კაბინეტში მოვატანინეთ სახელდახელოდ, ფუნთუშები თუ რაღაც, და დილის 10-ის ნახევარზე დავიწყეთ სამხედრო საზღვაო ფლოტის შექმნის კონცეფციის წერა. მთელი დღე თავი არ აგვიწევია. ღამის 1 საათი იქნებოდა. ზურას მეუღლემ რომ დაგვირეკა — სად ხართ, სახლში არ მოდიხართო? ცოტა კიდევ წავიმუშავეთ და ორს აკლებოდა 15 წუთი, შტაბიდან წამოვედით. მანქანას მე ვმართავდი. 5 დღე-ღამე სახლში არც ერთი არ ვიყავით ნამყოფი. ტანსაცმელი, სამხედრო ფორმები, მანქანაში გვქონდა, მე ავატანინე ესენი ზურას სახლში. ქალბატონმა მანანამ ყავა დაგვალევინა და მერე უკვე მალე წამოვედი სახლში. გზაში ზურამ ისევ დამირეკა: ხვალ დილით ადრე მოდი, რომ გავაგრძელოთ პროექტის წერაო.

მოვედი სახლში, ზაფხული იყო, მაცივრიდან საზამთრო გამოვიღე, ცოტა შევჭამე და დასაძინებლად წავედი, რომ მირეკავს ტელეფონი. ვხედავ. ზურას ნომერია. ვპასუხობ. ხმა არ ისმის. გაითიშა მაგთიკომი საერთოდ. გამოძიება უნდა დაინტერესდეს ამ ფაქტით. ამას მერე მივხვდი, თორემ მაშინ მეგონა, მეხუმრებოდა ზურა. დაახლოებით ორ წუთში ჩემი მეუღლის ტელეფონზე შემოვიდა მანანას ზარი. ვერც ამ ზარიდან გავარკვიეთ ვერაფერი. მაშინ გადავწყვიტე: წავალ, რაიმე პრობლემა ხომ არ არის-მეთქი, რადგან იმ პერიოდში დაძაბული სიტუაცია იყო ირგვლივ. ზურას სახლს რკინის ღობეები გავუკეთეთ, ბავშვს სკოლაში დაცვა დავუყენეთ და ა.შ. და ამიტომ ვიფიქრე, რაიმე ხომ არ მოხდა-მეთქი.

**— რატომ იყო ასეთი სიტუაცია, რკინის ღობეები, დაცვის გაძლიერება რატომ გახდა საჭირო?**

— ამაზე გამოძიებას მივაწვდი კონკრეტულ ინფორმაციას.

**— კონკრეტულად მას ემუქრებოდა საფრთხე თუ ქვეყანას?**

— ისე მიდიოდა სიტუაცია მისნაირი ადამიანების ადგილი აღარ რჩებოდა ქვეყანაში — ან უნდა გაგვემარჯვა, ან უნდა გავნადგურებულიყავით. ამას გრძნობდა ზურაც და ვლაპარაკობდით კიდევაც ამ თემაზე.

**— გავაგრძელოთ თხრობა.**

— ფოთი პატარა ქალაქია და ექსტრემალურ ვითარებაში, ძმაკაცის ზარზე, ფოთში, ადგილიდან ადგილზე გადაადგილება მანქანით არაა პრობლემა. მოკლედ, წავედით მე და ჩემი მეუღლე ისევ ზურას სახლისკენ. გზაში მირეკავს **ბადრი როინიშვილი,** ჩვენი ძალიან დიდი ხნის თანამშრომელი, ოფიცერი, ვისი გოგონაც ზურა ირემაძის ქალიშვილთან — თათიასთან იყო მაშინ სახლში. სანამ ზურა ირემაძის სახლამდე მივიდოდით, ბადრი როინიშვილი მირეკავს და მეუბნება: ვიქტორ, მოდი ჰოსპიტალში, ზურა გარდაიცვალა.

**— ეს ყველაფერი მოხდა წუთებში?**

— ეს მოხდა ნახევარ საათში.

როგორც მერე შევიტყვე. ჩემი წამოსვლის შემდეგ ზურასთვის დაურეკავს თავის ქალიშვილს: მამა, მიშველე, ფანჯრებიდან ვიღაცები შემოდიან, გისოსებს ამტვრევენ, სადაცაა ოთახში შემოვლენო. როგორც ეტყობა, მაშინ დამირეკა ზურამ, რომელიც ველარ გამოვიდა კავშირზე.

როგორც მერე მითხრეს: აიღო პისტოლეტი და გაიქცა თათიას


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



სახლისკენ, სახლები, დაახლოებით, 500-600 მეტრში იყო. გარბის, გზაზე 19 ტყვიას ისვრის ჰაერში. ადის სახლში, ჯდება მაგიდასთან და კვდება.

**— თათიასთან არავინ მისულა?**

— არავინ.

მეორე დღეს 19-ვე ჰილზი ვიპოვე ქუჩაში. გამოძიებასთან ერთად ვიყავი მთელი დღე და სახლთან არავითარი ნაკვალევი არ გვინახავს.

**— თათიას რაიმე მოეჩვენა?**

— არ ვიცი, მაშინაც მქონდა კითხვები და ახლაც მაქვს ამის თაობაზე.

**— მაშინ ზურა ირემაძის ქალიშვილი სახლში მარტო იყო?**

— გითხარით, მასთან ბადრი როინიშვილის გოგონაც იყო. ბადრიც მალთაყვადან გამოქცეულა თავისი შვილის ზარზე — გვიშველეთ, სახლში გვივარდებიანო.

**— მწვანე ფერი დაჰკრავდა მიცვალებულსო?**

— კი, ამას ამბობს მისი შვილი — თათია.

მოკლედ, ზურა გადავასვენეთ თბილისში და ოთხი დღის შემდეგ, როცა ყურებიდან უკვე სისხლი მოსდიოდა, მაშინ ავიღე ნაცხი, რადგან ბევრ რამეში მეპარებოდა ეჭვი. ჩვენი მეგობარი ექიმი შალამბერიძეც იყო მაშინ ჩემთან...

23 აგვისტო იქნებოდა, ზურას სიძემ — დათუნა რუხაძემ მთხოვა მანქანა მათხოვეო. ეს ის მანქანა იყო, მე და ზურა რომ დავდიოდით, სამსახურის მანქანა გახლდათ და მისი სიკვდილის შემდეგ სახლში მეყენა. არ დავდიოდი ამ მანქანით ზურას ხსოვნის პატივსაცემად.

დათუნას უარი ვერ ვუთხარი, მანქანის გასაღები მივეცი და მე სურამში წავედი ცოლ-შვილთან. იქ იყვნენ დასასვენებლად.

საღამოს 6 საათი იქნებოდა, როცა დამირეკეს: დათუნა ავარიაში გარდაიცვალაო.

ავარიის ადგილზე საშინელი სურათი იყო. მანქანა დალეწილი. დათუნა გვერდზე ეგდო.

**— მანქანაში მარტო იყო დათუნა რუხაძე?**

— როგორც თქვეს, მანქანაში მასთან ბადრი როინიშვილის ქალიშვილი მჯდარა.

დათუნა რუხაძის მამა მამია რუხაძე სერიოზული კრიმინალისტია. შევამოწმეთ ყველაფერი შემთხვევის ადგილზე. დათუნას თავი ჰქონდა გატეხილი, მაგრამ სისხლი არსად არ ჩანდა. ეჭვები მაშინ მამისსაც გაუჩნდა.

მაშინ თქვეს, როინიშვილის ქალიშვილიც გარდაიცვალაო და მისასამძიმრებლად რომ მივედი ბადრისთან, ვხედავ, ეს გოგო ჯანმრთელი და საღ-სალამათი დადის, სარაფანი აცვია და ტელეფონზე ლაპარაკობს.

დათუნას ტელეფონი შემთხვევის ადგილზე ბევრი ვეძებეთ და ვერ ვიპოვეთ. ერთი წლის შემდეგ დათო რუხაძის ტელეფონი მამამისმა მამია რუხაძემ იპოვა ერთ სოფელში.

მაშინ უკვე წამოსული ვიყავი შეიარაღებული ძალებიდან და ამ საკითხებზე სერიოზული ეჭვები მქონდა. ჩემი ეჭვები გაამყარა იმანაც, რომ მამია რუხაძემ გამოარკვია — თათია როინიშვილი არ მჯდარა იმ მანქანაში, რომელსაც ავარია მოუხდა. შემთხვევამდე ერთი ან ორი წუთით ადრე 36 წამი თათია როინიშვილს განუხორციელებია ზარი დათო რუხაძის ტე-



ლეფონზე. 36 წამი საკმარისად დიდი დროა ინფორმაციის გადასაცემად. ზარები ფიქსირდება ერთი ფოთის გასასვლელში, მეორე შემთხვევის ადგილას.

**— ამ ამბებთან დაკავშირებით ეჭვები თუ აქვს თვითონ თათია ირემაძეს — გარდაცვლილი დათო რუხაძის მეუღლეს?**

— რამდენიმე ხნის წინ თათია „ადნაკლასნიკებით“ დამიკავშირდა და მითხრა, რომ მასთან მივიდა **ალიკა ოგანესიანი** — ჩვენი ყოფილი თანამშრომელი, რომელიც 2006 წელს დაიჭირეს საზღვაო ძალებში ჩადენილი დანაშაულისთვის. ალიკას ზურა ირემაძის მეუღლისთვის უთხოვია ფული სესხად – დამეხმარეთ და გეტყვით, ვინ მოკლა ზურაო. მანანას ფული არ ჰქონდა, მაგრამ ოგანესიანს მაინც უთქვამს: ვიქტორმა 100 000 დოლარი აიღო ზურას მკვლელობაზეო.

ეს ინფორმაცია გადასცა ჩემი ლვიძლი ძმაკაცის — ზურა ირემაძის ოჯახს ალიკა ოგანესიანმა. მერე მანანას უკითხავს— ამას მოწმეების თანდასწრებით იტყვიო? ალიკა დასთანხმებია და რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით უთქვამს კიდეც იგივე.

**— წელან გემის აფეთქება ახსენეთ, რომელშიც გავლენიანი რუსი პოლიტიკოსები იმყოფებოდნენ. ეს გარემოება ხომ არ უკავშირდება რამენაირად ამ საიდუმლოებით მოცულ გარდაცვალებას?**

— გენერალი **ღუმბაძისგან** და გენერალი **გოგიტიძისგან** ვიცოდი, რომ ფული აღებული იყო და გემის აფეთქება გარდაუვალი. ზურა ირემაძე მაშინ საბერძნეთში იყო და **იუკურიძე** გენერალურ შტაბში. მიშა აპირებდა აჭარაში შესვლას. წინა დღეს გააპიარა — აჭარის მფლობელობაში მყოფი ერთი გემი უკვე გადმოვიდა ჩვენს მხარესო. ატეხეს ზარზეიმი. იმავე ღამეს ფოთში ჩამოვიდნენ **ბარამიძე** და ეს საზიზღრები და აღმოჩნდა, რომ მიზნად ჰქონდათ საზღვაო ძალების მთელი შემადგენლობა გადასულიყო ამათ მხარეს და სამხედრო ძალები, რომლებიც გურიაში იყო დისლოცირებული.

იმ დღეებში პორტის ჭიშკართან რუსეთის საზღვაო ძალებთან მჭიდრო კონტაქტში შემჩნეულ ჩემს მიერ ამ დანაშაულისთვის სამსახურიდან დათხოვნილ სამ მეზღვაურს მოვკარი თვალი. მათ ყურადღებას არ მივაქცევდი, თვითონ რომ არ მოქცეულიყვნენ საეჭვოდ. წამოვეწიე და ვუთხარი:

აი, ეს ამბავი ახლდა წინ ირემაძის გარდაცვალებას. მანამდე კიდევ ბევრი რამ მოხდა და ეს დამოუკიდებელი სასამართლოსთვის, მგონი, საინტერესო უნდა იყოს.

**— ქართულ შეიარაღებულ ძალებში თქვენს გარდა არ არის დღეს ისეთი ვინმე, ვინც შეიძლება იცოდეს სიმართლე ამ ბუნდოვანი საქმის შესახებ?**

— მათთვის ჩინი არ მიმინიჭებია, ამიტომ ასე მოვიხსენიებ — კონტრდაზვერვის პოლკოვნიკი, **გენერალი პაატა მაისურაძე** და **პოლკოვნიკი ზაზა მჭედლიძე** — ამ ორმა ადამიანმა უნდა თქვას სიმართლე ირემაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ისინი ფლობენ ინფორმაციებს. პაატა მაისურაძემ კიდევ უფრო მეტი იცის. ორივემ კეთილი ინებონ და რასაც ამდენი ხანი შიშით მალავდნენ, ახლა თქვან. ამ ორმა ადამიანმა იცის, ვინ ვარ მე. სანამ ესენი ჩემზე არ გააკეთებენ განცხადებას, აზრს დაკარგავს ყველაფერი.

ირემაძე ისეთივე ახლო ძმაკაცი იყო **კობალაძის, კვიციანის, თევზაძის** და **ღუმბაძის,** როგორც მე. უფრო მეტიც, ამ ადამიანებს ირემაძესთან სისხლით ჰქონდათ ძმობა შეფიცული. ხელი გაიჭრეს და ისე შეჰფიცეს. რატომ არავინ იღებს ხმას ზურას მკვლელობაზე.

# ჩვენ უნდა ჩაგვეძირა გემი, რომელზეც რუსული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფიგურები ჟირინოვსკი, ბაბურინი და სხვები იმყოფებოდნენ

თათიამ მითხრა — ჩვენ ეს ვერ დავიჯერეთ, მაგრამ ბევრ ისეთ რამეს ლაპარაკობენ, არც კი ვიცით, რა ვქნათო?! თურმე მანანა მაინც ალიკას ინფორმაციაზე ფიქრობდა, ეჭვი არ სტოვებდა და ახლაც ასეა, როგორც ჩანს.

**— თუ თქვენ გქონდათ გენერალ ზურა ირემაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ეჭვები, თქვენ და ასევე ბატონ მამია რუხაძეს ჰქონ-**



**და ეჭვი შვილის— დავით რუხაძის სიკვდილის გარემოებებზე, რატომ არც ერთი არ მიჰყევით საქმეებს ბოლომდე?**

— მე ზურას ცხედრის ექსპერტიზას ვითხოვ გარდაცვალების დღიდან, მაგრამ ექსპერტიზა რომ ჩატარებულიყო, ფულადი დახმარება, რაც ოჯახმა ერთჯერადად მიიღო, ვერ მიიღებდნენ და დადგებოდა მძიმე შედეგი. მე, ჩემი მხრიდან ამას ვერ გავაკეთებდი.

დათუნას გარდაცვალების საკითხებთან დაკავშირებით ეჭვებზე მამია რუხაძეს ჰკითხეთ. ის აუცილებლად გაგცემთ ამაზე პასუხს.

ამდენი წელიწადია ზურას გარდაცვალების მიზეზების გამოძიებას ვითხოვ და კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს მისმა მეუღლემ — ქალბატონმა მანანამ დაიწყო ამაზე საუბარი.

თუ არ იჩქარებთ, მე არ მომახსენებენ, რომ თქვენ დატოვეთ გურია და გადახვედით ჩოლოქზე, თქვენი დაპატიმრების ბრძანებას გავცემ-მეთქი.

ზუსტად ნახევარ საათში გენერალი ღუმბაძე მირეკავს — აუცილებლად უნდა შევხვდეთო. ჩავედი. მეუბნებიან: 1 მლნ.დოლარს მოგცემთ თუ გადახვალ ნაციონალების მხარეს აჭარის მთავრობის წინააღმდეგო. მომიტანეს კიდევაც ეს ფული. ზურა ირემაძის გარეშე არაფერს ვაკეთებ-მეთქი, ვუთხარი ღუმბაძეს. მან თქვა: ირემაძე საქმის კურსშია და ამ საქმეზე თვითონ დაგირეკავსო. თუკი ორი გენერალი ასე ლაპარაკობს, მე მზად ვარ ბრძანება შევასრულო-მეთქი, ვთქვი. მერე მოვბრუნდი და ჩემს ხალხს ვუთხარი — ჩავბარდეთ, გემები გადავცეთ, გემებზე ავლენ გენერლები **ღუმბაძე** და **გოგიტიძე,** იქვე დავაპატიმროთ და ყველა ჩამოვიყვანოთ თბილისში-მეთქი. თან ბიჭებს ვთხოვე — **იუკურიძეს** არ გააგებინოთ ეს, რადგან ისიც იმათ მხარეს არის-მეთქი. დაპატიმრებით არ დამიპატიმრებია, მაგრამ ეს საქმეც ისევე ჩავუშალე, როგორც ელიავას საქმე. გემები არ გადავიდა, თუმცა მე გამწირეს.

**— რატომ უნდა შეეპაროს ვინმეს ეჭვი, არ შეიძლებოდა გულის შეტევით გარდაიცვლილიყო?**

— საქმე იმაშია, რომ ეს ადამიანი გულით არ გარდაცვლილა. ირანდა, **ზურა ირემაძე მოკლეს**. შალამბერიძე, რომელიც ჩემსავით აცხადებს, რომ იმ სისხლში, რომელიც მიცვალებულის ყურიდან ავიღეთ, დარიშხანის შემცველობა იყო გამოაცხადოს ეს ხმამაღლა და ჩაუტარონ გვამს ექსგუმაცია.

**— თქვენზე რატომ აქვთ ეჭვი?**

— იმიტომ, რომ ბოლო 7 წელი, ფაქტობრივად, თითქმის ერთად ვცხოვრობდით. ირემაძის სიკვდილის შემდეგ დიდხანს ველარ გავჩერდი იქ, რადგან არავინ არ იყო ისეთი, ვისთანაც ურთიერთო-



ბა და მუშაობა შეიძლებოდა. კაცები აღარ დატოვეს. ჯარში ზოგი მოკლეს, ზოგი — განდევნეს.

მე **ვანო მერაბიშვილის, ოქრუაშვილის** და მათი მსგავსი უცოდინარი ტეტიები ვერ დამიჭერდნენ, არ აქვთ მაგათ ჩემს დასაჭერად საჭირო ჭკუა. ესენი არიან მრავალსერიანი მხატვრული ფილმის გმირები, რომლებიც ამ ფილმში იჭერდნენ მაღალჩინოსნებს, რათა გაენადგურებინათ პროფესიონალი და ავტორიტეტული ხალხი და მიაღწიეს კიდეც ამას. დრო დადგა, მგონი, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

**ირანდა კალანდაძე**

# vin da ratom ebrZvis `obieqtivs~




**წმინდა
ილია მართალი (ჭავჭავაძე):**

***„არა მგონია, სხვაგან იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილ-უბრალოდ ილანძღებოდეს, როგორც ჩვენში“...***

### წინათქმა, ანუ იძულებული ვართ, კიდევ ერთხელ განვმარტოთ

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოფირების გასაჯაროების შედეგად, სააკაშვილის რეჟიმი „ოპოზიციაში გადაბრძანდა.“ ახლადგამომცხვარმა ოპოზიციამ მედია-კავშირ „ობიექტივის“ წინააღმდეგ მზაკვრული კამპანია წამოიწყო: უეცრად გააქტიურდა ყველა ტელევიზია, გაზეთი თუ ინტერნეტგვერდი, რომლებსაც მიშა და ვანო ჯერ კიდევ აკონტროლებენ; გადმოიღვარა უამრავი ტალახი, ტყუილი და ცილისწამება. სამწუხაროდ, ამ კამპანიაში სხვა კატეგორიის ადამიანებიც ჩაერთვნენ, რომლებსაც არც მიშასთან და არც ვანოსთან კონტაქტი არასდროს ჰქონიათ და არც ახლა აქვთ. ზოგს შური ამოძრავებს, ზოგს - არაჯანსაღი კონკურენცია, ზოგსაც, უბრალოდ, არ ვუყვარვართ. ისმება უამრავი შეკითხვა - ზოგი გააზრებული, ზოგიც გაუაზრებელი; ზოგს გულწრფელად სურს საკითხში გარკვევა, ზოგი კი ჩასაფრებულია და ცდილობს, რაღაცაში გამოგვიჭიროს და რაიმე დაგვაბრალოს. ამიტომაცაა, რომ მეორე თვეა გაუთავებლად განვმარტავთ, განვმარტავთ, განვმარტავთ და კვლავ განვმარტავთ...

### ვინ მოგვაწოდა ვიდეოფირები

განვმარტავ, რომ ვიდეოფირებსა და ინფორმაციას ჩვენ სამი სხვადასხვა წყარო გვაწვდიდა. ერთი მხარე იყო ვლადიმერ ბედუკაძე, მეორე მხარე - ფარულავა-აკობია, მესამე კი - ჩვენი მოკავშირეები შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამივე ერთმანეთისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი წყარო იყო. მართალია, ბედუკაძეც, ფარულავაც და აკობიაც გლდანის ციხეში ერთად მუშაობდნენ, მაგრამ ბედუკაძემ არაფერი იცოდა ფარულავა-აკობიასთან ჩვენი თანამშრომლობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩვენი მოკავშირეების შესახებ. არც ფარულავა-აკობიას ჰქონდათ ინფორმაცია ბედუკაძესთან ჩვენი თანამშრომლობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩვენი მოკავშირეების თაობაზე.

### რითი განსხვავდებოდა ვიდეოფირები ერთმანეთისგან

ბედუკაძის კადრები პრინციპულად განსხვავდებოდა ფარულავა-აკობიას კადრებისგან. ბედუკაძის კადრები ასახავს ციხის ცალკეული თანამშრომლების სასტიკ დანაშაულს, ანუ ერთი პირის თანამდებობრივ ბოროტებას. ფარულავა-აკობიას კადრები კი, კოლექტიურ ბოროტებას ხდის ფარდას, რასაც თავად სააკაშვილმა „სისტემური კრახი“ უწოდა. ახლავე ვიტყვი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წყაროების შესახებ ინფორმაციას არ გავამხელთ მანამდე, ვიდრე სააკაშვილსა და მერაბიშვილს შურისძიების რაიმე ბერკეტი ექნებათ ხელში. აქ კი, მხოლოდ დავსძენ, რომ ეს ადამიანები არიან საქართველოს ნამდვილი პატრიოტები. განვმარტავ, რომ ბედუკაძის კადრებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე, რადგან აქ ქართული აზროვნებისთვის გამაოგნებელი წამების ფაქტები ვიხილეთ. დასავლეთში კი, სხვა ვითარება იყო. დასავლეთისთვის ფარულავა-აკობიას კადრებს ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ეს კადრები ქვეყანაში მთლიანად ხელისუფლებას ამხელდა და ცხადყოფდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი არანაირ დემოკრატიულ ხელისუფლებას არ წარმოადგენს.

### გიორგი ლომიას როლი ვიდეოფირების მოპოვების საქმეში

საიდუმლო არ არის, რომ „ობიექტივი“ და „წინააღმდეგობის მოძრაობა“ არაერთი წელიწადი იბრძვის პატიმართა უფლებების დასაცავად. ჩვენ ვაწყობდით ყოველკვირეულ მიტინგებს, საპროტესტო მსვლელობებს, საჯაროდ ვასახელებდით ჯალათთა გვარებს. ამის ამსახველი ვიდეომასალა ინტერნეტში ფართოდაა გავრცელებული. 2010 წლის მიწურულს ჩემი ძმა - კოტე ინაშვილი დააპატიმრეს. ციხეში მან გაიცნო და დაუმეგობრდა ასევე პატიმარ გიორგი ლომიას. აღმოჩნდა, რომ გიორგი ლომია 2008 წლიდან იცნობდა „წინააღმდეგობის მოძრაობის“ თავმჯდომარეს დავით თარხან-მოურავს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, კოტე ინაშვილი „ობიექტივსა“ და „წინააღმდეგობის მოძრაობას“ დაუბრუნდა. ამავე პერიოდში გიორგი ლომიაც გაათავისუფლეს და იგი ჩვენს გუნდს შემოუერთდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ პატიმრების უფლებებისთვის ვიბრძოდით და ყველანაირი ინფორმაცია გვაინტერესებდა, კოტეც და გიორგიც ამ მიმართულებით მუშაობაში ჩაერთვნენ. სწორედ გიორგი ლომიამ ითამაშა განსაკუთრებული როლი კადრების მოპოვების საქმეში.

### გიორგი ლომიას და ლადო ბედუკაძის დამეგობრება

პატიმრობის პერიოდში გიორგი ლომიამ ლადო ბედუკაძე გაიცნო. მათ შორის ნდობა გაჩნდა, შემდეგ კი ეს ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა.

ვლადიმერ, იგივე ლადო ბედუკაძე მრავალი წლის მანძილზე სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობდა. მისივე განცხადებით, პატიმრებს თავად არ აწამებდა და მხოლოდ ვიდეოფირებზე აღბეჭდავდა მათ წამებას. ბედუკაძე ხასიათდება არამდგრადი, მერყევი ფსიქიკით. დღეს მეგობრად გაცხადებს, ხვალ - მტრად. დღეს მწამებლები დამნაშავეებად მიაჩნია, ხვალ - ფირების გავრცელებას ნანობს, თანაც ამას ღიად წერს ინტერნეტსივრცეში - ეს ალბათ არ უნდა გაგვიკვირდეს კაცისგან, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხედავდა და ვიდეოფირზე აღბეჭდავდა ადამიანების ესოდენ სასტიკ წამებას. მაგრამ, მთავარია, რომ ბედუკაძეს პერიოდულად აწუხებს სინდისის ქენჯნა. სწორედ ამ სინდისის ქენჯნამ განაპირობა გიორგი ლომიას და ლადო ბედუკაძის თანამშრომლობა.

### გიორგი ლომიას და ლადო ბედუკაძის თანამშრომლობა

ბედუკაძესთან ურთიერთობის პროცესში, გიორგი ლომიამ გაარკვია, რომ ბედუკაძეს ავალებდნენ პატიმრების წამების ვიდეოფირზე აღბეჭდვას. ბედუკაძე ლომიას გამოუტყდა, რომ მას ეგრეთწოდებული „დაწუნებული“ კადრები ჰქონდა. „დაწუნებულს“ იმ ვიდეომასალას უწოდებდნენ, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებისთვის უინტერესო იყო. წარმოიდგინეთ, რა ვიდეოკადრები იგზავნებოდა ახალაია-მერაბიშვილ-სააკაშვილთან. თავად ბედუკაძე საშინელ სცენას აღწერდა, თუ როგორ აწამა და მოკლა მეგის ქარდავამ პოლკოვნიკი თეთრაძე. ამ ფაქტზე ბედუკაძემ ტელეეთერშიც ისაუბრა.

დაიწყო ბედუკაძესთან ხანგრძლივი საუბრისა და მსჯელობის, გნებავთ მრავალთვიანი საიდუმლო მოლაპარაკებების ეტაპი. მოლაპარაკების პათოსი ასეთი იყო: წამების ფაქტების გამჟღავნება სიკეთეს მოუტანს როგორც პატიმრებს, ისე მთელ ქართველ საზოგადოებას. ეს ეროვნული და პატრიოტული საქმეა. მოლაპარაკებები შედგა!

ახლავე ვპასუხობ ცრუ ბრალმდებლებს: მოლაპარაკებები მორალის ფარგლებს არ გასცდენია და კადრები ჩვენ ზნეობრივად მოვიპოვეთ.

### რა მიზანი აქვთ „ობიექტივის“ მტრებს

მაგრამ ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ კამპანიის მიზანი არ არის მხოლოდ „ობიექტივისა“ და მისი ხელმძღვანელის, ანუ ჩემი დისკრედიტაცია. მიშას და ვანოს ბელგიის პროკურატურაში სააკაშვილის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის ბედი აღელვებთ. ეს სარჩელი პატიმრების წამების ფაქტებზე გამოძიებასა და კონკრეტული დამნაშავეების დასჯას მოითხოვს. კონკრეტულ დამნაშავეებში ადვოკატ ამრანის დასახელებული ჰყავს ბატონები: სააკაშვილი, ზოდელავა, ახალაია, მერაბიშვილი. თუ მიშა და ვანო მოწმე ბედუკაძის ბრიუსელის სარჩელიდან „ჩახსნას“ მოახერხებენ, ცხადია, ისინი დასჯას გადაურჩებიან.




### ფარულავა და აკობია

ბედუკაძესთან მუშაობის პარალელურად, ჩვენ ციხის სხვა თანამშრომლებთანაც ვმუშაობდით. ცხადია, საიდუმლოდ. გიორგი ლომიამ აკობია-ფარულავასთან საერთო პოზიციები გამოძებნა. ისინი, ასევე, შეწუხებული იყვნენ ციხეებში არსებული ვითარებით. ჩვენ ვიცოდით, რომ ციხის ჯალათები ყოველ პარასკევს „წითელს“ უწოდებდნენ, რადგან ამ დღეს პატიმრებს კოლექტიურ ცემა-ტყეპას უწყობდნენ. ამ დანაშაულის მხილების მიზნით ჩვენ ფარულავა და აკობია აღვჭურვეთ ფარული ვიდეოკამერით. დანაშაულის აღბეჭდვა ვიდეოფირზე 24 აგვისტოს მოხერხდა, ფარულავა-აკობიამ ჩანაწერი გიორგი ლომიას გადასცეს, ლომიამ ჩვენ მოგვაწოდა, ჩვენ კი ბრიუსელში ჩავიტანეთ.

ყურადსაღებია, რომ ფარულავა-აკობიამ ვიდეომასალა სიცოცხლის ფასად ჩაწერეს; მათ ხელში ფარული ვიდეოკამერა რომ ეპოვნათ ან ვიდეოგადაღების პროცესი შეემჩნიათ, ორივეს წამებით მოკლავდნენ, ბედუკაძეს კი მსგავსი საშიშროება არ ემუქრებოდა, რადგან ვიდეოკადრებს ხელმძღვანელობის დავალებით იღებდა.

### ვიდეოფირების გასაჯაროების პირობები

ჩვენმა გუნდმა შეიმუშავა ვიდეოფირების გასაჯაროების გეგმა. ცხადია, ეს გეგმა ბედუკაძის, ფარულავასა და აკობიას ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა. ლომიამ გეგმა შეუთანხმა როგორც ბედუკაძეს, ასევე ფარულავასა და აკობიას. გეგმის მიხედვით, ვიდეოფირები უნდა გაგვეტანა ბრიუსელში; ბრიუსელშივე უნდა გაგვეყვანა მოწმეები: ბედუკაძე, ფარულავა და აკობია და ევროპარლამენტში, საგანგებოდ მოწყობილ ბრიფინგზე უნდა გაგვესაჯაროებინა ვიდეოკადრები. ნათელია, რომ უნდა შესრულებულიყო შემდეგი სამუშაო: ქვეყნიდან გაგვეყვანა ბედუკაძე და მისი ოჯახი, ასევე, ფარულავა და აკობია (არც ერთს ცოლ-შვილი არ ჰყავდა), გაგვეტანა კადრები, ექსპერტიზის გზით დაგვედასტურებინა კადრების უტყუარობა, მოგვეწყო ბედუკაძის, აკობიასა და ფარულავას შეხვედრები ევროჩინოვნიკებთან. სწორედ ამ დროს (ანუ უკვე ევროპაში) ბედუკაძეს უნდა გაეგო ამ საქმეში ფარულავა-აკობიას მონაწილეობის შესახებ, ხოლო ფარულავა-აკობიას - ამავე საქმეში ბედუკაძის მონაწილეობის თაობაზე.

### ქვეყნიდან ბედუკაძის გაყვანა და მისი ფირების გატანა

ბედუკაძემ, ჩვენს მიერ შერჩეულ დროსა და ჩვენს მიერ დასახელებული მოტივით, დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, - ავადმყოფობის მიზეზით. ამის შემდეგ, „ობიექტივმა“ ბედუკაძე ოჯახთან ერთად გამიზნულად გააგზავნა ბორჯომში, მისსავე მეგობართან, თითქოსდა სამკურნალოდ. ეს ყველაფერი რამდენიმე კვირის მანძილზე გრძელდებოდა. ამასობაში ჩვენ ვაკვირდებოდით, ხომ არ უთვალთვალებდნენ ბედუკაძეს. ამავდ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

როულად, ჩვენი წყაროები შინაგან საქმეთა სამინისტროში თვალ-ყურს ადევნებდნენ, - ხომ არ იყო ინტერესი ბედუკაძის პიროვნების მიმართ. ბედუკაძე უსაფრთხო დროს, ავტობუსით გადავიყვანეთ თურქეთში. ეს ვარიანტი თვითმფრინავზე უფრო უსაფრთხოდ მიგვაჩნდა. თურქეთში გავუკეთეთ ვიზა აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში. შემდეგ კი, სამი ქვეყნის გავლით, ის აღმოჩნდა ბრიუსელში, სადაც ჩვენი მოკავშირეები ელოდნენ. ცხადია, ყველა ხარჯი ჩვენ გავიღეთ. ბედუკაძე დავაბინავეთ მერაბ ბლადაძესთან, რომელიც მაშინ „ობიექტივის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. ბედუკაძე ბლადაძესთან დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში ცხოვრობდა. ბლადაძე სტუმრად მოსულ მეგობრებს ბედუკაძეს, როგორც მის ნათესავს, ისე აცნობდა.

ამის პარალელურად, სამი სხვადასხვა გზით, ვიდეოფირები მე და ჩემმა მეგობრებმა ბრიუსელში ჩავიტანეთ. ბედუკაძეც და მისი ვიდეოფირებიც მხოლოდ აგვისტოში აღმოჩნდა ბრიუსელში, ხოლო ფარულავა-აკობიას ვიდეოფირები - სექტემბრის დასაწყისში. ამ პერიოდში ბედუკაძის მეუღლემ საქართველოს დატოვებაზე უარი თქვა. აქვე აღვნიშნავ, რომ ბედუკაძესთან მოლაპარაკებისას ჩვენ ვიტვირთეთ მისი ცოლ-შვილის გადაყვანა კიევში, ან სხვა „უვიზო“ ქვეყანაში. ჩვენ ბედუკაძეს ყოველთვის ვეუბნებოდით, რომ მის ცოლ-შვილს ვიზებს ვერ გავუკეთებდით.

რაც შეეხება ფირებს, ფირები ბედუკაძეს აღარ ჰქონდა, ხოლო ბლადაძეს ეს ფირები არც ჰქონია და არც უნახავს, - მან მხოლოდ გადმოცემით იცოდა ვიდეოკადრების შინაარსი.

### როდის გაიგეს ბედუკაძემ და ფარულავა-აკობიამ ერთმანეთის და „ობიექტივის“ შესახებ?

მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არც ბედუკაძემ იცოდა ფარულავა-აკობიასთან ჩვენი მოლაპარაკებების, ანუ მათი თანამონაწილეობის შესახებ და არც ფარულავა-აკობიას ჰქონდა ინფორმაცია ბედუკაძესთან ჩვენი თანამშრომლობის თაობაზე. ფარულავასა და აკობიასთან მსჯელობისა და მოლაპარაკების პროცესში გიორგი ლომია არ ასახელებდა არც „ობიექტივს“ და არც „წინააღმდეგობის მოძრაობას.“ ლომია ეუბნებოდა ბედუკაძესაც, ფარულავასაც და აკობიასაც, რომ არის სერიოზული ხალხი, ვინც კადრებსაც გაასაჯაროებს და თქვენს უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფსო.

ბედუკაძემ ფარულავა-აკობიას თანამონაწილეობის შესახებ სექტემბერში გაიგო, მას შემდეგ, რაც აკობიამ 24 აგვისტოს ციხის თანამშრომლების მიერ პატიმრების კოლექტიური წამება ვიდეოფირზე აღბეჭდა და ეს ვიდეომასალა გიორგი ლომიას გადასცა, ჩვენ კი ეს ფირები ბრიუსელში ჩავიტანეთ. როცა ბედუკაძემ ფარულავასა და აკობიას თანამონაწილეობის შესახებ გაიგო, იგი ფარულავას რამდენჯერმე დაუკავშირდა. ეს არასწორი და სახიფათო ქმედება იყო, განსაკუთრებით, ქვეყანაში გამეფებული მასობრივი მოსმენების ფონზე.

ვიდეოფირების გასაჯაროებამდე, ანუ 18 სექტემბრამდე ბედუკაძესთან ბრიუსელში მხოლოდ გიორგი ფოფხაძე და მერაბ ბლადაძე მუშაობდნენ. შესაძლოა ბედუკაძე კიდევაც ხვდებოდა, ვინ იყო მისი ფარული პარტნიორი, მაგრამ დანამდვილებით მან ეს მხოლოდ კადრების გასაჯაროების შემდეგ შეიტყო. კვლავ აღვნიშნავ, რომ ბედუკაძემაც, ფარულავამაც და აკობიამაც კადრების გასაჯაროებამდე, ანუ 18 სექტემბრამდე არ იცოდნენ, რომ ამ გამოძიების სათავეში მედია-კავშირი „ობიექტივი“ და „წინააღმდეგობის მოძრაობა“ იდგნენ.



### დასავლეთში შესრულებული სამუშაო

10-12 სექტემბრისთვის ვიდეოკადრები უკვე ნანახი ჰქონდათ როგორც ევროსტრუქტურების, ისე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკებს. ამ დროისთვის ბედუკაძე უკვე შევახვედრეთ ადამიანის უფლებათა ევროკომისრის აპარატს. ევროსტრუქტურების სხვა თანამშრომლებს ბედუკაძესთან შეხვედრის სურვილი არ გამოუთქვამთ, მათ ვიდეოფირების ნახვა და ჩვენი ახსნა-განმარტება აკმაყოფილებდათ. 15 სექტემბრისთვის სამუშაო დასრულებული იყო და ჩვენ გვქონდა ევროპის მაღალჩინოსანთა თანხმობა მასალის გასაჯაროებაზე. რჩებოდა მხოლოდ ერთი პრობლემა, ბედუკაძის ცოლ-შვილი; ასევე ქვეყნიდან უნდა გაგვეყვანა ფარულავა და აკობია და ისინი ბრიუსელში უნდა ჩაგვეყვანა. ბედუკაძის ოჯახის გაყვანა ვერ ხერხდებოდა, რადგან წინააღმდეგობას ქმნიდა მისი მეუღლე. იგი ძლივს დავითანხმეთ, 17 სექტემბრისთვის დაეტოვებინა საქართველო. შემდეგ, მისივე მიზეზით, ოჯახის გაყვანა გადავდეთ 19 რიცხვისთვის. ევროპარლამენტში პრესკონფერენცია 20 სექტემბრისთვის გვქონდა დანიშნული.

როგორც აღვნიშნე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ფირები ჩვენი მოკავშირეების მეშვეობით აღმოჩნდა. მათვე შეგვატყობინეს, რომ 15-17 სექტემბერს სააკაშვილს დაუკავშირდნენ მისი ამერიკელი მხარდამჭერები და აცნობეს, რომ არსებობდა უდავო მამხილებელი ვიდეომასალა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფო იქნებოდა და რომ სააკაშვილი არჩევნებში უნდა დამორჩილებოდა ქართველი ხალხის ნებას, ანუ არჩევნები არ უნდა გაეყალბებინა. სააკაშვილი პარლამენტში უნდა დასჯერებოდა 30, მაქსიმუმ 40 დეპუტატს, ანუ რეალობასთან მიახლოებულ ციფრს. ამიტომაც იყო, რომ სააკაშვილს არ უარუყვია ამ მასალების უტყუარობა და არავითარ რუსულ კვალზე არ უსაუბრია.


გიორგი ლაფანაშვილი

### ფარულავა-აკობიას დაკავება

სამწუხაროდ, ჩვენ ველარ მოვასწარით ფარულავასა და აკობიას გაყვანა საქართველოდან. ფარულავა 17 სექტემბერს დააკავეს, ხოლო აკობია - 18 სექტემბერს, როცა ჩვენ მის საზღვარზე გადაყვანას ვცდილობდით. დაკავების შემდეგ, ფარულავას სააკაშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობა აიძულეს. მიგვაჩნია, რომ სასამართლომ ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს. ვფიქრობ, სასამართლომ, ასევე უნდა გაითვალისწინოს ფარულავას წვლილი პატიმართა წამების ამსახველი კადრების მოპოვებაში.

### სააკაშვილის დადგმული სპექტაკლი

18 სექტემბერს სააკაშვილმა დადგა ყველასთვის ცნობილი სპექტაკლი: რეჟიმმა დაკავებული ფარულავა კამერაში შეიყვანა და აიძულა, პატიმარი ეცემა, ეს ყველაფერი კი ვიდეოფირზე აღბეჭდეს. ვიდეოფირი ხელისუფლების არხებმა „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ ეთერში გაუშვეს და, რაოდენ სასაცილოც უნდა იყოს, პატიმრების წამების ორგანიზება ივანიშვილის გუნდს დააბრალეს. პროკურატურამ განაცხადა, რომ პატიმარი თამაზაშვილი ბედუკაძესა და ციხის სხვა თანამშრომლებს კადრების გადაღებაში ფულს უხდიდა. თამაზ თამაზაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის სიმამარია. ირაკლი ღარიბაშვილი კი, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი თანამებრძოლია. ჩვენ ვერაფრით დავუშვებდით, რომ ამ უდანაშაულო ხალხს მიკერებოდა ეს ბინძური ცილისწამება. ამიტომ იძულებული გავხდით, პრეს-



კონფერენციას აღარ დავლოდებოდით და სასწრაფოდ გაგვესაჯაროებინა კადრები. პირდაპირ და ღიად განგვეცხადებინა, რომ „ქართულ ოცნება“ და თამაზაშვილი უდანაშაულონი იყვნენ, რაც გავაკეთეთ კიდეც. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამ კადრების არსებობის შესახებ „მე-9 არხმა“ გაიგო კადრების გადაცემამდე ერთი საათით ადრე. მე პირადად ვესაუბრე კახა ბექაურს. ასევე, მე (ჩემი მეგობრების დახმარებით) კადრები მივაწოდე შალვა რამიშვილს. ამ ყველაფრის შემდეგ, გამაოგნებელია, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჩნდებიან უზნეო ადამიანები, რომლებიც ხან ვანოს, ხან რუსეთის აგენტობაში, ხან ფულის აღებაში, ხან თანამდებობებისთვის ბრძოლაში და კიდევ არ ვიცი, რაში გვადანაშაულებენ.

### რეჟიმის კრახი

ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თუ სხვა მაღალჩინოსანთა განცხადებები სწორედ ჩვენი გააზრებული მუშაობის შედეგია.

ბევრი მეკითხება, მოიგებდა თუ არა „ქართული ოცნება“ არჩევნებს იმ შემთხვევაში, ეს კადრები რომ არ გაგვესაჯაროებინა? - დარწმუნებული ვარ, კადრები რომ არ გამოგვექვეყნებინა, სააკაშვილის რეჟიმი არჩევნებს გააყალბებდა, 65%-70% დაიწერდა,ხოლო დასავლეთი ამ გაყალბებას „გააპრავებდა“. სინამდვილეში კი საქართველოს მოსახლეობის 70%-ზე მეტი სწორედაც რომ ბიძინა ივანიშვილს უჭერდა მხარს. კადრების გასაჯაროებამ სააკაშვილის რეჟიმი ამხილა დასავლეთის თვალში და რეჟიმმა მასშტაბური გაყალბება ველარ გაბედა. მეორეს მხრივ, ბიძინა ივანიშვილი რომ არ ყოფილიყო, რეჟიმი არ შეიცვლებოდა. კადრების გასაჯაროება სახალხო პროტესტს უდაოდ გამოიწვევდა; ვფიქრობ, ამის შემდეგ ციხეებში წამებები შეწყდებოდა, მაგრამ სააკაშვილი ხელისუფლებაში მაინც დარჩებოდა.

აქვე მინდა ვურჩიო ცრუ ბრალმდებლებს, კარგად წაიკითხონ ეს წერილი. ვფიქრობ, ნათლად ავხსენით, თუ რატომ არ შეგვეძლო კადრების გასაჯაროება უფრო ადრე.

### ბედუკაძის გადაყვანა სხვა ბინაში

კადრების გავრცელების შემდეგ, ბედუკაძემ სხვა ბინაში გადაყვანა მთხოვა; მას მიაჩნდა, რომ საიდუმლოება დაირღვა და ბლადაძის ბინაში ყოფნა უსაფრთხო აღარ იყო. ამ დროს ქალაქ ლიეჟში ჩვენი მეგობრის, გიორგი ლაფანაშვილის დედის ბინა იყო ცარიელი და ბედუკაძე ამ ბინაში გადავიყვანეთ. ამასობაში, ვატყობდი, რომ ბედუკაძე ძალზედ დაიძაბა. ის ნერვიულობდა ცოლ-შვილის გამო, არ გრძნობდა თავს დაცულად, სისტემატურად ეცვლებოდა განწყობა, ხან ჩვენი სჯეროდა, ხან - მუდმივად გვემუქრებოდა: ჩემი ოჯახი თურქეთიდან ბრიუსელში ჩამოიყვანეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენებას ისე შევცვლი, რომ ყველას დაგაზიანებთო. ეს ჩვეულებრივი შანტაჟი იყო.

### ბედუკაძის ოჯახი და „ობიექტივი“

კვლავ აღვნიშნავ, რომ ბედუკაძეს არასდროს დავპირებივართ მისი ოჯახის ბრიუსელში ჩაყვანას. ჩვენი მოლაპარაკება ითვალისწინებდა საქართველოდან ბედუკაძის ბელგიაში გაყვანას, ხოლო მისი ოჯახის კიევში, ერევანში, ბაქოში ან სტამბოლში გადაყვანას. როცა ბატონი ბედუკაძე პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებდა, ოჯახის გადასვლას ბელგიაში არავითარი პრობლემა აღარ შეექმნებოდა. მანამდე „ობიექტივი“ თავის თავზე იღებდა კიევში (ან სხვა ქალაქში) ბედუკაძის ოჯახის (საცხოვრებელი და სხვა პირობებით) უზრუნველყოფას. სამწუხაროდ, ბედუკაძის მეუღლე დიდი ხნის განმავლობაში უარს აცხადებდა, დაეტოვებინა საქართველო. ამასობაში სიტუაცია შეიცვალა და კადრები გასაჯაროვდა. ბედუკაძე მუდმივად ითხოვდა ჩვენგან, - დაგვეცვა მისი ოჯახი და გაგვეყვანა საქართველოდან. მე ბრიუსელიდან დავურეკე ცნობილ ქართველ უფლებადამცველებს და სწორედ მათი და „ობიექტივის“ ჟურნალისტების თანდასწრებით გავიყვანეთ ბედუკაძის ოჯახი მეზობელ თურქეთში. ბედუკაძის მეუღლე ორჯერ სტუმრობდა ანკარას და საკონსულოში გასაუბრებაც გაიარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიზა ვერ მიიღო. ჩვენ მივმართეთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, მათ შორის, წითელ ჯვარსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს. სამწუხაროდ, უშედეგოდ, - ბედუკაძის ოჯახმა ვიზები მაინც ვერ მიიღო. ამ ვითარებით უკმაყოფილო ბედუკაძე ბრალს გვდებდა, - ჩემი ოჯახი ბრიუსელში არ გადმოგყავთ, სტამბოლში მძევლად გყავთო. რა მძევლობაზეა საუბარი? მძევლები რომ ყოფილიყვნენ, ამას კონსულს არ ეტყოდნენ? ღვთის წყალობით, დღეს, როდესაც ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, ბედუკაძის ცოლ-შვილი თბილისში დაბრუნდა და მათ აქ საფრთხე აღარ ემუქრებათ. იმედი მაქვს, ბედუკაძე ახლა მაინც მიხვდა, თუ რა სისულელეს გვაბრალებდა.

### სარჩელი სააკაშვილის წინააღმდეგ

შეგახსენებთ, რომ „ობიექტივი“ დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ბელგიაში სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ საქმის აღძვრას. სწორედ ამ საქმეს ხელმძღვანელობდა მერაბ ბლადაძე ბრიუსელში. „ობიექტივი“ სხვადასხვა ადვოკატებთან მუშაობდა. იმ პერიოდში, როდესაც ბედუკაძე ბრიუსელში ჩავიყვანეთ, ჩვენ ბელგიელ ამრანთან ვმუშაობდით. „ობიექტივი“ ადვოკატ ამრანს ბედუკაძის დაცვაზეც შეუთანხმდა. სექტემბრის ბოლოს ამრანმა წარმატებას მიაღწია, ბელგიის პროკურატურამ მისი სარჩელი მიიღო. სარჩელის მთავარი მოწმე ბედუკაძე იყო. სარჩელი პატიმრების წამების ფაქტების გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას ითვალისწინებდა. დამნაშავეებად მოიაზრებოდნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაია და ზოდელავა.

### ბედუკაძისთვის თავგზის აბნევა

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მერაბ ბლადაძემ გადამწყვეტი როლი შეასრულა უმნიშვნელოვანესი მოწმის დაცვის საქმეში; მას ბედუკაძე არ გაუცია და იგი ბოლომდე დაიცვა, როგორც მოწმე. ახლა კი, ბედუკაძე ყველას გადაგვემტერა და მერაბ ბლადაძეს ხან ვანოს და ხან რუსეთის აგენტობას აბრალებს, ხან კი ფირების გაყიდვაში ადანაშაულებს, რაც აბსურდია. ბლადაძე ფირებს ვერავის მიჰყიდდა, - უკვე გითხარით, რომ ეს მასალა მას არასდროს ჰქონია. ბედუკაძის ეს აბსურდული ბრალდებები ადამიანური ლოგიკის ფარგლებს სცდება.

დაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკი ჭელიძე ბლადაძეს ზოგჯერ მეუღლესთან ერთად სტუმრობდა და ბედუკაძეც იქ გაიცნო. დღეს ბედუკაძე და ჭელიძე ამტკიცებდნენ, რომ ისინი მრავალი წლის მეგობრები არიან, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. ბედუკაძეს სწორედ ჭელიძემ აუბნია თავგზა.

ჭელიძე ლაფანაშვილთანაც მეგობრობდა და სწორედ ლაფანაშვილისგან გაიგო ბედუკაძის ადგილსამყოფელი. ეს დანაშაულის ტოლფასია, რადგან ლაფანაშვილს არავისთვის არ უნდა გაემხილა ბედუკაძის ადგილსამყოფელი, მას ამის უფლება არ ქონდა. იმის გამო, რომ ბედუკაძე ცარიელ ბინაში მარტო იყო, ჭელიძე მას ფაქტობრივად ჩაუსახლდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამის შესახებ გვიან გავიგეთ.

### ვინ არის სინამდვილეში პოლკოვნიკი ჭელიძე

ბრიუსელში ერთ-ერთი შეხვედრის დროს გიორგი ლაფანაშვილს ჭელიძე მოჰყვა. ჭელიძემ შემომთავაზა ბედუკაძის მართვა საერთო ძალებით. მითხრა, რომ სამხედრო პირია


მერაბ ბლადაძე

და ფლობს არამდგრადი ფსიქიკის მქონე პირების მართვის ხელოვნებას. მე მას ვეჩხუბე და ვუთხარი, რომ ჩვენ ბედუკაძეს კი არ ვმართავთ, ის ჩვენი თანამებრძოლია; შენ ვინ ხარ, საიდან მოხვედი, რა საერთო გაქვს ჩვენთან ან ჩვენს საქმიანობასთან მეთქი. ასე დავშორდით.

ამის შემდეგ, ჭელიძე ხელმეორედ და მოულოდნელად ქალაქ ლიეჟში დამხვდა, სადაც მე და გიორგი ფოფხაძე ბედუკაძის მოსანახულებლად ჩავედით. კაფეში უეცრად გამომეცხადა ჭელიძე და მითხრა, - ბედუკაძეს შენთან შეხვედრა აღარ სურს, ამიერიდან მე უნდა მესაუბროო. ეს მოულოდნელი შეხვედრაც კონფლიქტით დამთავრდა. მოკლედ, მე და ფოფხაძე შანტაჟის მცდელობას პირველად აქ წავაწყდით.

პირველი რანგის კაპიტანი, ანუ პოლკოვნიკი ვიქტორ ჭელიძე 2006 წლიდან იძებნება სამხედრო პოლიციის მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე, 323-ე და 399-ე მუხლებით, რაც ითვალისწინებს განსაკუთრებით დიდი ოდენობით

14 gv.

ქონების ჯგუფურ მითვისებას, გაფლანგვას. თან, - არაერთგზის. ასევე, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და სამხედრო ქონების წესის დარღვევას.

ვიქტორ ჭელიძე, მისივე განცხადებით, 1991 წლიდან მსახურობდა ეროვნულ გვარდიაში (ჩოლოყაშვილის ბატალიონში). ჩემთან შეხვედრისას განმიცხადა, რომ ხელმძღვანელობდა ამ ბატალიონს, რაც ტყუილია. აფხაზეთის ომში მონაწილე ჩემი ვეტერანი მეგობრები მას მხოლოდ ნეგატიურად ახასიათებენ.

საინტერესოა ფაქტი, რომ თავის დროზე ვიქტორ ჭელიძე ოქრუაშვილმა რუსეთთან ფარული თანამშრომლობის მოტივით გაათავისუფლა. საინტერესოა ისიც, რომ თავად ვიქტორ ჭელიძე, საქართველოდან გაქცევის შემდეგ, აბსოლუტურად უდანაშაულოდ თვლიდა თავს და ხელისუფლებისგან მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვდა: მისთვის მოესმინათ, თუნდაც იმიტომ, რომ 2004 წელს, აჭარის მოვლენების დროს, სწორედ მე ჩავშალე პრეზიდენტ სააკაშვილზე თავდასხმაო, ანუ ჭელიძე რევერანსს უკეთებდა სააკაშვილს, - მე ოქრუაშვილმა აღმიძრა საქმე, გამომადგო სამსახურიდან და შენ კი, ჩემი ვალი გაქვს, მე შენზე თავდასხმა აღვკვეთე და ახლა მომისმინეო. მოკლედ, ჭელიძეს პრეტენზია უშუალოდ სააკაშვილთან არასდროს ჰქონია.

ინფორმაციის შეკრების პროცესში დამიკავშირდნენ ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები, რომელთა ვინაობასაც საჭიროების შემთხვევაში დავასახელებ. ეს ადამიანები ჭელიძეს ახასიათებენ, როგორც თაღლითს, რომელიც შეკრული იყო კრიმინალურ დაჯგუფებებთან და საზღვარგარეთ, კონკრეტულად, ესპანეთსა და ბრიუსელში მცხოვრებ (შედარებით შეძლებულ) ქართველებს სხვადასხვა ფორმით ატერორებდა. ბელგიის პოლიციამ ჭელიძე, როგორც ამბობენ, სწორედ ნაქურდალი ნივთების შენახვის ბრალდებით დააკავა.

ჭელიძესთან ჩემი პირველი შეხვედრისთანავე მივხვდი, რომ იგი ამ საქმეში სრულიად მიზანმიმართულად გაჩნდა. დღეს კი მაქვს ინფორმაცია, რომ ჭელიძე ვანო მერაბიშვილის და მიხეილ სააკაშვილის დავალებებს ასრულებს.

### რა დავალება ჰქონდა ჭელიძეს

ბედუკაძისთვის ჭელიძემ კეთილი გულშემატკივრის როლი მაღალ დონეზე ითამაშა და, საბოლოოდ, ბატონი ლადო არა მარტო ბლადაძეს, არამედ მე და გიორგი ფოფხაძესაც დაგვაპირისპირა. ჭელიძე ბედუკაძეს ეუბნებოდა, საქართველოს მთავარმა პროკურორმა ზოდელავამ რომ თქვა, ამ საქმეში 2 მილიონია გადახდილიო, ეს სიმართლეაო. ხან არწმუნებდა,- ეს ფული რუსებმა გადაიხადესო, ხან უმტკიცებდა, - ბიძინამ გადაიხადაო. შენ გმირი ხარ, დაფნის გვირგვინი უნდა დაგადგან და ფულადი ჯილდო მოგცენ, ამათ კი 2 მილიონი აიღეს და შენ „გადაგაგდესო".

ჭელიძეს მარტივი დავალება ჰქონდა: მას ბედუკაძე ბრიუსელის სარჩელიდან უნდა „ჩაეხსნა" - ამ შემთხვევაში სააკაშვილი და სხვანი სასჯელს გადაურჩებოდნენ. გარდა ამისა, ჭელიძეს ბედუკაძე უნდა წარმოეჩინა, როგორც პიროვნება, რომელიც ალოგიკურ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს და, აქედან გამომდინარე, სანდო მოწმედ არ გამოდგება. კიდევ ერთი ამოცანა „ობიექტივის" კომპრომეტირებაა.

### მითი ორი მილიონის შესახებ

ბედუკაძემ, ეტყობა, კარგად ვერ გაიგო, თუ რა თქვა მთავარმა პროკურორმა. ზოდელავამ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდის წევრმა თამაზ თამაზაშვილმა ორი მილიონი გადაუხადა ციხის თანამშრომლებს, რათა მათ პატიმრები ეწამებინათ და ეს ყველაფერი ვიდეოფირზე აღებეჭდათ. ბედუკაძემ, ეტყობა, კარგად ვერ გაიგო, რომ ამ თანამშრომლებში იგი თავადაც მოიაზრებოდა.

# vin da ratom ebrZvis `obieqtivs~

თამაზაშვილი რომ სრულიად უდანაშაულო იყო, ეს ბედუკაძემაც კარგად იცოდა; ამ საქმეში რომ 2 მილიონის გადამხდელი არავინ იყო, ბედუკაძეს ესეც უნდა სცოდნოდა. ვიდეოფირები, რომელიმე ბიზნესმენისთვის რომ გვეჩვენებინა, ჯერ ერთი, შიშით ხომ გული გაუსკდებოდა, მეორეც, - პროვოკატორებად ჩაგვთვ-



ლიდა, იფიქრებდა, რომ ვაჭერინებთ, და მესამეც, - ჩვენში ეჭვი რომც არ შეპარვოდა, ამ საქმეში მონაწილეობას მაინც არ მიიღებდა, რადგან ეს სიცოცხლისთვის საშიში იყო. გარდა ამისა, სააკაშვილის რეჟიმს უკლებლივ ყველა ბიზნესმენი დიდი ხანია ტერორში ჰყავდა და ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი აღარ ებმებოდნენ.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას კადრებს თუნდაც იმიტომ ვერ ვაჩვენებდით, რომ მის ირგვლივ ყველაფერი ისმინებოდა, იწერებოდა და ვიდეოფირზეც აღიბეჭდებოდა. ამიტომ კადრების ჩვენება მისთვის ვერ მოხერხდებოდა. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ივანიშვილი ამ საქმეში არ მონაწილეობდა; მას არცერთ გამოსვლაში არ უხსენებია არც „ობიექტივი", არც ირმა ინაშვილი და, საერთოდ, ამ საქმეზე კომენტარიც არ გაუკეთებია. უფრო მეტიც, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ „მეცხრე არხზე" ჩვენი მხარდამჭერი არცერთი სიუჟეტი არ მომზადებულა.

ვფიქრობ, ბედუკაძე ახლა მაინც უნდა ხვდებოდეს, რომ ორი მილიონის ამბავი სააკაშვილის რეჟიმის მიერ შეთხზული მითია.

### სარჩელის ჩაშლა

აღსანიშნავია, რომ ჭელიძემ ბედუკაძეზე წარმოუდგენლად დიდი გავლენა მოიპოვა. ჭელიძემ ბედუკაძე არამხოლოდ ბლადაძეს, ფოფხაძეს და მე, არამედ ლაფანაშვილს და ლომიასაც კი გადაამტერა. ეს გასაკვირი და გასაოცარია, რადგან ამ ადამიანებს ბედუკაძე არცერთხელ არ დაუღალატებიათ და მრავალი თვის განმავლობაში ედგნენ გვერდით. მეტიც, ჭელიძემ ბედუკაძე ადვოკატ ამრანთანაც დააპირისპირა, ანუ სწორედ ის შეასრულა, რაც დავალებული ჰქონდა. ჭელიძე ბედუკაძეს ადვოკატთან დაჰყვებოდა და ადვოკატის ნათქვამს ბედუკაძეს განზრახ არასწორად უთარგმნიდნენ. საბოლოოდ, ბედუკაძემ ღიად დაიწყო ადვოკატის შეურაცხყოფა ინტერნეტსივრცეში. ადვოკატთან ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა, სარჩელი ჩაიშალა. ადვოკატ ამრანს მიაჩნია, რომ ამგვარი ქმედებებით მისი საქმიანი რეპუტაცია შეილახა და, როგორც ჩემთვის ცნობილია, სათანადო რეაგირებასაც აპირებს.

### რეჟიმის მხრიდან კონტროლირებადი მედია და ბედუკაძის თემა

ბედუკაძის გვერდით ვიქტორ ჭელიძის აღმოცენების შემდეგ, სააკაშვილ- მერაბიშვილის სტრუქტურებმა „ობიექტივის" წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს. ამ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო როგორც თავად ჭელიძე, ისე სააკაშვილის დასაყრდენი მედიის ნაწილი. ამიტომაც ემთხვევა დროში ვიქტორ ჭელიძის ბრალდებების ტირაჟირება („ობიექტივის" წინააღმდეგ) და ვანო მერაბიშვილის განცხადებები, - ციხის კადრებთან მიმართებაში. ვიმეორებ: ამ კამპანიაში ყველა ის მედიასაშუალებაა ჩართული, რომლებსაც მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი ახლაც აკონტროლებენ.

დააკვირდით ფაქტს: მას შემდეგ, რაც საქართველოში დავბრუნდი, არც ერთ ტელეარხს (გარდა „ინფო 9"-ისა) გადაცემაში არ მივუწვევივარ. ბეჭდური მედია ძირითადად ბედუკაძე-ჭელიძის განცხადებებზე მთხოვდა კომენტარს, თუმცა ახლა ვითარება ცოტაოდენ გამოსწორდა.

ჟურნალისტმა ეკა ასათიანმა ყველა ჟურნალისტური სტანდარტის დარღვევით „კვირის პალიტრაში" დაკვეთილი სტატია დაბეჭდა, რომელიც საფუძვლად გამოიყენა ტელეკომპანია „იმედმა" და ფართო ასპარეზი მისცა ბედუკაძე-ჭელიძის ცრუ ბრალდებებს.

დააკვირდით: მსჯელობა და კამათი მიდის არა პატიმართა წამებაში ეჭვმიტანილ ახალაიაზე, მერაბიშვილსა თუ სხვებზე, არამედ, რატომღაც, აქტუალურია მოწმე ბედუკაძის და თაღლითი ჭელიძის ცრუ ბრალდებები „ობიექტივის" წინააღმდეგ.

### ბოლო შეხვედრა ბედუკაძესთან

ბრიუსელიდან წამოსვლამდე ერთი დღით ადრე ბედუკაძე ადვოკატ ამრანს ჩავაბარეთ. ადვოკატის თანდასწრებით ბედუკაძეს ბინის დასაქირავებლად გარკვეული თანხა გადავეცით. ბედუკაძე ამ შეხვედრაზეც ჭელიძესთან ერთად მოვიდა. ადვოკატს მოვთხოვე ბედუკაძის გარემოცვის შესწავლა და მოწმისთვის ბელგიის ფედერალური პოლიციის მხრიდან დაცვის უზრუნველყოფა. ამას დაადასტურებს როგორც ადვოკატი ამრანი, ისე ჩემი კოლეგა გიორგი ფოფხაძე.

### გულსატკენი უსინდისობა

მინდა ზოგიერთ ჩემს კოლეგას შევახსენო, რომ როცა ჟურნალისტი იმ ტიპისა და მნიშვნელობის ფაქტობრივი მასალის მოპოვების შესაძლებლობის წინაშე დგება, როგორიც იყო პატიმართა წამების ამსახველი კადრები, ის ვალდებულია ყველა ზომას მიმართოს ამ მასალის მოსაპოვებლად და გასავრცელებლად. არ ვიცი, ვინ რას იგულისხმებდა „ყველა ზომაში". მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ წამების ამსახველი კადრები ჩვენ პატიოსანი და ზნეობრივი გზით მოვიპოვეთ და გავავრცელეთ.

ვაცხადებ, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების ყველა ქმედება, დაწყებული ბედუკაძესთან ურთიერთობით და დასრულებული ევროსტრუქტურებსა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობით, იყო მხოლოდ ზნეობრივი, საზოგადოებისა და ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი. ამ ვითარებაში გაოგნებული ვარ, როცა ზოგიერთი ჟურნალისტი და არაჟურნალისტი ლამისაა დამნაშავედ მაცხადებს და მუდმივად ეძებს „შავ კატას ნათელ ოთახში" მაშინ, როდესაც ეს კატა ამ სრულიად ნათელ ოთახში არ არის.

ქრისტეს სწავლებით, შური კაცობრიობის დაავადებაა. ასე მგონია, ჩვენს ქვეყანაში ამ დაავადებამ ეპიდემიის სახე მიიღო. ეს მადარდებს და გულს მტკენს. უმადურებს მინდა ავუხსნა: ეს საქმე რაიმე ეტაპზე რომ „გამსკდარიყო", მე და მასში მონაწილე ჩემს თანამებრძოლებს ისეთი წამებით ამოგვხდიდნენ სულს, კალიგულას წამებები მონაგონი იქნებოდა. უბედურება არ ასცდებოდათ ჩვენი ოჯახების წევრებსაც.

ამიტომ პირდაპირ გეტყვით, რომ ძალზედ ნაადრევად მიმაჩნია, მოითხოვოთ ჩემგან დეტალური ინფორმაციის გამჟღავნება, გამომდინარე ჩემი, ჩემი ოჯახის და ჩემი თანამებრძოლების უსაფრთხოებიდან. ჩემი შვილები ერთხელ უკვე გავწირე; როცა ბედუკაძის შვილებს თურქეთში ვაცილებდი, ჩემი შვილები საქართველოში სრულიად დაუცველნი რჩებოდნენ... ვისაც გონება აქვს, უნდა მიხვდეს. გმირობას არ ვიჩემებ, ჩემი საქმე და ჩემი გზა მაქვს. ფაქტია, რომ პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელებით სააკაშვილის რეჟიმი გატყდა და არჩევნებში ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა.

### ვინ არის ბედუკაძე – გმირი თუ ჯალათი?

ბედუკაძე გმირია თუ ჯალათი? - ამ კითხვას უფრო ვრცლად ვუპასუხებდი, რომ არა ბედუკაძესთან შექმნილი დაძაბულობა და კონფლიქტი, რომელიც, საბოლოოდ, მისივე ხასიათიდან გამომდინარეობს.

უამრავი პატიმარი ამბობს, რომ ბედუკაძეს იგი არ უწამებია, მას კარგად ეპყრობოდა; ასევე ძალიან ბევრი პატიმარი ამბობს, რომ ბედუკაძე პატიმრებს საერთოდ არ აწამებდა. ამავდროულად, დღეისათვის გამოჩნდა რამდენიმე პატიმარი, რომელიც პირადად ბედუკაძეს ადანაშაულებენ წამებაში. მაგალითად, მსჯავრდებულები: რატი რეხვიაშვილი, თამაზ რასოიანი, დავით და გიორგი მამულაშვილები. ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ვიდეომასალა, რომელშიც პატიმრები ასევე ადანაშაულებენ ბედუკაძეს. აქედან გამომდინარე, კვლავ ისმის კითხვა - აწამებდა თუ არა ბედუკაძე პატიმრებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოძიების პრეროგატივაცაა და ვალდებულებაც. მე კი არ მინდა, რომ ვინმემ მიკერძოებულობაში დამდოს ბრალი, ამიტომ ზოგადი და უკამათო მოსაზრებებით შემოვიფარგლები.

უპირველესად, აღვნიშნავ, რომ ასი კაცი სიკვდილს რომ გადაარჩინო და ერთი აწამო, მაინც დამნაშავე ხარ; შენ რომ არ გსურდეს და სხვისი ბრძანებითა და ძალდატანებით ადამიანი აწამო, მაინც დამნაშავე ხარ; ხელფასის ან ავადმყოფი მეგობრის გადასარჩენად, ან თუნდაც შვილის სიცოცხლის შესანარჩუნებლად კაცი რომ აწამო, მაინც დამნაშავე ხარ; მეტიც, სამშობლოს გადასარჩენად რომ აწამო კაცი, მაინც დამნაშავე ხარ! ეს სიტყვები ისე არ გაიგოთ, რომ ბედუკაძეს რამეში ვადანაშაულებ; მე მხოლოდ ზოგად პრინციპებზე ვსაუბრობ, ხოლო ბედუკაძის დამნაშავეობა-უდანაშაულობის დადგენა გამოძიების პრეროგატივაა.

რაც შეეხება გმირობას: კაცი, რომელიც ვიდეოკამერით იღებდა არასრულწლოვანი ახალგაზრდის ხელკეტით გაუპატიურებას და ამასთან, ვიდეოკამერის წინ ეკითხება ამ ახალგაზრდას: „ხარ მოტ... ული?!", არის კი გმირი? კაცი, რომელიც თვლის, რომ სულიერად ავადმყოფს უკანალში ცოცხს თუ შეურჭობ, გაუპატიურება კი არა, დაცინვაა, არის კი გმირი?

ხმამაღლა ვაცხადებ: ბედუკაძესთან ჩვენ რომ არ გვემუშავა, იგი დღესაც ციხეში იმუშავებდა და წამების ამსახველ კადრებს ძველებურად გადაიღებდა, ხოლო ვანო მერაბიშვილი დღესაც პრემიერმინისტრი იქნებოდა.

კვლავ ვამბობ: ბედუკაძესთან მუშაობას ჩვენ განვიხილავდით, როგორც ცოდვების გამოსყიდვის შანსს მისთვის. თანაც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბედუკაძე, როგორც თავად ამტკიცებდა, მარტოოდენ ვიდეოოპერატორი იყო.



### ბედუკაძის პრეტენზიების უსამართლობა

ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ აბსოლუტურად ყველა შეთანხმება, რომელიც კი არსებობდა გიორგი ლომიას, ჩემს თუ ჩემი გუნდის სხვა წევრებსა და ბედუკაძეს შორის, პირნათლადაა შესრულებული. ბედუკაძის პრეტენზიები უსაფუძვლო და გაუგებარია. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ყოველთვის პირნათლად ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს ჩვენი მეგობრების, თანამებრძოლებისა და პარტნიორების წინაშე. ამ თვალსაზრისით, არც ბედუკაძეა გამონაკლისი. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ჩვენ არ ვებრძვით ბედუკაძეს, არც ვებრძოდით და არც მომავალში ვაპირებთ მასთან ბრძოლას. ბედუკაძე გვებრძვის, მაგრამ ესმის კი რატომ გვებრძვის? ჩვენ მასთან არაფერი გვაქვს არც გასაყოფი და არც საბრძოლველი. დარწმუნებული ვარ, რომ ბედუკაძის ბრალდებები სინამდვილეში ბედუკაძის ბრალდებები კი არა, ჭელიძისა და მის უკან მდგომი ძალების ცილისწამებებია. მათ სურთ ბედუკაძე ბრმა იარაღად აქციონ და უდანაშაულო ადამიანების კომპრომენტირებაში ჩააბან. დაუფიქრდით: ხვალ, შესაძლოა, ბედუკაძეს რომელიმე ყოფილ, პატიოსან და უდანაშაულო პატიმარზე ათქმევინონ, რომ ის ე.წ. ნასედკა იყო, ან რომ იგი ხელკეტით გააუპატიურეს. მაშინ, როდესაც მსგავსს არაფერს ადგილი არ ჰქონია. კიდევ ერთხელ ვურჩევ ბედუკაძეს, რომ გონს მოეგოს და სიმართლის მხარეს დადგეს.

**ირმა ინაშვილი,**
მედია-კავშირ „ობიექტივის" ხელმძღვანელი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# evropelma maRali donis saxelmwifo moxeleebma ukve gaakeTes TavianTi arCevani _ maTi favoriti ivaniSvilia

**ნატო და ევროკავშირი ჩათრეული აღმოჩნდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპირისპირებაში. ქართველმა ლიდერებმა გადაწყვიტეს, ერთდროულად ჩასულიყვნენ ვიზიტით ბრიუსელში ევროკავშირისა და ნატო-ს მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მართალია, ჩრდილოატლანტური ალიანსის გენერალურმა მდივანმა გააკრიტიკა საქართველოს ახალი ხელისუფლება, მაგრამ ექსპერტების აზრით, ანდერს ფოგ რასმუსენი ქართველ პრემიერს უცხადებს ნდობას.**



საქართველოს ახალი პრემიერის პირველი საზღვარგარეთული ვიზიტი კონფუზით დაიწყო: ბრიუსელის აეროპორტში ბიძინა ივანიშვილს არც საქართველოს ელჩი ევროკავშირში, და არც ნატო-ში მუდმივი წარმომადგენელი არ დახვედრია. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის სალომე ზურაბიშვილის ცნობით, ორივე ელჩი იმყოფებოდა პრაღაში, სადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩავიდა. მან ეს ვიზიტი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მერვე სესიას დაამთხვია.

პრაღაში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა საქართველოს ახალი მთავრობა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა: „ძალზედ შეწუხებული ვარ იმ მოვლენებით, რომლებიც არჩევნების შემდგომ საქართველოში ხდება. კერძოდ (ბიძინა ივანიშვილის –”Ú”) პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებით“. გენერალური მდივნის განცხადება მნიშვნელოვანი საჯილდაო ქვაა ბატონი სააკაშვილის ხელში, რომელიც ივანიშვილის კვალდაკვალ ბრიუსელში ჩავიდა. გამოცემის ინფორმაციით, ოთხშაბათს იგი ბატონ რასმუსენთან შეხვედრას გეგმავს.

იმავე დღეს ნატო-ს გენერალურ მდივანთან შეხვედრები უნდა გამართოს ბიძინა ივანიშვილმაც. მანამდე საქართველოს პრემიერი შეხვდა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტ ვან რომპეის, ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზუს და ევროკავშირის გაფართოების საკითხების ევროკომისარ შტეფან ფულეს. მხარეებმა იმსჯელეს იმ თემებზე, რომლებიც საქართველოს ევროინტეგრაციას ეხება. მოლაპარაკებებზე, კერძოდ, იმსჯელეს ევროკავშირთან საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ. ბიძინა ივანიშვილმა და გერმან ვან რომპეემ შეხვედრის შემდეგ პრესისთვის განცხადებები გააკეთეს. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი უცვლელია, რადგანაც საქართველოს გზა ევროპისა და ევროატლანტური სივრისკენ მიემართება.

მართალია, ბრიუსელი თავს არიდებს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ კომენტარებს, მაგრამ ექპერტთა აზრით, ევროპელმა მაღალი დონის სახელმწიფო მოხელეებმა უკვე გააკეთეს თავიანთი არჩევანი. „ბრიუსელში ყველას – რიგითი კლერკით დაწყებული და გენერალური მდივნით დამთავრებული, კარგად ესმის, რომ სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი და როგორც პოლიტიკოსი. გარეგნულად თითქოს გამოხატავენ პატივისცემას სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, მაგრამ აშკარაა, რომ მათი ფავორიტი ივანიშვილია“, – განუცხადა **kommersant**-ს თბილისის დიპლომატიური აკადემიის რექტორმა სოსო ცინცაძემ.

ნატო-ს გენერალური მდივნის მკაცრ განცხადებას ექსპერტები უკავშირებენ იმ ფაქტს, რომ ალიანსი მზად არ არის, საქართველოს საგზაო რუკა შესთავაზოს. ოქტომბრის არჩევნებამდე თბილისს უარს ეუბნებოდნენ იმ საბაბით, თითქოს მათთვის გაურკვეველი იყო, რამდენად დემოკრატიულად ჩატარდებოდა არჩევნები. ახლა ნატოს შეუძლია კვლავ უარი განაცხადოს და მიზეზად მოიყვანოს ის ფაქტი, თითქოს ახალი მთავრობა დემოკრატიულ ნორმებს არღვევს. ორივე შემთხვევაში, ალიანსის ხელმძღვანელობის ასეთი საქციელის ახსნა შეიძლება ერთადერთი მოტივით – მათ არ სურთ რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება.

**kommersant.ru**

# axlo aRmosavleTi _ axali sajildao qva Zveli problemebiT obama palestinelebs: `jerjerobiT _ aranairi saxelmwifo~

**ამერიკის პრეზიდენტს ისევ სურს, დაიბრუნოს ახლო აღმოსავლეთში ვითარების დარეგულირების სადავეები, წერს გაზეთი La Stampa.**

„ბარაკ ობამა საფუძველს უყრის ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებების განახლებას და იმავდროულად, მხარს უჭერს სირიის ოპოზიციას, ვკითხულობთ წერილში. ხელახლა არჩეული პრეზიდენტი მუშაობას ორი მიმართულებით იწყებს. ამერიკის ადმინისტრაცია დოხაში ასადის საწინააღმდეგო ახალი „ნაციონალური კოალიციის“ დაბადების ერთი რეჟისორი იყო; რამდენიმე საათის შემდეგ კი ობამა ურეკავს მაჰმუდ აბასს, პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარეს და სთხოვს: 1. გააგრძელოს მონაწილეობა „ისრაელთან პირდაპირ მოლაპარაკებებში“ და 2. უარი თქვას გაეროსთან ცალმხრივ ნაბიჯებზე, რაც პალლესტინისთვის გაეროს არაწევრი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებას გულისხმობს“.

„ამ ეტაპზე თეთრი სახლის პრიორიტეტია თავისი მოკავშირეებისთვის კოლაფსის არიდება“, – აცხადებს რობერტ სეტლოფი, ვაშინგტონის ინსტიტუტის ანალიტიკოსი, რომლის აზრითაც, „იორდანიის მარცხი – ეს არის სირიის ომის შედეგი, ხოლო პალესტინის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული აფეთქება ღაზის სექტორში – „ჰამასის“ ანტიისრაელური შეტევის შედეგი. ეს ის ნაღმებია, რომელთა გაუვნებელყოფა აუცილებელია. აქედან გამომდინარეობს „ასადის უმოკლეს ხანში ჩამოგდების“ აუცილებლობაც იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად განახლდეს მოლაპარაკებები ისრაელსა და პალესტინის ადმინისტრაციას შორის, – წერს გამოცემა.



გაეროს მიმართ პალესტინის ადმინისტრაციის ინიციატივაზე უარის თქმის თხოვნას პალესტინელები აპროტესტებენ: „უარს ვერ ვიტყვით გაეროსკენ მიმავალ გზაზე მანამდე, ვიდრე ისრეალი არ შეწყვეტს დასახლებების მშენებლობას“.

ახლა ობამა რთული არჩევანის წინაშეა და ახლო აღმოსავლეთში დაგროვილი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას დიდწილად განსაზღვრავს ის, თუ ვის დანიშნავს თავის მრჩევლად ამ რეგიონში, რომელიც ახლა საკვანძო მოთამაშეების გარეშეა დარჩენილი“, – წერს გამოცემა.

**La Stampa**

# roca xelisufleba sakuTar xalxs daSinebis politikiT marTvas, gaRizianeba da protesti gardauvalia

**რუსეთში მწერლის ხმას ყოველთვის განსაკუთრებული წონა გააჩნდა, მაგრამ იგი მნიშვნელობას მხოლოდ ისეთ დროს იძენდა, როდესაც რუსეთელები მის შესასმენად მზად იყვნენ, აღნიშნავს The International Herald Tribune-ის კორესპონდენტი სელესტინ ბოლენი. დეტექტივ-ბესტსელერების ავტორი შარშან, წლის ბოლოს, პოლიტიკური ოპოზიციის შესამჩნევი წარმომადგენელი გახდა.**

„ადრე იშვიათად მეკითხებოდნენ ჩემი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ. როცა ინტერესდებოდნენ, ყოველთვის ვპასუხობდი იმას, რასაც ვფიქრობდი, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს არავინ იჩენდა“, – აღნიშნა აკუნინმა გამოცემასთან ინტერვიუში.

„ახლა რუსეთს გაუჩნდა შანსი, გახდეს დემოკრატიული და ასეთად დარჩეს“. თუმცა დემოკრატიული შეგნებისკენ ქვეყანა მდორედ მიემართება. იქნებ ეს კარგიცს არის: სიჩქარე შესაძლოა, სახიფათოც კი აღმოჩნდეს, – დასძინა მწერალმა.

რითია აკუნინი ასეთი ფასეული საპროტესტო მოძრაობისთვის?



„თუ ჩემი როლი შესამჩნევია, ეს იმიტომ ხდება, რომ მე მწერალი ვარ, მასობრივი ლიტერატურის ავტორი. ჩემი ძირითადი აუდიტორია საშუალო კლასია“, – აკუნინი თვითონვე პასუხობს თავისსავე შეკითხვას.

იგი პოლიტიკური მოღვაწეობის გამო სამწერლო ასპარეზის მიტოვებას არ აპირებს: „ზოგიერთი ჩვენგანი ნებაყოფლობით სახანძრო რაზმს ჰგავს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ პროფესიონალ მეხანძრეებად ყოფნა გვსურს“.

„ბოლო თვების განმავლობაში, ხელისუფლება ოპოზიციას კიდევ უფრო ზღუდავს“, – აღნიშნავს გამოცემა. თუმცა, სიმართლე ითქვას, აკუნინს „პირდაპირ არ დასჯახებიან“, მაგრამ საგადასახადო ინსპექციამ საგულდაგულოდ შეამოწმა მისი შემოსავლები, ხოლო მის წიგნებში ეძებენ იმის ნიშნებს, რომლებითაც შესაძლოა, ექსტრემიზმის შესახებ კანონი ირღვეოდეს.

აკუნინი იმედიანად არის განწყობილი: „როცა ხელისუფლება დაშინების ტაქტიკას იყენებს, ხალხის სულერთია განწყობა გაღიზიანებაში გადაიზრდება ხოლმე“.

**The International Herald Tribune**
**The new York Times**

# saqarTvelo cdilobs daamtkicos Tavisi medasavleTeoba

საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პირველი სამუშაო ვიზიტით ბრიუსელს ეწვია, იუწყება გამოცემა **La Croix.**

„სააკაშვილი და ივანიშვილი არჩევნების შემდეგ ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ. ისინი პირისპირ არ ლაპარაკობენ, თუმცა მათი ადმინისტრაციების მეშვეობით სახელმწიფო ფუნქციონირებას განაგრძობს“.

ბრიუსელის შეხვედრებზე მსჯელობისას მთავარი და ყურადსაღები იყო ახალი სამთავრობო გუნდის დიპლომატიური ორიენტაცია, აღნიშნავს ავტორი.

ქართულ ელიტას, რომელიც კვლავ სააკაშვილის ერთგულია და აქტიურად მხარს უჭერს ევროკავშირსაა და ნატო-ში შესვლას, აშინებს რუსეთთან დაახლოება. „სტაგნაციისა და სააკაშვილის აგრესიული რიტორიკის რამდენიმეწლიანი პერიოდის შემდეგ, აუცილებელია, მოსკოვთან ურთიერთობის ახალი დინამიკა შევქმნათ, აცხადებენ საქართველოში.

თბილისი სულ უფრო მეტ სიგნალს უგზავნის მოსკოვს – რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა სწორედ ამ კონტექსტში განიხილება. „სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ მანევრებისთვის არანაირი სივრცე არ არსებობს – საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია, ოკუპანტი კი მხოლოდ იმ კომპრომისს თანხმდება, რომელსაც თვითონ ახვევს სხვას.

**La Croix;**
**vestikavkaza.ru**

# xalxi moiTxovs: _ qarTveli rozenbergebi da `nacpartia~ sabraldebo skamze!

# დამნაშავე ბავშვებს გამოტირებული იდეოლოგიური მშობლები

იდეოლოგია ასე განიმარტება – გარკვეული კლასის, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის და მისთანათა იდეების, შეხედულებათა სისტემა, რაც ვლინდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში, პოლიტიკაში, სამართალში, ფილოსოფიაში და სხვა.

მაშასადამე, „ნაცმოძრაობასაც“ ჰქონია იდეოლოგია და ისეთი სახით გამოვლენილა სწორედ სხვადასხვა ფორმაში, რომ დღეს ამ იდეოლოგიიდან ნაწარმოები დანაშაულებების გადახარისხებას ვეღარ აუდიან შესაბამისი სტრუქტურები.

იდეოლოგიას, თავისთავად, სათავეში უდგას მთავარი „შემომტანი“, მამა-იდეოლოგი, რასაც მოსდევს მისგან გამრავლებული




„შვილებით“ მიღებული ოჯახი-იდეოლოგი და ბიძაშვილ-მამიდაშვილები – იდეოლოგიის წვრილ-წვრილი მედროვე დამცველები.

ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს სიტყვა, პირდაპირ „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიით დავიწყოთ, რომელიც, უპირველესად, სხვა, ე.წ „ქურდულ იდეოლოგიას“ დაეტაკა. პრეტენზია ასეთი იყო – ქურდული იდეოლოგია წამლავს ჩვენს მომავალს, ახალგაზრდობას, ამიტომ, ქურდული იდეოლოგიის მატარებლები უნდა იყვნენ საზოგადოებისგან იზოლირებულიო. ვინც გაასწრო ხელისუფლებას, ხომ გაასწრო, მაგრამ ვინც არსად წასულა, მხოლოდ იმიტომ, რომ გაქცევის საფუძველს საკუთარი ცხოვრების ნირისა თუ წესიდან გამომდინარე, ვერ ხედავდა, პირდაპირ ჩაუვარდა ხახაში „ნაციდეოლოგიურად“ გადაწყობილ მართლმსაჯულებას.

ე.წ „ქურდული იდეოლოგიის“ პროპაგანდა თუ სადმე ხდებოდა, რაღაც წრეში, ეს მათივე ე.წ სამყაროში ხდებოდა და მოიცავდა ერთგვარ დაუწერელ კანონთა კრებულს, მკაცრად დადგენილ წესებს, სადაც არც გადაბირება იყო საჭირო, არც „დავერბოვკება“ და დაშანტაჟება. ეს იყო გარკვეული წრე, რომელიც, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პასუხს აგებდა კანონის წინაშე. „ნაცპარტიის“ მიერ წამოწყებული ომი, ე.წ „კრიმინალთან ბრძოლა“ ისეთი „წარმატებით“ განხორციელდა, ლამის ნახევარი საქართველო ციხეში ან საციხოდ ნიჩაბზე შეგდებული აღმოჩნა.

დღემდე ვერ მივმხვდარვარ, „ნაციდეოლოგებს“ ე.წ „კანონიერი ქურდი“ და ქურდი, პირი, რომელმაც რაღაც მოიპარა, ორივე „ის ქურდი“ ჰგონია, რომელსაც ე.წ „ქურდული მენტალიტეტის“ გამობერტყვას უპირებდნენ თავიდან? ვერც იმას მივხვდი, ყველა კრიმინალი ქურდი ჰგონიათ?

კიდევ ერთი იდეოლოგია, რომელსაც „ნაციდეოლოგია“ დაესხა თავს, ე.წ „საბჭოთა იდეოლოგიის გადმონაშთები“ იყვნენ, რომლის კვალიც პირდაპირ რუსეთში მყოფ ცნობილ-ცნობად ქართველებზე გადიოდა და კონკრეტულად პუტინისკენ მიემართებოდა – მათთვისაც გამოინახა ადგილი ევროპული სტანდარტების საქართველოს ციხეში...

მოკლედ რომ ვთქვათ, „ნაციდეოლოგია“ თავისივე პარტიული დროშით თავზე გადააჯდა მთელ საქართველოს.

უმთავრესი იდეოლოგია, რის გამოც „ნაცებმა“ საქართველოს და ქართველი ხალხის გადაშენებისთვის „იღვაწეს,“ პირდაპირ აისახა მათ სვლებში – სახეზეა საქართველოს ფიზიკური და სულიერი გენოფონდის განადგურება და საქართველოს ტერიტორიების მაქსიმალური შეკვეცა.

თუ ვირწმუნებთ კახა თარგამაძის ინფორმაციას, რომ საკუთარი თვალით აქვს ნანახი გეგმა (რომელიც ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს აქვს), რომლის მიხედვითაც ქართული გენოფონდი უნდა განადგურებულიყო და საქართველოს მოსახლეობა უნდა განსაზღვრულიყო მხოლოდ 700 000 კაცით, უსათნოესი რომ იყოს ადამიანი, მაინც ბოროტი ზრახვები გაუჩნდება ამ გეგმის განხორციელების მოსურნე ჯგუფის მიმართ. ეს კი ის ჯგუფია, რომლებიც, 1 ოქტომბრამდე ხომ იყვნენ და იყვნენ და ახლაც, ნაკლებად, მაგრამ ხელისუფლებასა და მთავრობაში არიან წარმოდგენილები და „ნაცმოძრაობა“ ჰქვია.

ეს ის ჯგუფია, რომელიც ისე მისტიროდა უკვე დამნაშავედ ცნობილ მათი ე.წ გუნდის დამნაშავეებს, როგორც მოუსავლეთში მიმავალ შვილებს მისტირიან მშობლები...

პატივცემული ბაჩანა ახალაია გმირი რომ ყოფილა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კანონმორჩილი მოქალაქე, ციხეების რეფორმატორი, ალალ-მართალი კაცი და მისთანები, სასაცილოდ ჟღერდა, მაგრამ ჯანდაბას, შეამკონ განწირულიო, იფიქრებს კაცი, მაგრამ საზოგადო მოღვაწეც რომ ყოფილა – გავიგნდი.

არ ვიცი, რამხელა გარღვევა უნდა ჰქონდეს ტვინში ადამიანს, დღეს რომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ გვერდი შექმნას სახელწოდებით „დღეს მეც ბაჩო ახალაია ვარ – მეც დამიჭირეთ!“ და საქართველოს მოსახლეობას მოუწოდოს იმ სასამართლო პროცესზე დაესწროს, სადაც სამშობლოსთვის (თუ საკუთარი პატრონებისთვის ხალხის ყელის გამომღადვრელები) „სისხლდამღვრელი“ ბიჭების საქმე განიხილება – იდეოლოგიური მშობლები, როგორც ჩანს, სერიოზული ავადმყოფები ყოფილან.

ნაცისტური იდეოლოგია, ვიღაცებს დღესაც ადოლფ ჰიტლერის მანიაკალური ბუნების პირმშო











ჰგონია, მაგრამ სინამდვილეში, ნაცისტური იდეოლოგიის სულიჩამდგმელი, გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი ალფრედ როზენბერგი გახლდათ, ვერმახტისა და „SS-ის“ გენერალი. ერთ-ერთ საშიშ სამხედრო დამნაშავედ ცნობილი როზენბერგი სწორედ ის ადამიანია, რომელმაც ჩამოუყალიბა ნაცისტური პარტიის თავკაცს, ადოლფ ჰიტლერს ის აზრები და ხედვა, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაასახიჩრა, საცდელ ბოცვრებად აქცია და დაანგრია ქვეყნები.

საკუთარი ხელით არ უწამებია ალფრედ როზენბერგს ტყვეები, არც არავის შეხებია ფიზიკურად, იჯდა თავისთვის მშვიდად კაბინეტში და წერდა ნაცისტური იდეოლოგიის ნაშრომებს. ჰიტლერის „მაინ კამპფ“ როზენბერგის იდეებზეა აგებული და არა უწიგნური ჰიტლერის ბნედიანი გონების წარმოსახვაზე. სწორედ როზენბერგი აწარმოებდა ნაცისტური პარტიის შიდაპოლიტიკას და მის მიზნებში იყო ნაცისტური იდეების გერმანიის საზღვრებსგარეთ გატანაც...

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალზე წარმდგარ როზენბერგს, როგორც ერთ-ერთ უდიდეს სამხედრო დამნაშავეს, სიკვდილი მიესაჯა და განაჩენი სისრულეშიც მოიყვანეს – ვიმეორებ, ნაცისტური იდეოლოგიის შემქმნელს და არა სისხლიანი საქმის უშუალო შემსრულებელს.

სხვათა შორის, ის ადამიანები, დღეს რომ მრავალ სასტიკ დანაშაულში (მათ შორის მკვლელობის შეკვეთებსა და ადამიანთა წამებებში) ეჭვმიტანილ ბაჩანას მისტირიან და პოლიტიკურ პატიმრად აცხადებენ, ორივე ხელით უკრავდნენ ტაშს ირაკლი ბათიაშვილის წლობით საპყრობილეში გამოკეტვას, როგორც ემზარ კვიციანის ინტელექტუალური მხარდამჭერისა, არადა, რაში გამოიხატა მხარდაჭერა, მოწოდებაში, „სისხლი არ დაღვარო, ემზარო?!“

საკუთარი ხალხის ცემის, მოწამვლის, წამების, გაუპატიურების, დახოცვის, სამშობლოდან გადახვეწის, ქვეყნის დანგრევისა და ყოველივე ქართულის ამოშანთვის იდეოლოგები კვლავ იმავეს პროპაგადას აგრძელებენ.

დოკუმენტურ ფილმს „არაჩვეულებრივი ნაციზმი“ (რეჟისორი ამირან ამირანაშვილი), სადაც დოკუმენტურადაა აღნუსხული ქართული რეალობა, ალბათ, შემთხვევით არ აქვს შერჩეული ეს სათაური; ის, რომ ქართველი ხალხი ქართულ „ნიურნბერგის პროცესს“ მოითხოვს „ნაცპარტიის“ გასასამართლებლად, არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი, ალბათ, ხალხმა მართლაც დაინახა გამეორება იმავე იდეოლოგიისა, რაც ფაშისტებს ჰქონდათ – „ნაციონალი“ არ არის? – ჩვენი იდეოლოგიური მტერია!

ზემოთ აღვნიშნე, რაგინდ უსათნოესი იყოს ადამიანი, არის ხოლმე იმგვარი გამონაკლისი გამოწვევა, რაც მასაც კი გააბოროტებსმეთქი. როგორც ჩანს, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან ქართველი ხალხი მთელი „ნაცპარტიის“, ანუ ზოგადად, „ნაციდეოლოგიის“ გასამართლებას და განადგურებას ითხოვს.

მარტივი ტესტით ადვილია დადგენა, ვინ არიან ამ იდეოლოგიის შემქნელები და აქტიური პროპაგანდისტ-გამტარებლები. საქართველოს მოქალაქეებს დაუსვით კითხვა: „ვისი დანახვა არ გსურთ ტელეეკრანზე?“ – შედეგი ნამდვილად არ გადააჭარბებს მოლოდინს. გიგა ბოკერია, გიგი თევზაძე, ლევან რამიშვილი, გია დარჩიაშვილი, გია ნოდია, გოკა გაბაშვილი, ნუგზარ წიკლაური, აკო მინაშვილი, თეა თუთბერიძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, მიშა თავხელიძე, ხათუნა ოჩიაური, კაკო ბობოხიძე, ხათუნა გოგორიშვილი – ყველას რა ჩამოთვლისო?

ამ ადამიანებმა ისე, რომ როზენბერგივით, პირადად არც არავინ მოუკლავთ, არც უწამებიათ, არც უსახლკაროდ დაუტოვებიათ და არც გაუკოტრებიათ არავინ, მაინც უდიდესი ზიზღი დაიმსახურეს. მათი უხილავი დანაშაული, ასევე უხილავმა, ერის „მესამე თვალმა“ დააფიქსირა და ჩაიბეჭდა...

**მაია ჭელიძე**

„ნამუსიც კარგი საქონელიაო", საქართველოში მანამ ითქმოდა, სანამ ხელისუფლებაში გარეშე ძალის ჩარევით (და ჟურნალისტების დახმარებით) საგულდაგულოდ შერჩეული სოციოპატთა ის ჯგუფი არ მოიყვანეს, რომელმაც სინდის-ნამუსთან ერთად სრულიად საქართველოც მიაყიდა. დაბრუნებული "იმედის" ეთერით 7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებული "ღია ეთერის" გადაცემას სამნი — თეა სიჭინავა, დიანა ტრაპაიძე და ეკა ხოფერია უძღვებოდა. ჟურნალისტობა-პუბლიცისტობა ჩემთვისაც (სამსახურის დაკარგვის გამო) იძულებით პროფესიად იქცა, თუმცა "ჟურნალისტურად ნამუსის გაყიდვა" ჯერ არ გამომდის. დაარსების დღიდან "იმედში" 2010 წლამდე მომუშავე ("იმედელად" თავს მეც ვთვლი) ჩემთვის პასუხგაუცემელი დარჩა გადაცემის მთავარი კითხვა: "რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს აღარ განმეორდეს"! ჟურნალისტობაც, ყველა პროფესიის მსაგავსად, პირველ რიგში, სიმართლის თქმასა და ზნეობრივ პრინციპებს უნდა ემსახურებოდეს. "ის რომ აღარ განმეორდეს, რაც 7 ნოემბერს მოხდა", საზოგადოებამაც, ჟურნალისტებმაც და პოლიტიკოსებმაც სიმართლისთვის თვალის გასწორება და ხანდახან დანაშაულის ტოლფასი ქმედებების აღიარებაც უნდა შესძლონ. სწორედ ამ სიმართლის გამო გამომიშვეს მეც "ტელეიმედიდან", დღემდე უმუშევარი ვარ, როდესაც სტუდიაში მჯდომი ბევრი "იმედელი" დარბევიდან მეორე დღესვე სასათბურე პირობებში სამუშაოდ გადაიყვანეს. ფეხმძიმე დიანა ტრაპაიძემ, რომელიც (იმედის დარბევისას) იმედის სხვა ჟურნალისტებთან და სტუმრებთან ერთად ერთად იატაკზე ეგდო, შესანიშანავად უნდა იცოდეს რა და როგორ მოხდა: ის, რომ ა.წ. 7 ნოემბერის "ღია ეთერში" ტრიუმფატორად გამოყვანილი გიორგი თარგამაძე კოდუას დაცვამ გაიყვანა ტელეკომპანიიდან; არც მის მეუღლეს, თათია თოფურიას და არც სიდედრს — მანანა ითონიშვილს "იმედში" დატრიალებული ორომტრიალი არ შეხებიათ; გიორგი თარგამაძეს კი არათუ ამდენი საეთერო დროის დათმობის, "იმედის" ხსენების მორალური უფლებაც არა აქვს. უნდა იცოდეს ეკა ხოფერიამაც (რომელიც "რუსთავი 2" საინფორმაციო სამსახურის უფროსად მუშაობისას) სხვა ჟურნალისტებთან ერთად, ფაქტიურად, მართავდა "ვარდების რევოლუციის" პროცესებს. დაუფასდა კიდეც — ის დღესაც "მიღებული ჟურნალისტური სახეა", რომელსაც ზოგი პოლიტიკოსის მსგავსად, არასდროს უხსნებია იმ "დიდი დამსახურების შესახებ", რითაც (ნაციონალების ხელისუფლებაში მოყვანით) 7 ნოემბრის მოვლენებამდე პროცესების მიყვანაში მისი წვლილიც დიდია. სტუდიაში უტიფრად მსხდომნი ბევრი გაყიდული "იმედელიც" დავლანდე. "წარბშეუხრელად მსხდომთ" საბანკო სესხებისა და ვალების გამო "იმედის" დატოვებისთვის, ზოგს- 120 ათასი (ერთი წამყვანი ქალბატონის მეუღლემ მეორე კვირას მანქანა რომ შეიძინა), ზოგს, პირველ არხზე მომუშავეს 100 000 რომ ჩაახუტეს. ვალები სხვებსაც გვქონდა, მაგრამ არც მსგავსი რამ გვიკადრებია და "არასაიმედოობის" გამო არც ვინმე შემოგვთავაზებდა ხელისუფლებაში მოკალათებულ "თავისუფლების ინსტიტუტთან" კომპრომისზე წასვლას. "ქრისტიანი" გიორგი თაგამაძე კი წავიდა ამაზე. გადაცემაში ნაჩვენები დარბევის კადრები და პრეზიდენტის გადადგომაზე იძულებით გაკეთებული განცხადების გახსენება, ობიექტური ჟურნალისტებისგან სხვა შეფასებას ითხოვდა და არა მხოლოდ იმას, რაზეც აქცენტი გაკეთდა. "საკუთარი ხალხის რეზინის ტყვიებით, მომწამვლელი გაზითა და აკძალული აკუსტიკური იარაღით დამარბეველი კაცისგან კანდიდატად მის ხელახლა წამოყენებაში სწორედ "ცნობადმა ჟურნალისტებმაც" და ზოგიერთმა ოპოზიციონერმა არ ითამაშა მაშინ დიდი როლი? თუ საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროტესტის დაწყების ნაცვლად, მთელმა მაშინდელმა პოლიტიკურმა სპექტრმა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობით სააკაშვილს გაპრეზიდენტების უფლება ხელახლა არ მისცა? წამყვანთანაგან თეა სიჭინავა ყველაზე სუფთაა "იმედის" მოვლენებთან მიმართებაში. "ვარდოსნების რევოლუციის" „რუსთავი 2-ის" საინფრომაციო სამსახურის უფროსისა და "საჭირო დროს წასვლის მცოდნე" ეკა ხოფერია, (თარგამაძის მსგავსად) "იმედიდანაც" ძალიან ტაქტიკურად (ოჯახური მდგომარეობის გამო) წავიდა. "რუსთავი 2"-დან "იმედში", შემდეგ კი პირველ არხზე გადასული ხოფერიასთვის უცხო არ უნდა იყოს ხალხის მასების ტელევიზიით მართვის ტექნოლოგია. ასევე კარგად იცნობს მას გიორგი თარგამაძეც, რომელიც "იმედის" საინფრომაციო პოლიტიკას წარმართავდა და რისი საბოლოო შედეგიც "იმედის" დარბევა გახდა. ობიექტურიც, "იმედი" არა "თარგამაძის პრინციპულობით", არამედ პატარკაციშვილისგან ტელევიზიის დამოუკიდებელი პოლიტიკის მოთხოვნით იყო.

სტუდიაში მსჯდომთაგან არც "იმედის" საინფორმაციო სამსახურის ყოფილ უფროსს და არც ასიათასებით "იმედიდან" გაშვებულ ჟურნალისტებს "არ გახსენებიათ", რომ "იმედის დაშლა" მაშინდელმა ხელისუფლებამ ბევრად ადრე, მაშინ დაიწყო, როცა "გიორგი თარგამაძის ფრთის ქვეშ მყოფმა ჟურნალისტებმა" ღამღამობით გივია თარგამაძესთან კონსულტაციებზე პარლამენტში სირბილს მოუხშირეს. პარლამენტშივე "თავისუფლების ინსტიტუტის" მესვეურთა მიერ (გივია თარგამაძის მეგობრის-ბოკერიას უშუალო ჩარევით), უნდა დაგეგმილიყო "იმედის" საინფორმაციო სამსახურის ცნობილი გაფიცვაც. ამას საეჭვოდ დაემთხვა ასალან აბაშიძის "საზღვაო ბანკიდან" გიორგი თარგამაძის მიერ გატანილი 100 000 000-ის გამო მის დაპატიმრებაზე გავრცელებული ხმებიც. შემდეგ კი სახურავზე ამძვრალი ჟურნალისტებისგან "იმედის" 2%-ის მოთხოვნა და "იმედის" საინფორმაციო სამსახურის ცნობილი გაფიცვაც. სწორედ (ღია ეთერში) გიორგი თარგამაძის მიერ ნახსენები ნიუს-კორპის ხელმძღვანელმა ლუსიმა არ უთხრა მაშინ თარგამაძეს, რომ საინფრომაციო სამსახურის არევის უფლებას მას არავინ მისცემდა და მხოლოდ "დროების" წამყვანად დარჩენა შესთავაზა?! თუმცა გურგენა დონაძის სიძის, მამალაძის "ეკო ფუდით" დაფინანსებული "ახლადგამომცხვარი ქდმს" თავ-რეს უკვე "სულ სხვა გეგმები" ჰქონდა! თარგამაძემაც, (ჟურნალისტების მომავალ საპარლამენტო გუნდთან ერთად) "იმედი" დატოვა. ორ კვირაში კი "იმედისა" და "რუსთავი-2" ნიუსებით გაპიარებული "ქდმს" პარტიაც შექმნა. ვეთანხმები ნიკუშა შენგელაიას:" სიმართლის მოპარვაც ქურდობააო". სწორედ ამ სიმართლეს პარავენ საზოგადოებას "გაცნობადებული ჟურნალისტების ის დიდი კორპუსი", რომელიც სხვადასხვა ტელევიზიებით დღესაც "წარბშეუხრელად ჟურნალისტობენ". ტელე-ჟურნალისტების დამსახურებაა, რომ დღეს, ბოცო წიკლაურიც, "პრაფისორი თეა თუთბერიძეც", თავხელიძეცა და ნასარიძეც, თავს "ცნობად სახელ" მიიჩნევენ. ნუგზარამ კი (რომელსაც თავი საზოგადო მოღვაწედ მიაჩნია) ბაჩო ახალაიას სახით ახალი "საზოგადო მოღვაწე და ეროვნული გმირი" აღმოგვიჩინა. "ეს რომ აღარ განმეორდეს" — საზოგადოებამ და, პირველ რიგში, ჟურნალისტებმა — სიმართლის თქმა უნდა ისწავლონ და არა ყოველ ჯერზე სიტუაციიდან "მშრალად და გაუსვრელად გამოსვლა".

ჯანმრთელობის გამო (სპეცრაზმმა დიდახანს სდია, მოწამვლის გამო კი ფილტვების პრობლემა შეექმნა) წავიდა "იმედიდან" ინგა გრიგოლიაც. თუმცა ყუბანეიშვილის მიწვევით, ხელისუფლების იარაღად ქცეულ პირველ არხზე "პრაიმ ტაიმის" წამყვანად მუშაობისთვის ამას შემდგომში არც მისთვის შეუშლია ხელი. "ქდმს" ყოფილ სახეს — ინგა გრიგოლიას და ლევან ვეფხვაძეს ნაციონალებთან მჭიდრო ურთიერთობა ჯერ კიდევ "მოქკავშირიდან" რომ ჰქონდათ — არაერთხელ მითქვამს. ვეფხვაძის ცოლი, "მოქკავშირიდან" მოყოლებული (ბოლო დრომდე) ბარამიძის პრესმდივანი გახლდათ და გიორგი ახვლედიანთან ერთად ვეფხვაძეც "ეკო-ფუდის" დირექტორის მამალაძის მეგობრადაც ითვლებოდნენ. მართალია, "იმედიდან" წასულ თარგამაძის გუნდში ვერ მოხვდა, საინფორმაციოს გაფიცვაში მონაწილე (სხვებთან ერთად სახურავზე ამძვრალი), პატარკაციშვილისგან "იმედის" 2%-ის მთხოვნელი მერაბ მეტრეველი. მაგრამ არც მას შექმნია პრობლემა შემდგომში სხვადასხვა ტელევიზიებში, ბოლოს კი "მაესტროში" მოხვედრისთვის. "საეჭვო დამთხვევას" უნდა მივაწეროთ, ფორტუნას, თუ, უბრალოდ, "21-ე საუკუნის დემოკრატიის ფორმას", ფაქტია, რომ "რუსთავი 2"-ით ჯერ ვარდების რევოლუციაში, შემდეგ კი "იმედის" საინფორმაციოს გათიშვით "იმედის" დახურვაში მონაწილე ჟურნალისტების უმეტესობა ყოველთვის კარგ სამსახურებს "პოულობენ"! სამწუხაროდ, ჟურნალისტობაც, "საზოგადო მოღვაწეობაც", ისევე როგორც პოლიტიკოსობა (არა ყველასი), ბოლო პერიოდში კარიერული ბიზნესისა და "ცხოვრების აწყობის" საუკეთესო გზად იქცა. რამდენადაც "იმედის ფეისს" მე არ წარმოვადგენდი, მაგრამ ვებ-გვერდის მთავარი რედაქტორობისას "იმედში" განვითარებული მოვლენების მომსწრე გახლდით, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ "იმედის" დახურვაში (საინფორმაციო სამსახურის გარეშე გასვლა ლიცენზიას წყვეტდა) დიდი წვლილი ე.წ. "გაფიცვაში" მონაწილე ჟურნალისტებმაც შეიტანეს. ბადრი პატარკაციშვილმა, რომელსაც (აწ უკვე პარტიული თანამდებობით გაყოყლოჩინებულმა გიორგი თარგამაძემ "ღია ეთერში" სულ "ბადრი, ბადრი" ეძახა) სამაუწყებლო კანონის შესაბამისად — თარგამაძეს მაუწყებლობის შეჩერება მოსთხოვა. <u>თარგამაძეების (გივიაგიორგის) მოფიქრებული საინფორმაციოს გაფიცვა კი სწორედ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიას დაემთხვა. რის შედეგადაც საქართველოს რეგიონების 70%-ი დაფარვის ზონის მქონე "იმედის" მაუწყებლობა შეწყდა. მოსახლეობამაც არჩევნების ობიექტური სურათი ვერ იხილა. სააკაშვილი და ნაცმოძრაობა კი ისევ ხელისუფლებაში დარჩნენ. ამგვარი ქმედება კი მაშინ იგივეს ნიშნავდა, რაც 1 ოქტომბრის არჩევნების წინ თეფშების დაყადაღება იყო.</u>



# `simarTlis moparvac qurdobaa~

# რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს აღარ განმეორდეს?!

**ბაია ამაშუკელი**



„იმედის" დარბეული სტუდია

# vinaa, kaco, gmiri? კალანდაძე, რომელმაც ჯარი მიატოვა და პირად მძღოლს ფეხში ტყვია ასროლინა?

**„საერთო გაზეთს" ესაუბრება პოლიტიკური პატიმარი გენერალი ტრისტან წითელაშვილი, რომელმაც სასჯელაღსრულების თბილისის მე-9 საპყრობილედან მოგვაწვდინა ხმა.**

**ტრისტან წითელაშვილი:** – ყველამ არ იცის, რა დანაშაულს სჩადიოდა საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის აგვისტოში იმ ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების წინააღმდეგ, რომლებმაც სინამდვილეში გამოვიჩინეთ თავი წარმოებულ ბრძოლებში.

როგორც ვხედავ, ჩემი დაპატიმრების მიზეზი არის ჩემი უპირველესი დანაშაული, რომ სისხლხორციანად ვარ ქართველი და საქართველოსა და ქართველი ხალხის თავისუფლებისთვის ვიბრძვი როგორც სამხედრო პირი 1989 წლიდან...

რაც შეეხება 2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მიერ განახლებული საბრძოლო მოქმედებების დაწყებას – ეს იყო სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მიერ დაგეგმილი დანაშაულებრივი ქმედება საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. ეს იყო არა ოსი, არამედ ქართველი ხალხისთვის მოწყობილი გენოციდი. სააკაშვილმა „კუდ-ის" სახელქვეშ შექმნა ცალკე დაჯგუფება, მკვლელთა ორგანიზებული ჯგუფი, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში მოქმედებდნენ ოსური შეიარაღებული ფორმირებების სახელით და ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

**– რას ამბობ?!**

– ასეა! სააკაშვილმა განიზრახა რუსების ხელით მასიური ხოცვა განეხორციელებინა ცხინვალში და მის მიმდებარე სოფლებში ჩარჩენილი ადგილობრივი მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობისა და ბრძოლაში ჩაბმული, მართლა ვაჟკაცი ქართველი ჯარისკაცებისა.

9 აგვისტოს, სააკაშვილთან შეთანხმებით, გოკა გაბაშვილმა, გიგი უგულავამ და დათა ახალაიამ მიიღეს გადაწყვეტილება დაჭრილი, დაჩეხილი და მშვიდობიანი მოსახლეობის ადგილზე ჩატოვების შესახებ, რათა ქართულ მხარეს მიეღო მაქსიმალური დანაკარგი, როგორც ჯარისკაცების მხრივ, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობისა და ატეხათ საერთაშო-



რისო სკანდალი. მათ უნდოდათ, გამოეყვანათ ისე, თითქოს რუსებმა გენოციდი მოუწყვეს ქართველ ხალხს და დაეყენებინათ საკითხი „მაპ-ის" დაჩქარებული წესით მიღებაზე, მაგრამ ამ პროვოკაციაზე რუსები არ წამოეგნენ.

ამ ავანტიურას, საბრძოლო მოქმედებების განახლებას აქვს წინსწრებითი მოქმედებები, ანუ რა ხდებოდა მანამდე. ივნის-ივლისის თვეში „კუდ-ის" ზემოთაღნიშნული დანაშაულებრივი ბანდა



პროვოკაციებს აწყობდა ოსურ და ქართულ სოფლებში, რათა გამოეწვიათ დაპირისპირება და საბრძოლო მოქმედებების დასაწყები ფონი შეექმნათ. ბანდის ნაწილი ოსურ სოფლებში გადადიოდა, ნაწილი ქართულ სოფლებში შედიოდა და იქ განხორციელებული მკვლელობებით აღვივებდნენ მინავლულ მტრობას.

ასევე მინდა გითხრათ, რომ მებრძოლები რომლებიც დაიღუპნენ ბრძოლის ველზეც და სხვადასხვა ადგილებზეც, უმეტესობას ზურგიდან აქვს ნასროლი ტყვია, გესმით?! – ამ დავალებას „კუდ-ის" ის ჯგუფი ასრულებდა. იცით, რომ აშინებდნენ და გარდაცვლილების ჭირისუფლებს ექსპერტიზის ჩატარების უფლებას არ აძლევდნენ?

იქ ვაჟკაცურად იბრძოდნენ ბიჭები და ეს დამპლები, ესენი, ეს ვირთხები ზურგში ესროდნენ!

მათ ჰქონდათ ერთი მიზანი, მაქსიმალური მსხვერპლის მიღება და დამთავრდა!

გორიდან რომ ვითომ გამოიქცა სააკაშვილი, ეს იყო ხელოვნურად შექმნილი სიტუაცია, ეს იმ წუთს გადაწყდა და ძალიან ვიწრო წრემ იცოდა მხოლოდ, რა იყო ჩანაფიქრი, შორსგამიზნული ქმედება მოუვიდა თავში რომელიღაცას. სააკაშვილს იმ დროს იქ ახლდა კუშნერი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ის მიატოვა. ლაჩრის სახელი ამჯობინა მიზანს – დიდი სურვილი ჰქონდა, რომ კუშნერს რამე შემთხვეოდა, რასაც მსოფლიოს საზოგადოების უმწვავესი რეაქცია მოჰყვებოდა რუსეთის მისამართით.

ამისთანა სპექტაკლები ჩაუტარებია? ჯერ კიდევ ბოლომდე არ იციან, ვინაა სინამდვილეში პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილი და რას წარმოადგენს მისი ბანდა...

სააკაშვილმა ღია ბრძოლა გამოგვიცხადა იმ ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს, რომლებმაც საქართველოს ფარგლებსგარეთ ნამდვილად შევისწავლეთ სამხედრო საქმე. მათ არანაირად არ „აწყობდათ" იმ სამხედრო კონტინგენტის საქართველოში თავისუფალ მოქალაქეებად ყოფნა, რომლებსაც ქართულად აზროვნება ვერ შეუცვალეს და ამიტომაც გაგვიმეტეს. ნამდვილი ქართული ჯარი დახვრიტეს, დაასახიჩრეს, დაშალეს...

ემზარ კვიციანი საქართველოდან გააძევეს, კაცი, რომელიც წლების მანძილზე კბილებით იცავდა კოდორს, მისი და მძევლად აიყვანეს და ციხეში გამოკეტეს. კოდორში ვერც ერთი მაგათი ნაბიჭვარი ვერ შედიოდა. ეს ის სტრატეგიული ტერიტორია იყო, რომელიც ძლივს შევინარჩუნეთ თავის დროზე და ახლაც ჩვენი იქნებოდა, რასაც გარეშე მტერი ჰქვია, არავინ შეეხებოდა, მაგრამ როცა სახლში გყავს მტერი და ამ მტერს ქვეყნის ხელისუფლება და საქართველოს პრეზიდენტი ჰქვია, რას გააწყობ – აიღეს და ზედმეტი ხორცივით მოაჭრეს საქართველოს კოდორი, ამიტომ იყო მებრძოლი ემზარ კვიციანი მოსაშორებელი?

გია კრიალაშვილი და როინ შავაძე დასახოცები იყვნენ? ბევრი რამე იცოდნენ, ის, რაც ამ „ნაცბანდას" საიდუმლოდ ჰქონდა? – სხვებმაც ბევრი რამ იციან...

რუსული ავიაცია რომ თავისუფლად დაჰქროდა საქართველოს საჰაერო სივრცეში, თბილისს გადაუქროლებდა და გადმოუქროლებდა, ხან მახათას მთაზე აფეთქებდა რადარებს და ხან 31-ე ქარხნის საავიაციო ქარხნის ასაფრენ ბილიკს, როდის იკითხავს ვინმე, რასთან გვქონდა საქმე, რატომ იყო დაუცველი ცა? – დაგვკითხონ ყველა სამხედრო პირი, ჩვენ ბევრი რამ ვიცით ისეთი, სადაც ცალკეულ პირთა საქმეებთან ერთად მთელი „ნაცბანდის" იზოლირების აუცილებლობა გამოიკვეთება.

აქ ზის პოლკოვნიკი სახვაძე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეალია, უძლიერესი სამხედრო სპეციალისტი და მუდმივად წინააღმდეგობაში იყო ამ ქორვაჭრებთან, ჰკითხონ, რა მდგომარეობა იყო თავდაცვაში. თავდაცვის სამინისტროში იყო მაფიოზური კლანი, რომლებმაც უვარგისი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები შეიძინეს და ამ შესყიდვების ხარჯზე მილიონობით თანხა ჩაიჯიბეს.

არის ასეთი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალება „კაჩუგა", პასიური რადიოლოკაციური სადგური, რომელიც გამოიყენებოდა უკრაინის თავდაცვის სამინისტროში, მაგრამ სერიოზული პრობლემების გამო



მოხსნეს თავდაცვიდან და 12 მილიონად შეიძინა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. სხვა დეფექტების გარდა, აღმოჩნდა, რომ „კაჩუგა" ვერ აფიქსირებდა რუსულ თვითმფრინავებს, ანუ რისთვისაც ვითომ შეიძინეს, იმას „ვერ ხედავდა." ამიტომაც იყო, რომ რუსებმა მთელი ქართული საჰაერო სივრცე აიღეს კონტროლის ქვეშ.

კიდევ რა ნამუსით სხედან დღეს პარლამენტში ეს უნამუსოები და კიდევ რაღაც საქმის კეთებაზე ლაპარაკობენ. კი, საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ იმისათვის, რომ ქართველი ერი გაენადგურებინათ და ქართული სახელმწიფო დაენგრიათ. რომ გაიძახიან „კალანდაძე, კალანდაძე!" ვინ არის ეს კალანდაძე, კაცო! – არშემდგარი ოცმეთაური, მხოლოდ გვარი. პირი, რომელიც ჩამორჩენილი იყო სწავლის დროსაც და სამსახურშიც, თავის ოცეულს ვერ უვლიდა და მისი გენშტაბის უფროსობა როგორ შეიძლებოდა, მაგრამ გამოძებნა ამ ბანდიტებთან ურთიერთობის გზები და აღზევდა.

2008 წლის აგვისტოში ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღო მე-4 ბრიგადამ და ეს მოხდა იმიტომ, რომ სწორედ კალანდაძის „დამსახურებით", აბსოლუტურად არაორგანიზებული იყო. ომში დაიჭრა, გმირიაო, რომ სპეკულანტობენ, ფეხში პირადმა მძღოლმა დაჭრა, ომი და გმირობა რა შუაშია! – ეს ჭორი არ არის, რეალობაა.

**– ფრაზაა გახმაურებული „ძვალში არ მომარტყა, ხორცში მესროლეო"...**

– ეგენი ყველაფრის მკადრებლები არიან! მაგისი მიტოვებული სამხედრო ტექნიკა, გარდა იმისა, რომ დაიკარგა რუსეთის სასარგებლოდ, გზებზე საცობებად იქცა, ხელს უშლიდა ბატალიონებისა და ბრიგადების უკანდახევას და ამ დროს ხდებოდა ძირითადი საჰაერო დარტყმები, რამაც გამოიწვია უფრო მეტი მსხვერპლი. კალანდაძემ სამხედრო ტექნიკა მასიურად მიატოვა, ჯარი მიატოვა და დღეს კიდევ ისაა გმირი? კი, გმირია და გმირული საქციელი ჩაიდინა, რადგან მოახერხა ბრიგადის განადგურება...

ის, რასაც მე გეუბნებით, ისეთი რეალობაა, რომელსაც უამრავი მოწმე და თვითმხილველი ჰყავს, მათ შორის ჩემი სახით. ამის შესახებ ლაპარაკს რომ არ ვერიდებოდი და კამათი მქონდა, ამიტომაც დამაპატიმრეს 2008 წლის 26 აგვისტოს „სუბუტექსის" მოხმარება-შენახვის ბრალდებით, ამომაყოფინეს თავი ციხეში და გვერდზე მომისვეს კობა უღრელიძე, რომელიც დღემდე ვერ მიმხვდარა რატომ დააპატიმრეს სრულიად უდანაშაულო კაცი.

დაპატიმრებისთანავე დამიწყეს შემოთავაზებები – ხელი უნდა დამედო ემზარ კვიციანისთვის, ხელი უნდა დამედო ირაკლი ბათიაშვილისთვის, გოგა ხაინდრავასთვის და მეთქვა, რომ კი, ხელისუფლებაზე განაწყენებული სამხედროებით მოვდიოდით თბილისზე და ვაპირებდით ხელისუფლების გადატრიალებას. თუ მათ ხელს დაადებ, უზრუნველყოფილი იქნები ყველანაირად და თანამდებობაც კარგი გექნება, მაგრამ თუ ასე არ მოიქცევი, მოგხედავთო და სასტიკი უარი რომ მიიღეს, ორი დღე „მაკაჩავებდნენ" და მაწამებდნენ მოდულის შენობაში ისე, რომ რეგისტრაციაში არც ვყავდი გატარებული. ეს ყველაფერი გრძელდებოდა გლდანის ციხეზეც, მე-8 საპყრობილეში. მოდიოდნენ „კუდ-ის" თანამშრომლები და კვლავ მთავაზობდნენ რაღაცებს „გააკეთებ ამას? – ციხის კარი გაიღება." ამას გაგრძელება მოჰყვა 26 მაისის დარბევამდე, გვერდზე დაგვიდექი, „სახალხო კრებაში" ახლობლები გყავს, გაგიშვებთ, მაგრამ ჩვენზე უნდა იმუშაო მათთან შესულმა, ინფორმაციები უნდა მოგვაწოდოო – ამისთანა სიბინძურეების შემოთავაზება გასაკვირი აღარ იყო.

ბევრი, ბევრი, ბევრი ისეთი უმსგავსო რაღაცები ხდებოდა... რადიოსადგურები სპეციალურად ჩაახშეს და ქვედანაყოფები ერთმანეთის ადგილმდებარეობას რომ ვეღარ იგებდნენ ერთმანეთში, ხდებოდა შეტაკებები – გესმით, რეები ხდებოდა და კიდევ რა ინფორმაციები წაიღეს მიწაში გასტუმრებულებმა? – მათ რაღა ეშველებათ, მაგრამ ყველანი ხომ არ დავხოცილვართ...

**მაია ჭელიძე**

**ნოდარ კობერიძე**
მწერალი



კაცობრიობის ისტორია ერთი დიდი მარათონია, რომელიც თავის არსში კულტურათა მრავალფეროვან კონგლომერატს მოიცავს და ეს კონგლომერატნი ხშირად ერთმანეთთან სამკვდრო–სასიცოცხლოდ არის დაპირისპირებული, არც ომია უცხო რამ, ხოლო ხალხთა დიდი გადასახლებანი (უმეტესწილად აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით), სისხლისღვრისა და დაძაბულობის ერთგვარ კატალიზატორად გვევლინება. მის არეალში სრულადაა ჩამჯდარი რელიგიური დაპირისპირებანიც (რელიგია ხომ კულტურის განსაკუთრებული ნიშა გახლავთ) და ეს ანტაგონიზმი კოლოსალური ძვრების მასტიმულირებელიც გახლავთ და მკვეთრად ისახება კიდეც მძაფრ ისტორიულ ბატალიებში.

რელიგია ლათინური სიტყვაა და შეერთებას ნიშნავს და მართლაც რელიგიური ვექტორი ხალხთა მარადიული შემაკავშირებელი და დამაპირისპირებელი რომ იყო, უდავოა და ასეც არის და ასეც იქნება მარად. რელიგია განსაზღვრავს ერთა კულტურულ და ინტელექტუალურ კოეფიციენტსაც. ამ შეპირისპირებაში რელიგიური კულტურა, რომელიც არამარტო ერთ წიაღში ჰპოვებდა თავის ადგილს, არამედ სოციალურად მისაღები იდეის გამო, პროგრესულადაც აღიქმებოდა ხალხთა ცნობიერებაში და მოცემულ მომენტში გამოხატავდა ნაციის კულტურულ მზაობას, მიეღო თავსმოხვეული რწმენა, რწმენა სხვა ხალხებისა, თუმცაღა ისტორიამ იცის გამონაკლისებიც, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა გახლავთ და საბოლოო ჯამში იმარჯვებდა ის ცივილიზაცია, რომელმაც ბევრად გაასწრო თუნდაც ძლიერ მომხვდურს. (მაგალითად — გერმანულმა ტომებმა გაანადგურეს დასავლეთის რომის იმპერია, მაგრამ მისი რელიგიის ახალშობილი–ქრისტიანიზმის სრული თანამოზიარენი გახდნენ), ყოველივე კი საბოლოო ჯამში ისტორიის პულსაციის განმსაზღვრელია.

სამყარო, დედამიწა, ადამიანი მარად გარდასახვის (ხშირად ალოგიკური), პროცესში იმყოფება და ამიტომაც შესაბამის ისტორიულ ნაკვეთში ის რელიგიური არგუმენტაცია, რომელიც ერის მსოფლმხედველობისათვის სრულიად მისაღები გახლდათ, გარკვეულ მომენტში ამოწურავს თავს და მას ახალი, ჰომო–საპიენსისათვის (რომელიც გარდასულ პერიოდში თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა), აწ უკვე მრავალსახოვანი ფაქტორნი (რომელიც წინა საფეხურზე სასწაულად მიიჩნევდა), არ დაემატა, სრულიად დაიშრიტება და მას გადაფარავს, განდევნის კიდეც ახალი რელიგიური მოძღვრება. (შესაძლებელია ის რეაქციულადაც გამოიყურებოდეს და უკანგადადგმულ ნაბიჯადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს კატაკლიზმი სოციალური ფენომენის ყმაა და იგი კარნახობს არსებულ რეალობას თავის პირობებს) და ეს მოხდება იმიტომ, რომ მას ექნება პასუხები იმ კითხვებზე, რომელიც მოცემულ მომენტში ეპოქამ წარმოშვა. ახალი „წინასწარმეტყველნი“ დაიწყებენ ქადაგებას იმ ენაზე, რომელიც გუშინ დევნილი ბრძანდებოდა, მაგრამ დღეს არათუ მისაღები, არამედ სულიერის არსებობისათვის აუცილებელიც გამხდარა. რა თქმა უნდა, რელიგიის იდეა რწმენაა და განსჯა, მაგრამ განსჯა ჩვენდაშეუცნობლად ყოველთვის მიედინება და მიედინება არაცნობიერის კალაპოტში. სწორეს ბრძანებდა ფროიდი, როცა წერდა: „ფსიქიკაში არაცნობიერსა და ცნობიერს შორის ისეთივე თანაფარდობაა, როგორც აისბერგსა და მის ხილულ ნაწილს შორისო“ და ამ შემთხვევაში სწორედაც ამ ფაქტორთან გვაქვს შეხება და სწორედ განსჯა არაცნობიერების გადამწყვეტ ფაქტორად იქცევა ახალი რელიგიური რწმენის ფორმულირების ეპოქაში. ასეთი „რიტორიკა“ გახდა გადამწყვეტი კერპთა–ნგრევის საქმეში, რაც გასაოცრად წარმოჩინდა მოსეს მოღვაწეობამ — ქადაგებაში, მისმა ნაკარნახევმა „ათმა მცნებამ“ დაანგრია არათუ ყველა კერპი და მოსპო ტაბუ, არამედ წარმოიშვა ახალი მონოთეისტური რელიგია, რომლის წიაღი ადამის მოდგმის ფესვებიდანაა აღმოცენებული და ყლორტი ნელ–ნელა მუხად იქცა, იმ მუხად, რომელიც ადრე ტოტემი გახლდათ, დღეს კი მის ჩრდილში აღმოცენებული ახალი რწმენა მას განადგურებით ემუქრება. დიახაც, კაცთა მერყევი ფსიქოლოგიური ფაქტურა იქცა იმ ნოყიერ ნიადაგად, რომელმაც წაღმა დაატრიალა კაცთა მოდგმის ისტორიის ბორბალი და რომელმაც მიიყვანა კაცობრიობა ქრისტეს შობის ეზოთერულ მითამდე და შემდგომ მის ერთგვარ ოპორტუნისტულ განშტოება–ისლამამდე. და ასე ჯარა დატრიალდა, დატრიალდა მაშინდელ არსებულ ისტორიულ რეალიებში. არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ სემიტებს, ხალხმა, რომელმაც მუჰამედი იწამა, არ ჰქონდა სხვა გამოსავალი, რადგანაც სხვაგვარად მის სოციალურ–ისტორიულ–კულტურულ ანალებს სრული ქაოსი და გადაშენება ემუქრებოდათ. ქრისტიანობის მიერ განცდილმა ტრანსფორმაცია არ უტოვებდა უდაბნოში რჩენილთ სხვა გამოსავალს, გარდა იმისა, რომ გადაეაზრებინათ ახალი ალთქმა, რაც საბოლოოდ შეძლეს კიდეც — ყურანის შექმნით. (რიტუალური წესები რომ წამით დავივიწყოთ, ყოფითი პირობები მოითხოვდა ამას, რადგანაც უდაბნოში მცხოვრები, მალე ფუჭდებადი ღორის ხორცს თუ არ მოერიდებოდა, უდაბნოს მზე მას ტიფის ბაცილად აქცევდა, მცხუნვარებაში ალკოჰოლის მიღება რეტით მოკლავდა, უწყლობის პირობებში წინადაცვეთაზე უარის თქმა, ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვაზე უარის თქმის ტოლფას იყო, რაც კარგს არაფერს უქადდა, ხე–ტყის უქონლობა „პერსონალურ“ კუბოზე უარის თქმის წინაპირობად იქცა, ჩადრი ქალის სახეს მცხუნვარე თაკარა მზეში დაჭკნობისაგან იცავდა და ათასი სხვა თითქოსდა წვრილმანი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რამაც მათი ცხოვრების პრინციპები განაპირობა. ევროპაში კი ყველაფერი პირიქით იყო — სიცივეში ღორის ქონი ადამიანს გამძლეობას მატებდა, ალკოჰოლი მხნეობას, უხვი ხე-ტყე დასაფლავების აღმოსავლურ რიტუალს სახეს უცვლიდა, უამრავი წყარო და წყალუხვი მდინარეები წინდაცვეთის აუცილებლობას ხსნიდა, ქალის სახეს კი ჩრდილოეთის მზე ვერაფერს დააკლებდა და სხვა მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლებიც შემდგომ კანონიკურ წესებად იქცნენ, ხოლო რაც შეეხება ინდოჩინეთში წარმოშობილ უძველეს რელიგიას, მათაც თავიანთი წმინდა სამება ჰყავთ: ბრაჰმა–ვიშნა–შივა და მათ ფესვებშიც იმალება საერთო რელიგიური ფუნდამენტის წმინდა სამების დიდზე–დიდი საიდუმლო. საერთო ფესვები იძებნება 25 დეკემბრის ეზოთერულ რიცხვშიც — ოსირისისა და ისიდის ვაჟი ამ დღეს იშვა, ირანის მზის ღმერთი მი თრა 25 დეკემბერს დაბადებულად ითვლება და ბევრი სხვანიც არიან დაკავშირებულნი ამ გრძნეულ რიცხვთან და ყველას ღვთიური ხელის იდუმალი მირონი სცხია.

ამავ დროს თითქმის მცირედი შესვენებების შემდგომ, მიმდინარეობს ხალხთა დიდი გადასახლების უწყვეტი პროცესი (ტრადიციულად აღმოსავლეთიდან — დასავლეთისკენ), რომელთა სისტემატიზაცია მხოლოდ რელიგიას შეეძლო და ასე დღესაც, ერთი „მცირეოდენი“ განსხვავებით, თუ ადრე, ის ხმლის და ურდოთა შეტევებით მიმდინარეობდა, დღესდღეობით მან მცოცავი სახე მიიღო და ახლა ამ ფორმით ცდილობს მოსული თავისი რელიგიური კულტურის დამკვიდრებას და მისი შეჩერება, დასავლური ტრადიციების ჩარჩოებში მოქცევა, ურთულეს პროცესს წარმოადგენს. მითუმეტეს ახლა, როცა ევროპაში ქრისტიანობა კრიზისს განიცდის და მას უმძიმესი ჟამი უდგას. სოციოლოგიურადაც გამოკვლეულია, რომ დღეს მსოფლიოში ყველაზე მეტად ქრისტიანებს დევნიან და სახელმწიფო სტრუქტურებისგან ყველაზე უფრო დაუცველია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თალიბები ქრისტიანებს აიძულებდნენ, რომ ყვითელი ლენტი კეთებოდათ ხელზე (ანალოგი ფაშისტური გერმანიისა) და ეს მაშინ, როცა პოლიტიკურ რუკაზე ქრისტიანული სახელმწიფოები დომინირებენ, მაგრამ მათ მიერ არჩეულ ზედმეტად კორექტულობის პოლიტიკას ეწირება ძირძველი მოსახლეობის ინტერესები. თუმცაღა მანამდე ბოლშევიკურმა ათეიზმა (სხვათა შორის ბოლშევიკებმა წითელ რუსეთში იუდას ძეგლიც კი დაუდგეს, როგორც პირველ მეამბოხე–რევოლუციონერს და პრომეთეს გმირობას შეადარეს მისი ავბედითი ღალატი), და დღევანდელმა ზელიბერალებმა არნახული ლახვარი ჩასცა ქრისტიანულ კულტურას, რომელიც ისედაც გათიშულია და ათასგვარ მიმდინარეობად და სექტებად არის დაყოფილი. ამას მიუმატეთ მოძველებული, საღი აზრისთვის მიუღებელი დოგმატები (თუნდაც ცელიბატის წესი) და მივიღებთ პანოს, რომელიც გულსაკლავია. ევროპაში ეკლესიები დაცლილია, ახალგაზრდობის სამოცდაათი პროცენტი საყდარს ახლოს არ ეკარება. ნიჰილიზმი, კონფორმიზმი და ინდიფერენიზმი ვირუსივით ბოგინობს. სამაგიეროდ იფურჩქნებიან მულტი–კულტურული ცენტრები, რომელიც სხვა არე არის რა, თუ არა ისლამის აგრესიული პროპაგანდის შტაბები, რომელთაც არც დაფინანსება აკლიათ და ამ გაუცხოვებულ სამყაროში, არც მაცდუნებელი იდეების ნაკლებობას განიცდიან, თანაც ისლამი ახალგაზრდა რელიგიაა და მას რომ იტყვიან მუხლი ერჩის და იგი არც აპირებს ადგილობრივ კულტურებთან სინთეზში შესვლას. ეს ფაქტი ღიად აღიარა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც. (საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგნი ბრიტანეთის პატარა ქალაქებში შარიათის კანონთა დადგენას მოითხოვენ, გონებამახვილი ფრანგები ხუმრობენ — ალჟირისკენ მიმავალი პირველი არაბული ქალაქი მარსელიაო, ხოლო თურქები ირონიით ჩურჩულებენ — მალე ბერლინს, როგორც კონსტანტინეპოლს სახელს შევუცვლითო და თურქიშლანდს დავარქმევთ, როგორც თურქეთის იმპერიის დასავლეთის დედაქალაქსო), ყოველივე კი სრული გადაშენებით ემუქრება ევროპულ ცივლიზაციას, რითაც ბოროტად სარგებლობენ კიდეც ბრეევიკისნაირი შეშლილები და აი, უკვე, ღიად გაისმის მოწოდებები ევროპას და რუსეთს მხოლოდ მოდერნიზებული ფაშიზმი თუ გადაარჩენსო, რაც ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნას ნიშნავს. გასათვალისწინებელია აგრეთვე დღევანდელი ევროპელი ობივატელის მენტალიტეტიც. ევროპელი, როგორც ინდივიდი, კი ბატონო, გაიზარდა და მაღალ საფეხურზე ავიდა, მაგრამ მოხდა მისი რაინდული სულის, როგორც გრაალის მცველის რაინდისა — დეგრადირებაც. ამავე დროს, დრომ მოიტანა უამრავი შეკითხვა, რომელზეც პასუხი ეკლესიის მამებს არც გააჩნიათ და არც იღწვიან ამოცანის ამოსახსნელად და გამოსავალს კლერიკალურ რიტორიკაში ხედავენ, ეს კი არამარტო აფრთხობს ევროპელ ხიურგერს, არამედ სრულ დემორალიზაციისკენ უბიძგებს. მით უმეტეს, რომ ეკლესია (განსაკუთრებით ევროპული მიმდინარეობები და რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც ვერ მოუშორებია მესამე რომის ბოდვითი იდეა), უამრავ სკანდალებშია გახვეული. ქრისტიანული მიმდინარეობები ერთმანეთთან საერთოს ვერ პოულობენ, ქრისტიანობის წიაღი უკიდურესად პოლარიზირებულია. ეს კი წარმოშობს მთელი ქრისტიანული ცივლიზაციის ფართომასშტაბიან კრიზისს, ისეთ კრიზისს, როგორსაც სამი ათასწლიანი ისტორიის მქონე რელიგიები შეეწირნენ და ახლა მათი ხსოვნა მხოლოდ ისტორიულ პარიტეტებშიღაა შემორჩენილი და ეს ფაქტია. საშიშროება რეალურია და თუ დაუყოვნებლივ არ იქნა დაწყებული ძიება გზების ხსნისანისა, იმ გზების ხსნისანისა, რომელიც მთელ ქრისტიანულ ცივილიზაციას კვლავაც გააერთიანებს, რომლის არსი ქრისტიანობის ახალ ტრანსფორმაციაშია, ვიტყვი პირდაპირ — კატასტროფა გარდაუვალია.



# qristianoba da transformacia

***P.S.*** *ისე ნურვინ გამიგებს, რომ ისლამის, როგორც რელიგიის რაიმე მქონდეს საწინააღმდეგო. იგი, მსოფლიოს ერთ–ერთი მოწინავე რელიგიაა და მე მას უდიდეს პატივსა ვცემ. უბრალოდ, მე ჩემი კულტურისა მენაღვლება, კულტურისა, რომელიც კრიზისს მოუცავს და მისი განკურნება აუცილებელზე–აუცილებლად მიმაჩნია, რათა არ შეფერხდეს კაცობრიობის წინსვლა, ეს კი მხოლოდ რელიგიათა ნაირფეროვნებაში იქნება შესაძლებელი და ამ წერილის დაწერის მიზანიც მხოლოდ და მხოლოდ ეს გახლდათ.*

„საერთო გაზეთი“ უკვე წერდა პრეზიდენტად წოდებულმა მიხეილ სააკაშვილმა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მძღოლის „რანგში“ კაცი რომ ჰყავს მოკლული, თუმცა შევარდნაძის ძალისხმევით ეს საქმე ჩაფარცხულა. სააკაშვილის მაგივრად მისი მძღოლი დაუსჯიათ. ეს ინფორმაცია თავის დროზე „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა მოგვაწოდა. ამ ავტოავარიის შესახებ ინფორმირებული ყოფილა ბადრი პატარკაციშვილიც. ბატონ ბადრის სააკაშვილის საწინააღმდეგო სხვა კომპრომატებიც ჰქონია, მათ შორის ფოთის პორტში გადარიცხულ მილიონებთან დაკავშირებით და ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში, იმ პერიოდში მასთან დაახლოებული ვალერი გელბახიანიც ყოფილა. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა ინფორმაციებიც მოვიძიეთ. ჩვენი წყაროს განცხადებით, ვალერი გელბახიანს საგაზეთო ინტერვიუში უთქვამს, თითქოს ტრაგიკულ ავტოავარიასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებაში 2 მილიონი გადაიხადა. „საერთო გაზეთი“ თავის დროზე ვალერი გელბახიანსაც დაუკავშირდა და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა, მაგრამ მან ინტერვიუზე უარი გვითხრა იმ მოტივით, რომ ეს კულუარული ინფორმაციებია, დადასტურებული არ არის, იურისტი ვარ და ამიტომ დაუზუსტებელ ინფორმაციებზე ვერ ვილაპარაკებო. რაც შეეხება ინფორმაციაში ფულის გადახდას, მან ეს კატეგორიულად უარყო, ჯერ ერთი, სად მქონდა ამდენი ფული, თანაც ასეთი რამ გაზეთით არასდროს მითქვამსო.

ახლა რაც შეეხება ამ მსხვერპლიან ავტოავარიას, სანდო წყაროს ინფორმაციით, ის კობა ნარჩემაშვილის შს მინისტრობისას მოხდა წერეთლის გამზირზე გამოფენის მიმდებარე ტერიტორიაზე. იმ პერიოდში სააკაშვილი, სავარაუდოდ, საკრებულოს თავმჯდომარე იყო. იგი, თურმე, არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა შავი ფერის „ვოლგას“, რა დროსაც ფეხით მოსიარულეს, დაახლოებით, 45-50 წლის მამაკაცს დაეჯახა. ეტყობა, დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე გასულ პოლიციელებს გვარიანად მთვრალი სააკაშვილი დახვედრიათ. ე.წ. დიდი რეფორმატორის დანახვაზე პოლიციელები დაბნეულან, აღარ იცოდნენ გაეფორმებინათ თუ არა, ენატლიკინა დემოკრატიისა და სამართლიანობის დიდი დამცველი, რომელიც მაშინდელ პოლიციას მოსისხლე მტრად აღიქვამდა, ამიტომ შსს-ს ხელმძღანელობას დაკავშირებიან, როგორ მოვიქცეთო. ხელმძღვანელობამ მათ მოცდნენ, ნახეთ, შევარდნაძე თავის ხელქვეითებს როგორ იცავსო.

# frTxilad saWesTan mkvlelia!

# მთვრალმა მიხეილ სააკაშვილმა ავტომანქანით ორი ადამიანი გაიტანა?



და სთხოვა, ცოტა ხანში კი უთხრეს: სააკაშვილს ნუ დააფიქსირებთ, მისი მძღოლი მოვა და ეს შეჯახება მასზე გააფორმეთო. როგორც ჩანს, შეთანხმება პრეზიდენტ შევარდნაძესთან მოხდა, რომელმაც საციხედ არ გაწირა პოლიტიკური შვილობილი და „პერსპექტიული“ პოლიტიკოსი. სხვათა შორის, სააკაშვილის მძღოლი ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მისულა ადგილზე, რომელიც თურმე ამბობდა: რამდენჯერ ვთხოვე მიშას, მთვრალი ნუ ჯდები საჭესთან, მაგრამ არ დამიჯერაო. მოკლედ, ამ ავტოავარიაში დამნაშავედ სააკაშვილის მძღოლი გამოაცხადეს, თუმცა დიდი ხნით არ დაუკავებიათ, 2-3 თვეში გაუთავისუფლებიათ. სააკაშვილის დამტვრეული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრები თურმე ნაციონალების „დამრტყმელი ძალის“ აკაკი ბობოხიძის ავტომანქანისთვის დაუბნევიათ. ე.ი. თუ ეს საქმე „გასკდებოდა“, როგორც ჩანს, ბატონი კაკო აიღებდა საკუთარ თავზე ამ ავტოავარიას. ეტყობა, იმიტომაც ჰყავს სააკაშვილს ასეთ პატივში აკაკი ბობოხიძე, ალბათ, ესეც იყო ბობოხიძის თავბრუდამხვევი კარიერის ერთ-ერთი მიზეზი.

წყაროს ცნობით, გარდაცვლილის ოჯახმა თურმე დღემდე არ იცის, მათი ოჯახის უფროსი სააკაშვილმა რომ შეიწირა. სხვათა შორის, ამ ავტოავარიის შესახებ მე თვითონაც მქონდა ინფორმაცია გამოქვეყნებული ერთ-ერთ გაზეთში, თუმცა მეც წყაროსთან ამ საუბრის შემდეგ გავიგე, ვინ იყო რეალური დამნაშავე. დარწმუნებული ვარ, ასეთი დანაშაული რომელიმე არარეფორმატორ პოლიტიკოსს ან იმ მაღალჩინოსანს, მით უმეტეს, ძალოვანს რომ ჩაედინა, რომელსაც ჟვანია-სააკაშვილის გუნდი არ სწყალობდა, „რეფორმატორები“ ქვეყანას დააქცევდნენ, ...

სხვათა შორის, სარწმუნო წყაროს თქმით, ვალერი გელბახიანმა მართლაც შესთავაზა ინფორმაციის მიმწოდებლებს თანხა, მაგრამ მათ უარი თქვეს, მხოლოდ ის უთქვამთ, იმ თანამშრომელს აჩუქეთ მცირე თანხა, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ საქმის მოკვლევაში. იგი „ვარდოსნებმა“ სამსახურიდან დაითხოვეს და ძალზე უჭირსო, მაგრამ იმ ადამიანს არაფერი მიუღია. ამ ინფორმაციის გადამოწმება კი იმ მარტივი მიზეზით ვერ მოვახერხეთ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვალერი გელბახიანმა ჩვენთან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. ამ საქმესთან დაკავშირებით, საქმის კურსში სრულად მყოფი ადამიანები, ანუ „პირველი ხელი“ თავისი ვინაობის გამხელას არ მოერიდებოდა, მაგრამ მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ახლაც შევიკავებ თავს მათი ვინაობის გამხელისგან.

სააკაშვილის სისხლიანი რბოლა ამ ფაქტით არ ამოწურულა. მას ახლა უკვე პრეზიდენტის „რანგში“ მოუხდენია ავტოავარია აჭარაში. ზუსტად ვერ გავარკვიეთ ბათუმიდან მომავალი სააკაშვილი რომელი მარკის ავტომანქანას მართავდა (ცხადია, საბჭოური „ვოლგა“ არ იქნებოდა), როცა ქობულეთის ტერიტორიაზე 24 წლის ბიჭს შეეჯახა და ადგილზე მოკლა. „ბატონი“ მიხეილი ამ დროსაც მთვრალი ბრძანებულა. ეს ტრაგედია 3 თუ 4 წლის წინ მოხდა. გარდაცვლილის ოჯახი დააშინეს, რომ გაჩუმებულიყვნენ, ამიტომაც არ გახმაურებულა ეს ამბავიო. თბილისში კი სააკაშვილის ესკორტმა შეიწირა სიღნაღელი გივი კუსრაშვილი. ეს ავტოავარია 2008 წლის 18 დეკემბერს დავით აღმაშენებლის ძეგლთან მოხდა. გივი კუსრაშვილი თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და „ტაქსაობით“ არჩენდა ოჯახს. მამის გარდაცვალების შემდეგ მისი 19 და 15 წლის შვილები ფაქტობრივად, ლუკმა-პურის გარეშე დარჩნენ. გარდაცვლილის ახლობლის თქმით, კუსრაშვილის ავტომანქანას ესკორტის ბოლო მანქანები შეეჯახა. მძღოლი მაშინვე არ გარდაცვლილა, ის ლუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს. მას ფეხი ჰქონია მოტეხილი და თავის ქალის ძვლები ჩამტვრეული. დაშავებულს მესამე დღეს ოპერაცია გაუკეთეს, რომ თავის ტვინიდან ძვლის ნამტვრევი ამოეღოთ, მაგრამ ვეღარ გადაარჩინეს, ტვინის შეშუპება დაეწყო და 30 დეკემბერს გარდაიცვალა. ოჯახმა დასაფლავების დღესღა შეიტყო, რომ შეჯახების შემდეგ სააკაშვილის ესკორტის წევრები ავტომანქანიდან გადმომხტარან, კუსრაშვილს დასევიან და თავში იარაღის კონდახი ჩაურტყამთ. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ დროს მიყენებული დაზიანებების გამო გარდაიცვალა ეს ადამიანი. მოგვიანებით თურმე 500-ლარიანი ჯარიმაც გამოუწერეს „დამნაშავე“ მძღოლს, რომელიც უკვე გარდაცლილი იყო. ეს ჯარიმა კი მოუხსნეს გარდაცვლილს, მაგრამ არ გვიჩივლია, ან რა აზრი ჰქონდა, სააკაშვილი რომ თავისი დაცვის წევრებს არ დასჯიდა ისედაც ცხადი იყოო.



ამ ამბიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტ სააკაშვილის ესკორტი გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ათი წლის ბავშვს დაეჯახა. კორტეჟმა გაუჩერებლად გააგრძელა გზა. ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ფაქტის შესახებაც დაიბეჭდა პრესაში, თუმცა ვერ გეტყვით, გადარჩა თუ არა ბავშვი, რადგან მისმა ოჯახმა მაშინ პრესასთან ამ ფაქტზე საუბარი არ ისურვა. ასეთი ფაქტები დარწმუნებული ვართ, მრავლად იქნება, ოღონდ დაზარალებულთა დაშინების გამო არ ხმაურდება.

ვინ არის დამნაშავე ამ ინციდენტებში, უნდა გაჩერებულიყო თუ არა პრეზიდენტის ესკორტი მსგავსი ფაქტებისას, ამის გარკვევა „საერთო გაზეთმა“ იმ ყოფილ პოლიციელებთან სცადა, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ პრეზიდენტ შევარდნაძის გაცილება-ესკორტირების სამსახურში და გარკვეული პერიოდი სააკაშვილსაც ემსახურებოდნენ. რაოდენ გასაკვირადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მომხდარ ავტოავარიებში პროფესიონალმა პოლიციელებმა უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულეს და რატომ – პრეზიდენტის კორტეჟი სანამ რაიმე მიმართულებით დაიწყებს გადაადგილებას, გზის ამ მონაკვეთზე წინასწარ ჯგუფს უშვებენ მოსაწესრიგებლად. ამოწმებენ საეჭვო ავტომანქანებს, საერთოდაცდ გა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ყავთ ავტოტრანსპორტი ამ მონაკვეთიდან და ა.შ. ამას ჰქვია „ტრასის გაწყობა“. ეს ჯგუფი და სხვა შესაბამისი სამსახურები განსაკუთრებული გულისყურით იმ მონაკვეთებზე მუშაობენ, სადაც ბევრი ფეხით მოსიარულე მოძრაობს, მით უმეტეს ბავშვები. განსაკუთრებული პატრულირება სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან ხდება, ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძის მმართველობისას ასე იყო, რადგან პრეზიდენტის ესკორტი ძალზე დიდი სიჩქარით გადაადგილდება. ამ სიჩქარესაც თავისი ახსნა აქვს, პრეზიდენტის კორტეჟი რთული სამიზნე უნდა იყოს, ტერაქტები თავიდან რომ აიცილონ. ავტომანქანიანი ჯგუფის გარდა ხსენებულ მონაკვეთზე ქვეითი გუშაგებიც პატრულირებენ, ფეხით მოსიარულეების მოძრაობა რომ დაარეგულირონ. პროფესიონალთა თქმით, შესაძლებელია, კახეთშიც და თბილისშიც ამ კუთხით გზა მოწესრიგებული არ იყო, რაც რბილად რომ ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილის არაორდინალურობას უკავშირდება. ყოფილა შემთხვევები, რომ „ლაგუნა ვერედან“ ის კანცელარიაში უნდა წასულიყო, გზაც ამ მიმართულებით გაუწყვიათ, სააკაშვილს კი მარშრუტი უცებ



შეუცვლია და კანცელარიის მაგივრად, მცხეთის სალობიეში ამოუყვია თავი. ცხადია, ამ შემთხვევაში ესკორტის თანამშრომლები გზის გაწყობას ვერ მოასწრებდნენ, რითაც სააკაშვილი საფრთხეს მარტო საკუთარ თავს კი არა, რიგით მოქალაქეებსაც უქმნიდა და ალბათ, კვლავაც უქმნის. კორტეჟის გაჩერება გამორიცხულია და შემთხვევით სავალ ნაწილზე აღმოჩენილ ადამიანს თუ ავტომანქანას დიდი სიჩქარით მიმავალი უზარმაზარი ესკორტი გადათელავს. კორტეჟი მხოლოდ პრეზიდენტის უშუალო მოთხოვნით შეიძლება გაჩერდეს, მის დაცვის უფროსს ეს არ შეუძლია. სანამ პრეზიდენტის ინაუგურაცია მოხდება, იგი თურმე ფიცს აძლევს თავისი დაცვის თანამშრომლებს, რომ დაემორჩილება მათ, ანუ სპეციალისტების მოთხოვნებს. ჩვენი რესპონდენტები დარწმუნებული არიან, რომ სააკაშვილის შემთხვევაში ეს არ ხდება და დაცვის უფროსს არაფერს ეკითხებიან. დაცვა ხმას ვერც ამოიღებს, რადგან წინააღმდეგ შემთხევაში არ არის გამორიცხული სამსახური დაკარგონ. ზეობის ხანს მართლაც ასაფეთქებლად გამზადებული ბომბივით დაჰქროდა სააკაშვილი თავისი ესკორტით, თუმცა „ქართული ოცნების“ გამარჯვების მერე მის ესკორტ-კორტეჟის რეისების შესახებ აღარაფერი გვსმენია.

ხელისუფლება შეიცვალა და იმედია, სააკაშვილისა და მისი ესკორტის „გონკაობის“ შედეგად დაზარალებულებიც ამოიღებენ ხმას, პასუხს მოსთხოვენ „მაოხრებელ გზირ“ სააკაშვილს, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, არ აქვს მნიშვნელობა ყოფილი პრეზიდენტი იქნება, მინისტრი თუ სხვა ჩინოსანი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ამ დანაშაულობების დაფარვა-ჩაფარცხვაში. შევარდნაძესა და მის მაღალჩინოსნებს თავის დროზე ზედმეტი ლმობიერება, რომ არ გამოეჩინათ და საკადრისი ადგილი მიეჩინათ სააკაშვილისთვის, ქართველ ხალხი ამდენ უბედურებას გადაურჩებოდა.

**მანანა სუხიშვილი**

# ciquriSvilma pantomimis Teatris reJisors suli mopara



**რეჟისორი პაატა ციქურიშვილი, რომელიც აშშ-ში მოღვაწეობს საქართველოში იმყოფება ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელს“ რუსთაველის სცენაზე ანშლაგით დგამს. მან ამ სპექტაკლში ვაშინგტონში პრემიაც აიღო. თუმცა, როგორც მსახიობი თეკლა შანშიაშვილი აცხადებს, იგი აღშფოთებულია იმით, რომ ციქურიშვილმა პრემია პლაგიატობით მოიპოვა და ეს სპექტაკლი ამირან შალიკაშვილს მოპარა.**

— პაატა ციქურიშვილმა საქართველოში პანტომიმის თეატრში აიდგა ფეხი. ამირან შალიკაშვილი მისი პედაგოგი იყო. შემდეგ პაატას ჯგუფი ე.წ. „კრიმანჭულის“ ბიჭები მასთან ერთად გერმანიაში დარჩნენ. რაღაც პერიოდი ერთად მოღვაწეობდნენ და მერე დაიშალნენ. პაატამ ქართული თეატრის უცხოეთში გატანით და მისი პოპულარიზაციით უდავოდ დიდი საქმე გააკეთა. ბოლობოლო მან, უცხოეთის ქვეყნებს ვაჟა-ფშაველა გააცნო, მაგრამ არსებობს ძალიან დიდი მაგრამ. როცა წარმატებას აღწევ არ უნდა დაივიწყო მორალი, ის საფუძველი, რამაც ასეთი გაგხადა. გული მტკივა, რომ არავის უხსენებია ამირან შალიკაშვილი, რომლის დადგმულიცაა რეალურად ეს სპექტაკლი. მე პანტომიმის თეატრის მსახიობი ვიყავი და თავად არაერთხელ მითამაშია ამ სპექტაკლში. უნდა ითქვას, რომ ციქურიშვილის „სტუმარ-მასპინძელი“ შალიკაშვილის „სტუმარ-მასპინძლის“ პლაგიატია. შეიძლება ინტერპრეტირება სხვაა, მაგრამ რეჟისორული მიგნება, რაც სპექტაკლის მთელი არსია, ერთი-ერთშია გადამღერებული. როცა ამ მიგნებას იპარავ, აქ უკვე კომენტარი ზედმეტია. ეს სპექტაკლი რუსთაველის თეატრში გუშინ ვნახე და გაოგნებას ვერ ვფარავ. ამ პრობლემის გადაწყვეტა მარტივად შეიძლებოდა — რუსთაველის თეატრის აფიშაზე გაკეთებულიყო შემდეგი წარწერა— ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ ამირან შალიკაშვილის სპექტაკლის მიხედვით. ამით ამ უსამართლობას წერტილი დაესმებოდა, მაშინ ეს რაც ვიხილე პლაგიატობა აღარ იქნებოდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა, მაგრამ ციქურიშვილმა შალიკაშვილს აბსოლუტური იგნორი და უარყოფა გაუკეთა, ეს უკვე პირდაპირ პლაგიატობაა. 300 მეტრშია რუსთაველის თეატრიდან პანტომიმის თეატრი, მაგრამ ბევრს ალბათ არც აქვს ამ სპექტაკლის რეჟისორის დადგმა ნანახი. აღსანიშნავია, რომ შალიკაშვილმა აკადემიური თეატრი შექმნა, მან ჟანრი დააარსა. ამ თეატრის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. მაინცდამაინც ადამიანი უნდა დავმარხოთ, 100 წელი გავიდეს და მერე ვაღიაროთ?!

**— თქვენ ამბობთ, რომ სპექტაკლი შალიკაშვილის „სტუმარ-მასპინძელის“ პლაგიატია. თუმცა ციქურიშვილის „სტუმარ-მასპინძელმა“ აღიარება ჯერ უცხოეთში მოიპოვა.**

— ერთი რამ მართლა არ მესმის — ყველა ჟანრში საზღვარგარეთმა უნდა გვაღიაროს, რომ მერე ქართველმა მაყურებელმაც დაგვაფასოს?! ქართველი მაყურებელი ძალიან მკაცრია, მაგრამ ახლა ისეთი ტენდენცია დამკვიდრდა, სანამ უცხოელი ტაშს არ დაგვიკრავს, მანამდე არ ვაღიარებთ ჩვენს ნიჭს.

**— თუ იცით, როგორია ამ საკითხზე ბატონი ამირანის მოსაზრება და ხომ არ აპირებს იგი საავტორო უფლებების დარღვევისთვის შესაბამისი ზომების მიღებას?**

— მის პოზიციაზე არ ვისაუბრებ, თუმცა ვფიქრობ, შალიკაშვილი გადარჩა — ეს სპექტაკლი რომ ენახა, ალბათ ვერ გადარჩებოდა. ეს სიკვდილზე უარესია. ამას სულის მოპარვას დავარქმევდი. ციქურიშვილმა ბატონ ამირანს სული მოპარა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ციქურიშვილმა მის პედაგოგს — მოსაწვევიც კი არ გაუგზავნა. სამწუხაროდ, ჩვენთან საავტორო უფლებების დაცვა სათანადო დონეზე არ დგას. მაგრამ ამ საკითხს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. უახლოეს პერიოდში, ალბათ, შეიქმნება კომისია, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის და დეტალურ დასკვნებს დადებს.

**თამარ შველიძე**

# degradirebuli konservatizmi lgbt-Ta samsaxurSi

LGBT Georgia

ლგბტ საქართველო

კონსერვატიზმი, როგორც ღირებულებათა და ფასეულობათა სისტემა, წესითა და რიგით, ტრადიციების დამცველად გვევლინებოდა. ოჯახის მნიშვნელობა კონსერვატიული იდეოლოგიისთვის ყოველთვის უპირველესი იყო, მაგრამ სულ სხვა არის დღევანდელი პოლიტიკური კონსერვატიზმი ამ იდეოლოგიის ფუძის დამდებ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში. ახლახან აფრიკის ქვეყნებში თავისი ტურნეს ფარგლებში ბრიტანეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა, კონსერვატიული პარტიის ლიდერმა დევიდ კემერონმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მინისტრთა კაბინეტი უწყვეტს ეკონომიკურ დახმარებას, ყველა იმ განვითარებად ქვეყანას, ვინც უარს განაცხადებს დააკანონოს ერთსქესიანთა ქორწინება.



ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში ედუარდ შევარდნაძის „ძალისხმევით“ საქართველო შეუერთდა განვითარებადი ქვეყნების რიგებს. ბრიტანელი სახელმწიფო-პოლიტიკური ლიდერის აღნიშნული ოფიციალური პოზიცია გახვეულია „ადამიანის უფლებების“ საფენელში. ბრიტანელი კონსერვატორის ამ ულტიმატურულ განაცხადს აქაური „მეხუთე კოლონა“ დაუფარავი ზეიმით შეხვდა. მედიაში აუცილებლად გაბატონდება კაკაფონია დევიდ კემერონის ინიციატივის განსადიდებლად. მათთვის კი ვინც ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ადამიანის დეზორიენტაციისა და დესოციალიზაციის იარაღად არ განიხილავს, ბრიტანელი კონსერვატორიის ამ ულტიმატუმს რეალურ საფრთხედ აღიქვამს. ქართველი საზოგადოება, ეროვნული ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვის პოზიციაზე მყოფი სამოქალაქო საზოგადოება ვალდებულია ორგანიზებული და კოორდინირებული წინააღმდეგობა გაუწიოს ამ კატასტროფულ განზრახვას. ამას მოითხოვს ჩვენი პასუხისმგებლობა წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი.

**დავით არაბიძე**

**P.S. მადლობა ღმერთს, სერ უინსტონ ჩერჩილი ვეღარ მოესწრო ბრიტანელი კონსერვატორების ამ მორალურ-იდეოლოგიურ „სალტო-მორტალეს“, თორემ ლიბერალთა რიგებიდან კონსერვატორთა რიგებში არასდროს გადაეწერებოდა. ჩერჩილის წინდახედულობიდან გამომდინარე, თავის პოლიტიკურ მომავალს სრულიად სხვა იდეოლოგიას დაუკავშირებდა.**

# გრიპის მკურნალობასთან დაკავშირებული მითები

შემოდგომა დასასრულს უახლოვდება და გრიპის სეზონიც ძალას იკრებს. ამ პრობლემასთან გამკლავებას ყველა თავისებური, შინაური, კარგად გამოცდილი მეთოდებით ცდილობს.

მწვავე რესპირატორული დაავადებების (მრდ) ან მარტივად რომ ვთქვათ, გაცივების გამო, ბევრი ჩვენი მოქალაქე კარგა ხანია აღარ აკითხავს ექიმს, რადგან თავი ამგვარი პათოლოგიის მკურნალობის სპეციალისტად მიაჩნია.

ბევრი მათგანი მართლაც სასარგებლოა და ადამიანისთვის შვების მომგვრელი, საკმაოდ ბევრი კი საზოგადოებაში გამეფებულ მცდარ შეხედულებებს ეყრდნობა. სწორედ ამგვარ მითებს შემოგთავაზებთ, რათა მათი გამოყენებით ფუჭად არ დაკარგოთ ძვირფასი დრო.



**მითი 1.**

**გაცივებულს სითბო სჭირდება**

გაცივების პირველივე ნიშნებისთანავე ვკეტავთ ფანჯრებს, რათა არ დავკარგოთ ძვირადღირებული სითბო.

დამატებით გაცივება დაავადებულ ადამიანს ნამდვილად არ სჭირდება, მისი იმუნიტეტი ხომ ვირუსთა შეტევის შემდეგ ისედაც დასუსტებულია; არადა, მრდ-ით მოავადე ადამიანის ხანგრძლივად ყოფნა გაუნიავებელ ოთახში, კიდევ უფრო დიდი ზიანის მომტანია. პაციენტი მუდმივად გამოყოფს ვირუსებს, რომელთა კონცენტრაციაც გაუნიავებელ ოთახში საკმაოდ მაღალია.

**როგორ მოვიქცეთ** – რაც შეიძლება ფართოდ გამოაღეთ სარკმელი და კარგად გაანიავეთ ოთახი. სითბოსმოყვარული ვირუსებისთვის ტემპერატურის ცვალებადობა და სიცივე დამღუპველად მოქმედებს, შედეგად კი გამოჯანმრთელებაც ჩქარდება.

**მითი 2.**

**ხველის საწინააღმდეგო ნებისმიერი წამალი გამოსადეგია**

შეცდომას ვუშვებთ მაშინ, როცა დაუფიქრებლად ვიძენთ ხველის ნებისმიერ წამალს ისე, მათი მოქმედების მექანიზმით არც კი ვინტერესდებით. არადა, ხველის საწინააღმდეგო ბევრი წამლის მიღება ექიმის გარეშე დაუშვებელია.

**როგორ მოვიქცეთ** – თვითმკურნალობისას ექიმის გარეშე დაშვებულია მხოლოდ ამოსახველებელი ისეთი პრეპარატების მიღება, რომლებიც ათხელებს და ბრონქებიდან ნახველის გამოყოფას აადვილებს. რაც შეეხება უშუალოდ ხველის სინდრომის მოსახსნელ პრეპარატებს – ის აუცილებლად ექიმმა უნდა დანიშნოს. ეს განსაკუთრებით ეხება მშრალ და არაპროდუქტიულ ხველას, რომელიც თენთავს ავადმყოფს და ბალიშზე თავის დადების საშუალებას არ აძლევს.

განსაკუთრებული სიფრთხილითა არის მისაღები ერთდროულად ამოსახველებელი და ხველის საწინააღმდეგო პრეპარატები. არასწორი დანიშნულებისას შესაძლოა ნახველი ბრონქებში დაგროვდეს და ხანგრძლივი დროით არ გამოიდევნოს, ეს კი ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს აყენებს.

**მითი 3.**

**ცხვირში ხახვის წვენის ჩაწვეთება უებარია**

გაცივებისას ბებიების რეცეპტებით ცხვირში ხახვისა და ნივრის წვენის ჩაწვეთება უკვე ჩვევად გვექცა და არ ვფიქრობთ, რომ ასე შესაძლოა ცხვირის ლორწოვანი გარსის სერიოზული დამწვრობა მივიღოთ.

**როგორ მოვიქცეთ** – თანამედროვე ოტოლარინგოლოგები გვირჩევენ, თავი ვანებოთ საკუთარ თავზე ექსპერიმენტებს ჩატარებას და ცხვირის გაჭედვისას გამოვიყენოთ ცხვირის გამოსარეცხი ხსნარი, სურდოს სამკურნალო ზეთოვანი წვეთები.

რაც შეეხება სისხლძარღვთა შემავიწროვებელ სპეციალურ პრეპარატებს, რომლებიც ეფექტიანად აადვილებს ცხვირით სუნთქვას, უნდა გამოიყენოთ ფრთხილად და არც ისე დიდი ხნით, ინსტრუქციის მკაცრი დაცვით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მრავლობითი გვერდითი ეფექტები.

**მითი 4.**

**უარი თქვით ჰიგიენურ პროცედურებზე**

ჩვეულებრივ, მრდ-სას გაცივების თავიდან ასაცილებლად ბევრი უარს ამბობს შხაპზე და სხვა ჰიგიენურ პროცედურებზე. არადა, ვირუსების აქტიური ცხოველქმედებისას ორგანიზმში ტოქსინების აუარებელი რაოდენობა გროვდება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც, გამომყოფ ორგანოებთან ერთად, კანის მეშვეობითაც გამოიყოფა. თუ ისინი კანიდან დროულად არ მოცილდება, ორგანიზმის გაწმენდა, ანუ მისი გამოჯანმრთელება დროში გაიწელება.

**როგორ მოვიქცეთ** – დაბანა აუცილებელია, თუმცა ეს საკმაო სიფრთხილეს საჭიროებს, რათა აბაზანიდან გამოსვლის შემდეგ ხელახლა არ გაცივდეთ.

**მითი 5.**

**მწვავე რესპირატორულ დაავადებებს ანტიბიოტიკები შველის**

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ გაცივების პირველივე ნიშნების გაჩენისას ორგანიზმს ანტიბიოტიკებით „ვბომბავთ". საკმარისია, გაჩნდეს ხველა, სურდო და ყელის ტკივილი, რომ იწყება ორგანიზმისთვის საკმაოდ მავნე და ვირუსებისთვის აბსოლუტურად უვნებელი ანტიბიოტიკების მიღება, რაც ძალიან წააგავს ბეღურებზე ზარბაზნით ნადირობას.

**როგორ მოვიქცეთ** – ანტიბიოტიკების მიღება დაშვებულია მხოლოდ ექიმის ნებართვით, მათი უკონტროლო გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ ასუსტებს ორგანიზმს და ხელს უშლის ვირუსებთან ბრძოლაში. გარდა ამისა, ანტიბიოტიკი ანადგურებს ნაწლავის სასარგებლო მიკროორგანიზმებს, რომლებიც მათ შორის იმუნიტეტის ხარისხსაც განაპირობებს. ამიტომ მათი მიღება შესაძლოა მხოლოდ ნაწლავის მიკროფლორის აღმდგენ საშუალებებთან ერთად.

**მითი 6.**

**სამკურნალო მცენარეებს არაფერი სჯობს**

ერთი შეხედვით უვნებელი მცენარეებით თვითმკურნალობაც შესაძლოა, მავნე აღმოჩნდეს. მაგალითად:

ალოეს წვენი აკრძალულია თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთებითი დაავადებების, ბუასილის, ორსულობისა და ქალური სისხლდენებისას.

შავნაყოფა ცირცელის მიღება არ შეიძლება დაქვეითებული არტერიული წნევის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებისას.

მცირე რაოდენობით უნდა მოიხმაროთ კრაზანა და მისი ნაყენი, რადგან იგი შეიცავს შხამებს, რომლებიც დიდი ოდენობით ორგანიზმისთვის მავნებელია.

# ცხვირის ძგიდის გამრუდება

ცხვირის ძგიდე ცხვირის ყველაზე დიდი ხრტილია. იგი ცხვირის ღრუს ორ ტოლ ნაწილად – მარჯვენა და მარცხენა ნესტოებად ჰყოფს.

ცხვირის ძგიდის რამდენიმე სახის დაზიანება არსებობს: მისი ტრავმები, მოტეხილობა და ძგიდის გამრუდება.

ტრავმებისას, მექანიკური მოქმედებით, ცხვირის ძგიდე ყველაზე ხშირად პატარა ასაკში ტყდება, რადგან ბავშვების ხრტილოვან ქსოვილში ელასტიკური და რბილი ბოჭკოები სჭარბობს მყარ ხრტილოვან ქსოვილს; რაც შეეხება მოზრდილებს, მათ უფრო ხშირად აღენიშნებათ არა ძგიდის მოტეხილობა, არამედ მისი გამრუდება, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ფიზიოლოგიური, ტრავმული ან კომპენსატორული მექანიზმებით.

საკუთრივ ძგიდის ტრავმები შედარებით იშვიათია, ის ყველაზე ხშირად თან ერთვის ცხვირის ძვლების ტრავმასა და მოტეხილობას. ძგიდის გამრუდების ხშირი მიზეზიც სწორედ ცხვირის ტრავმის შემდგომ მისი არასწორი შეხორცებაა.

**ძგიდის გამრუდებას ახასიათებს**

1. ცხვირით სუნთქვის გაძნელება, მისი ზომიერი ან სრული დარღვევა. ნაწილობრივი, ცალმხრივი გამრუდებისას, პაციენტს ცხვირით სუნთქვა ერთ რომელიმე მხარეს უჭირს.



ზოგჯერ სპეციალისტი ცხვირის ღრუს დათვალიერების შემდეგ აღმოაჩენს ძგიდის გამრუდებას, რომლის შესახებაც პაციენტმა არაფერი იცის, რადგან ცხვირით ნორმალურად სუნთქავს. ამ შემთხვევაში, ძგიდის არცთუ ძლიერი გამრუდებისას, ორგანიზმი ეგუება მდგომარეობას და ფუნქცია ცხვირის ღრუს სხვა სტრუქტურების ხარჯზე ნარჩუნდება.

ძგიდის გამრუდება ხშირად მოხუცებულ ასაკში იჩენს თავს, მაშინ, როდესაც ორგანიზმის საკომპენსაციო მექანიზმები განლევას იწყებს.

კარგად გამოხატული გამრუდებისას ცხვირით სუნთქვა დიდი ხნის მანძილზე უნარჩუნდებათ დიდი ზომის ცხვირის ღრუს მქონეებსაც, რაც კომპენსირდება ჰაერის დიდი ნაკადის გამავლობით.

ასე რომ, თუ კარგად სუნთქავთ ცხვირით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ძგიდის გამრუდებისგან დაზღვეული ბრძანდებით;

2. ხვრინვა, გამოწვეული ცხვირით სუნთქვის დარღვევით;

3. ცხვირის ღრუს სიმშრალე.

**ცხვირის ძგიდის გამრუდების გართულებანი**

ძგიდის გამრუდების შესაძლო გართულებებია:

* ძგიდის ქრონიკული გამრუდებისას პაციენტს ყველაზე ხშირად უვითარდება ცხვირის დანამატი ღრუების ანთებითი დაავადებები: სინუსიტი, ჰაიმორიტი, ეთმოიდიტი და ფრონტიტი. ხანგრძლივი მკურნალობა იწვევს ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებას და პოლიპების გაჩენას;

* ცხვირით სუნთქვის გაძნელება და გამრუდებული ძგიდის მუდმივი არანორმალური შეხება ცხვირის ლორწოვან გარსთან ხშირად ხდება ბრონქული ასთმისა და ალერგიული სურდოს მიზეზი;

* ცხვირის დეფორმაცია ყველაზე ხშირად გარეთა ცხვირის მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრას იწვევს;

ცხვირის ძგიდის მოგვიანებით გართულებებს მიეკუთვნება: ცვლილებანი სისხლში, გულ-სისხლძარღვთა სისტემასა და სქესობრივ სფეროში. ორგანიზმი გაცილებით ადვილად ხდება გარემოს არახელსაყრელ ფაქტორთა მსხვერპლი, ქვეითდება იმუნიტეტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, გამრუდებული ძგიდის დროულ და კვალიფიციურ მკურნალობის აუცილებლობას.

**მკურნალობა**

გამრუდებული ცხვირის ძგიდის მკურნალობა მხოლოდ ქირურგიული მეთოდით არის შესაძლებელი. უწინ ოპერაციისას ექიმი გამრუდების ადგილზე კვეთდა ლორწოვან გარსს, ძგიდეს აჭრიდა დეფორმირებულ მონაკვეთს, შემდეგ დოლბანდის მჭიდრო ტამპონს ადებდა, რომელსაც ცხვირში რამდენიმე დღე ტოვებდნენ.

ოპერაცია ხშირად რთულდებოდა ცხვირის ძგიდის პერფორაციით – გახვრეტით, დასაწყისში მასზე მხოლოდ პატარა ნასვრეტი ჩნდებოდა, ხოლო როდესაც ის 8-10 მმ დიამეტრს მიაღწევდა, მის ამოსავსებად ახალი ოპერაცია ტარდებოდა.

დღეს გამრუდებული ძგიდე, მკურნალობის თანამედროვე ქირურგიული მეთოდის დახმარებით, გაცილებით ნაკლებტრავმულად სწორდება. ვგულისხმობთ მიკროსკოპის ან ენდოსკოპის საშუალებით ჩატარებულ ოპერაციებს.

პაციენტის ცხვირის ღრუში შეჰყავთ ოპტიკურბოჭკოვანი მილი, მასზე სინათლის წყარო და ვიდეოკამერაა დამონტაჟებული, რომელიც გამოსახულებას მონიტორზე გადასცემს. საგულისხმოა, რომ მილი ძგიდემდე ლორწოვანი გარსის დაუზიანებლად აღწევს.

ოპერაციისას, იკვეთება ნესტოს შესასვლელთან კანი, ქსოვილების გაწევის შემდეგ იღებენ ძგიდის დეფორმირებულ ნაწილს, ათავსებენ სპეციალურ მოწყობილობაში, სადაც იგი სწორდება, შემდეგ კი უკან, თავის ადგილას აბრუნებენ.

ოპერაციიდან ერთი კვირის შემდეგ იხსნება ნაკერები, ძგიდე გასწორებულია, ლორწოვანი დაუზიანებელი, პაციენტიც ცხვრით სრულფასოვნად სუნთქავს.

ცხვირის ძგიდის ნებისმიერ პათოლოგიათა მსგავსად, მხოლოდ ქირურგიულად იკურნება ძგიდის ჰემატომაც. მისი სრული მოცილებისა და ძგიდის აღდგენის შემდეგ ცხვირის ნიჟარა სრულად იბრუნებს უწინდელ ფორმასა და შესახედაობას.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონდაძემ**

# `gasei r neba ya r abaRSi~... mwe r a l Ta kavSi r is scena r iT

ეს ყოველივე მართალი რომ არ იყოს, ვიღაცა არაკომპეტენტური სცენარისტის მონაჩმახი გვეგონებოდა. საქმე კი შემდეგშია:

ახლახან ჩვენმა ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ აზერბაიჯანული პრესიდან ამოკრეფილი საკმაოდ ვრცელი მასალა გადმოგვცა და გულისტკივილითაც დააყოლა:

„კარგად იცით, როგორ პატივს ვცემთ ქართველებს, მის კულტურას, ერს... მწერლობას!...

ისიც ვიცით, რას ნიშნავს თქვენთვის დაკარგული სამაჩაბლო და აფხაზეთი!...

ჩვენც ასევე გვტკივა გული, თუ უამრავ მსხვერპლს არ ჩავთვლით, მარტო ყარაბახიდან მილიონზე მეტი ლტოლვილი გვყავს...

ამჟამადაც, ძალიან მძიმე ვითარებაა ყარაბახის საზღვართან...

მსოფლიო არ ცნობს და არასდროს იცნობს სეპარატისტული წარმონაქმნის „დამოუკიდებლობას“ და ამ დროს.

ქართველი მწერლები „კულტურული ვიზიტებით“ ჩადიან იქ... „რესპუბლიკა ყარაბახის „ფესტივალებში“ მონაწილეობისთვის!... ეს, უბრალოდ, რომ ვთქვათ, უტაქტობაა“-ო.

მეტი არაფერი წამოცდენია, ადგა და... გამოგვემშვიდობა.

გაოგნებული ვუსმენდით ამ საყვედურს, ის კი არა და, გადაჭარბებულიც გვეჩვენა, სანამ ყველაფერს დეტალურად არ გავეცანით.

მკითხველს ცოტა ქვემოთ მივაწვდით აზერბაიჯანულ ინტერნეტ-საიტზე განთავსებული ერთ-ერთი წერილის თარგმანს, იქამდე კი ჩვენი საწუხარი აუცილებლად გვინდა, გაგიზიაროთ:

თქვე კაი დედ-მამიშვილებო!

დაიკო მაყვალა და ძუძუმტენო მისნო!

ეს რა „გასეირნებები“ აგიტყდათ, ანდა ერთი წუთითაც თუ დაფიქრებულხართ იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ყოველივე ამას?

„ყარაბახში გასეირნება“ ცოტა იოლი რომ არაა, ეს ჩვენი კოლეგის ნაწარმოებიდან შემდგომ ფილმადაც რომ გადაიღეს, კარგად ჩანს და რა ისეთი „უჩინმაჩინის ქუდი“ გეხურათ, ისე ლამაზად (და... უკანონოდაც!) გადაირბინ-გადმოირბინეთ ყარაბახის საზღვარი (სადაც დღესაც კაი მაგარი ბათქა-ბუთქია) ბეწვიც რომ არ ჩამოგვარდნიათ ხუჭუჭა თმებიდან?

ა? – არადა, ეს კითხვა ითხოვს პასუხს!

თქვე, კაი დედ-მამიშვილებო!

დაიკო მაყვალა და ძუძუმტენო მისნო!

თქვენ არ იყავით, რომ მუდმივად წუწუნებდით: მწერალთა კავშირში ხელფასი არ გვაქვს და ენთუზიაზმის „ხარჯზე“ ვმუშაობთ უანგაროდო?

ისე, სიტყვას მოჰყვა და „ავი ენები“ ამბობენ (თორემ, ჩვენ როგორ ვიკადრებთ ამას), რომ ქალაქის მერია– ე.წ. „ქაცარავას ფონდიდან“ საკმაოდ დიდ თანხას უყოფს, ყოველთვიურად, მწერალთა კავშირსო!...

იმასაც ამბობენ „ავი ენები“, რომ ქ. თბილისის საკრებულო, რომლის ხელმძღვანელი მწერლის ცრუ პროტოტიპი ზაალ სამადაშვილია, საკმაოხ უხვად გაბერტყავთ „მადლიან კალთას“-ო!




რა ვქნათ ახლა, ავდგეთ და

„მოდი, ვკითხოთ სამადაშვილს?

მოდი, ვკითხოთ ქაცარავას?...“

არადა, ქართულ სატელევიზიო სივრცეში თქვენს რიგებს შორის „ეკონომიური და ფინანსური შეუთავსებლობის“ გამო ამტყდარი დაკა-დაკა რად ღირდა მარტო!

შორს „გადაგვიტყუა“ ჰიპოთეზებმა, არადა, თქვენ არ იყავით, რომ მუდმივად წუწუნებდით: მწერალთა კავშირში ხელფასი არ გვაქვს და ენთუზიაზმის „ხარჯზე“ ვმუშაობთ უანგაროდო?

თუ ეს „მართლაც“ ასეა, ლოგიკურად ისმის კითხვა: ვინ იყო თქვენი ამ მოგზაურობის წამქეზებელი, დამფინანსებელი და რა მიზანი ამოძრავებდათ მათ, თქვენ და იმ ათკაციან დელეგაციასაც, რომელიც თან გახლდათ?

საჩოთირო კითხვაა არა?

არადა, ესეც პასუხს რომ ითხოვს?!

იქნებ გაგვიმხილოთ, კიდევ სად, როდის და რომელ ბანანის რესპუბლიკაში იგეგმება თქვენი მომავალი ვიზიტი?

საქართველოს დელეგაციაში ათი კაცი შედიოდაო!

ანუ ათი მწერალი, ჭკუა-გონება რომ უნდა მოეკითხებოდეს!

ხომ არსებობს მწერალთა კავშირის გამგეობაც?

შეუთანხმეთ კი ვინმეს ამ „ვოიაჟის“ არსი და მიზანი?

არა გვგონია, რადგან ერთი ვინმე მაინც გამოჩნდებოდა და გეტყოდათ – „შეჩერდით, ეს უგუნურებაა, ნუ ჩაიდენთ ამ სისულელეს“-ო.

ჩემო დაიკო, მაყვალა!

და ძუძუმტენო მისნო!

ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი საქციელი გასცდა ყოველგვარ საზღვარს?

რადგან ერთ დროს მაინც ყველაფერი უნდა ითქვას და ითქმება კიდეც, ამიტომაც შეგახსენებთ:

ცხონებულ ბრეჟნევს არ შეუნარჩუნებია იმდენ ხანს თანამდებობა, რაც თქვენ მოახერხეთ!

ეს იმიტომ, რომ ყველას დაუკითხავად და უკანონოდ შეცვალეთ მწერალთა კავშირის წესდება!

ეს იმიტომ, რომ თქვენმა თანამზრახველებმა: „სოსისით, ძეხვითა და... პურით მოახერხეთ თბილი ადგილების შენარჩუნება“!

თუ არ გახსოვთ, მწერალთა კავშირის ბოლო ყრილობას გაგახსენებთ, სადაც ერთ მხარეს თქვენ და ჯამაათნი იდექით, მეორე მხარეს კი ყურებჩამოყრილი და მშიერი მწერლები და იმის მაგივრად, რომ საარჩევნო მანდატები მიეღოთ, ვაჟა ოთარაშვილისგან დარიგებული ძეხვის, სოსისისა და პურის საკმაოდ გრძელ რიგში იდგნენ, ხოლო თავად ბატონი ვაჟა – გამოქექილ მებუფეტესავით თვითკმაყოფილი იერით, გულუხვად „ალუკმაპურებდა“ პირდაღებულ და დაბეჩავებულ მრევლს...

და სწორედ ამას ჰქვია: „მშიერი კუჭის პრინციპი“, ასე შესანიშნავად რომ შეითავისეთ და შეისისხლხორცეთ!

ეჰ, ჩემო ბატონებო!–

შორს წაგვიყვანს ყოველივე ამაზე საუბარი და ისევ სჯობს ძირითად სათქმელს დაუბრუნდეთ:

მაშ, ასე:

– მიხვედით!

– ნახეთ!

– გაძეხით!

– დაგაპურეს!

(ალბათ, დაგაფულეს კიდეც!)

და... წამოხვედით!

დაფიქრდით კი იმაზე, რა შედეგს მიაღწიეთ?...

უარესს რომ ვერ ინატრებდით!

ჯანდაბას ყოველივე!

მკითხველს თავი რომ არ მოვაბეზროთ, გთავაზობთ აზერბაიჯანის ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნებულ სტატიას – **Â Òàí í åí äè ãë àââ ñî þçà ï èñàòåëåé Ãðóçèè ï ðè- çí àëàñ â ëþáâè ê Êàðà- áàõñêî ì ó í àðî äó** და უცვლელ თარგმანს.

ეს სტატია, ერთ-ერთია იმათგან, ჩვენმა გულნატკენმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ რომ მოგვაწოდა და მისი ავტორია: ბახრამ ბატიევი.

დაინტერესებულმა პირებმა კი იგივე სტატია შეგიძლიათ იხილოთ აზერბაჯანის რუსულენოვან ინტერნეტ-საიტზე: **Âåñòè àç ï î ëèòèêà**“ 2012 წლის 24 ოქტომბერი და რომელიც უკვე მრავალმა ათასმა ადამიანმა წაიკითხა!

მაშ ასე:

მივყვეთ ტექსტს:

„მაშინ, როცა აზერბაიჯანის და საქართველოს ხელისუფლება ორმხრივად აღრმავებს სახელმწიფოთაშორის დამოკიდებულებას, რაც უმთავრესად, სტრატეგიულ მდგომარეობას შეეხება, ამ დროს საქართველოს რამდენიმე „წარმომადგენელი“ წყალს ამღვრევს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობაში.

ორმაგად გვაშფოთებს ის გარემოება, რომ ამას სჩადიან შემოქმედებითი ინტილიგენცის არა უბრალო წარმომადგენლები, არამედ მათი ... ხელმძღვანელები!

როგორ გითხრათ!

აზერბაიჯანისთვის ყველაზე სუსტ ადგილს ეძებენ: – ეს ყარაბაღია!

თუმცა მათ ქვეყანას უკვე ოცი წელია ანალოგიური ორი ჭრილობა გააჩნია – აფხაზეთი და სამაჩაბლო!

სამწუხაროა საქართველოს ოფიციალურ წრეთა მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება და ამიტომაც, ძნელია შეიკავო ემოციები!

აქედან გამომდინარე, მკითხველს ვთხოვ პატიებას ზედმეტი იმპულსურობის გამო, რაც წინამდებარე მასალების გამოქვეყნებას შეეხება.

გვჯერა, რომ გაგვიგებენ!

...განსხვავებით იმ სომეხი ჟურნალისტებისგან, რომლებიც ცდილობენ დამალონ იმ უცხო სახელმწიფოს „სტუმარ-მოქალაქეთა“ სახელები, მე დავადგინე ყარაბახში ჩატარებული ფესტივალის რამდენიმე მონაწილის ვინაობა.

რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება და შეშფოთება, როცა სეპარატისტების სტუმრებს შორის დავინახეთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის გვარიც, რომელიც ყარაბაღში ათკაციანი დელეგაციით ჩაბრძანებულა!



ეს სხვა, არაფერია, თუ არა ის, რომ მიაფურთხო აზერბაიჯანის კანონმდებლობას და მიაფურთხო საკუთარ ქვეყანასაც, რომელიც ასევე ეწამება სეპარატიზმისგან.

გონაშვილს ფესტივალის გახსნისას აღუნიშნავს, რომ: „ბედნიერია იყოს არცახში“.

„მე თან მიმაქვს სითბო და სტუმართმოყვარეობა ყარაბაღელი ხალხისა და ვიმედოვნებ საქართველოსთან მის მჭიდრო კავშირს“, – აღიარა მაყვალა გონაშვილმა“, –წერს ბობროვი თავის სტატიაში.

ბოლომდე არ გვჯეროდა, მაყვალა გონაშვილის ასე გაუცნობიერებელი და აზერბაიჯანისთვის სულში ჩამფურთხებელი საქციელისა, მაგრამ ყველა ჩვენი ეჭვი გაიფანტა, როცა თავად დავუკავშირდით საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს.

გთავაზობთ მასთან საუბარს, შეუკვეცელს და დიქტოფონზე ჩაწერილს:

– ქალბატონო გონაშვილო. მონაწილეობდით ყარაბაღში ამ დღეებში ჩატარებულ ფესტივალში?

– დიახ, ვმონაწილეობდი. მე იქ მკითხეს: რას იტყვიან ამ ჩემი ვიზიტის გამო ჩემი ბაქოელი მეგობრები?... ვუპასუხე, რომ პატივს ვცემ ბაქოში მყოფ მეგობრებს და იმ ადგილსაც, სადაც პოეტები ცხოვრობენ. ეს პოლიტიკური კი არა, პოეტური შეხვედრა იყო. პოეტები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და იურთიერთონ, რომ ჩვენმა ხალხმა ახალი ცხოვრება დაიწყოს. აი, ჩემი შეხედულება, **ÿ òàê äóì àþ!** (სპეციალურად არ ვთარგმნთ, – ავტ.)

– მთიან ყარაბაღში ვიზიტით თქვენ აზერბაიჯანის კანონმდებლობა დაარღვიეთ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობითაც, ოფიციალური თბილისის გარეშე, აკრძალულია სეპარატისტული რეგიონების – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მონახულება. იცოდით თუ არა, რომ აზერბაიჯანის კანონებს არღვევდით?

– არა, არ ვიცოდი!

– თქვენი ვიზიტის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეთ თუ არა თბილისში – აზერბაიჯანის საელჩო?

– არა!

– გამოდის, თქვენ თვლით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე პოეზია კანონზე მაღლა დგას?

– ნუთუ მე აზერბაიჯანის კანონები დავარღვიე?

– დიახ. თქვენ არ მიგიღიათ ოფიციალური ბაქოსა და თბილისში – აზერბაიჯანის საელჩოს თანხმობა და უკანონოდ გადაკვეთეთ აზერბაიჯანის საზღვარი, რადგან მთიანი ყარაბახი ჩვენი ტერიტორიაა. ნება დაგვრთეთ, შეგახსენოთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 22 სექტემბრის განცხადება, სადაც ნათლადაა გაცხადებული: „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ცალსახად მხარს უჭერს აზერბაიჯანის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, განსაზღვრულს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და არ ცნობს ე.წ. მთიანი ყარაბაღის“ 2011 წლის 18 სექტემბერს უკანონოდ ჩატარებულ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს“.

– მე არ ვიცოდი, რომ აზერბაიჯანის კანონები დავარღვიე. ვიცოდი, რომ მივდიოდი მთიან ყარაბახში, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ამით კანონებს ვარღვევდი.

– ნუთუ არ იცოდით, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა?

საპასუხოდ წყვეტილი ზარები მომესმა. ცდა იმისა, რომ ხელმეორედ დავკავშირებოდით გონაშვილს, უშედეგოდ დამთავრდა.

სამწუხაროა, რომ დღის პირველ ნახევარში ვერ დავუკავშირდით საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს, რათა საქმის კურსში ჩაგვეყენებინა მაყვალა გონაშვილის ყარაბაღში უკანონო ვიზიტის გამო.

გარდა ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩვენს ზარებს, მხოლოდ გოგონა-ოპერატორი პასუხობდა, რომელმაც ვერაფრით დაგვაკავშირა პრესასა და ინფორმაციის დეპარტამენტთან; ასევე, ვერც მინისტრის მისაღებთან და საგარეო საქმეთა უწყების მეთაურის მოადგილესთანაც კი.

ერთი კია: აზერბაიჯანში საქართველოს საელჩო ყურადღებით გაეცნო ჩვენს მიერ წარდგენილ ინფორმაციას და შეგვპირდა, რომ „თუ ყველაფერი დადასტურდებოდა, გაერკვეოდნენ და შესაფერის ზომებსაც მიიღებდნენ“ (სხვათა შორის, მზადა

20 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `gaseirneba yarabaRSi~... mweralTa kavSiris scenariT

18 gv.

ვართ, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი საუბრის დიქტოფონზე ჩანაწერიც წარმოვადგინოთ).

„მე მას დავუკავშირდები და არა მარტო ჩემს აღშფოთებას გამოვთქვამ, არამედ პარლამენტის უახლოეს სხდომაზეც დავსვამ ამ საკითხს. საქართველოს მოხატავს ქართველი ხალხის და მისი მწერლების აზრსა და საქციელს.

გვჯერა, გავუგებთ ერთმანეთს და ამიტომაც გიხდით ბოდიშს.

აქ დავემშვიდობოთ ასე საოცრად გულნატკენ კაცს ბახრამ ბატიევს, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და ამიტომაცაა ასე ნაწყენს და კვლავ ჩვენს გა-



მთიანი ყარაბაღი

პასუხისმგებელი პირების ამგვარი „ვიზიტები“, არაფრით წაადგება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის განმტკიცებას?! — განაცხადა სულეიმანოვმა.

ჩვენ მაყვალა გონაშვილისგან არათუ მონანიებას კი ბოდიშსაც არ ვითხოვთ!

რაც მოხდა, მოხდა!

ჩვენ, უბრალოდ, ის გვინდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, აგრეთვე ჩვენმა საგარეო საქმეთა უწყებამ, საელჩომ და აზერბაიჯანის მწერალთა კავშირმა შეაგნებინოს მას საკუთარი საქციელის აბსურდულობა; ქცევა, იმ ქვეყნის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელისა, რომლის სამშობლოც თვით დაზარალდა სეპარატისტთა საშინელებებისგან.

ამით მთავრდება ეს წერილი და მკითხველს შევახსენებთ, რომ მისი ავტორია ბახრამ ბატიევი. ჩვენ კი რა უნდა ვთქვათ, გარდა ერთისა:

— ეჰ, ჩემო ბახრამ, ბახრამ!

საჭირ-სატკივარს დავუბრუნდეთ.

მიგვაჩნია, რომ უმოკლეს დროში ქართველმა მწერლებმა აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ საგანგებო ყრილობა, რადგან ერთხელ და სამუდამოდ შეიძლება, დაგვიანებითაც პასუხი გაეცეს უმთავრეს შეკითხვას: წარმოადგენს თუ არა დღევანდელი მწერალთა კავშირი იმ ორგანიზაციას, რომელიც ნამდვილად შეეფერება ამჟამინდელ შეჭირვებულ საქართველოს, მის მომავალსა და პერსპექტივებს?!...

დროა!

**პატივისცემით საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები:**
**ავთო ჩხაიძე,**
**ალეკო გაბელაია**

**P.S. ქართველი მწერლების სახელით კატეგორიულად მოვითხოვთ საქართველოს მწერალთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობისგან, რომ უმოკლეს ხანში გამოაქვეყნოს იმ ათკაციანი „დელეგაციის“ სია, რომელ-**



სტეპანაკერტი

შენ რა იცი, რა სისხლი უდუღთ აქაურ „მწერალთა კავშირის უზურპატორ-სეპარატისტებს“!

მეოთხე ყრილობა მოდის და ისე „ჩახუტებულან“ სკამებს, რომ ვერაფრით ავაგლიჯეთ!

რაც შეეხება იმ გულისტკივილს, რაც არა მარტო შენია, არამედ ჩვენიც, ანუ საერთოა, გეტყვით:

— მოგვიტევეთ ჩვენ, ქართველ მწერლებს მაყვალა გონაშვილის და მისი „ათკაციანი დელეგაციის“ უგუნური საქციელის გამო.

გარწმუნებთ, რომ მათი აზრი და საქციელი სრულადაც არ გა-

**მაც „გაისეირნა ყარაბაღში“ და ასევე აგვიხსნას:**

**— რა იყო ამ ვიზიტის მიზანი?**

**— ვინ ან რატომ აფინანსებდა ამ „მოგზაურობას“?**

**დაბოლოს,**

**— სად აპირებენ შემდგომ „გასეირნებას“?**

**პასუხისთვის ულრმესად კმაყოფილნი დაგრჩებით.**

**ჩვენი მხრიდან მკითხველს ბოდიშს ვუხდით ამ წერილის საკმაოდ მკვახე, მაგრამ, ჩვენი აზრით, გასაგებად სამართლიანი ტონის გამო.**

**(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)**

# თავსატეხი



შვეულად: [illegible]

თარაზულად: [illegible]

# სამიდან ერთ-ერთი



შვეულად: 1. [illegible] 2 [illegible] 3. [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 11. [illegible] 12. [illegible] 13. [illegible] 14. [illegible] 15. [illegible] 16. [illegible]

თარაზულად: 3. [illegible] 7. [illegible] 8. [illegible] 9. [illegible] 10. [illegible] 13. [illegible] 17. [illegible] 18. [illegible] 19. [illegible] 20. [illegible] 21. [illegible]

# შიფრვორდი



## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.

**კურო** — ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეუყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**კირჩხიბი** — ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**ლომი** — ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

**ქალწული** — გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.

**სასწორი** — თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა — იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.

**მორიელი** — ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მშვილდოსანი** — წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**თხის რქა** — ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

**მერწყული** — წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.

**თევზები** — ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.